



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2021

2018 წლის IV კვარტლის ანგარიში



შინაარსი

1. მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი	6
1.1. მოქალაქეებსა და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა.....	6
1.1.1. მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროებების კვლევა.....	6
1.1.2. მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება.....	7
1.1.3. მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ორ დონიანი სისტემის შექმნა.....	10
2. ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია	15
2.1. ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლა. ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა	15
2.1.1. ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევა.....	15
2.1.2. ქალაქ ბათუმის პროფილური ორგანიზაციების სივრცითი განთავსების გეგმის მომზადება.....	18
2.1.3. ქალაქწარმომქმნელი საწარმოების შექმნის, ამოქმედებისა და არსებული საწარმოების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება.....	19
2.1.4. პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერება.....	20
2.2. ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივის შესწავლა. ბათუმის ქალაქმომსახურების ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა	22
2.2.1. ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა.....	22
2.2.2. ბათუმის ქალაქმომსახურების სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნისა და არსებული ორგანიზაციების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელება.....	25
3. ქ. ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია	26
3.1. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	26
3.1.1. ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა.....	26
3.1.2. საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა.....	28
3.1.3. ადგილობრივი განვითარების ფორუმების ორგანიზება	29
3.2. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.....	32
3.2.1. ტურისტული პოტენციალის კვლევა.....	32
3.2.2. საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირება.....	33
3.2.3. საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	34
3.2.4. სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	35
3.2.5. სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	37
3.3. საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები	38
3.3.1. თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება.....	38
3.3.2. დამგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება	42
3.4. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება.....	46
3.4.1. ქ. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობების კვლევა	46



3.5. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა.....	49
3.5.1. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება.....	49
3.5.2. გადაამუშავებელ საწარმოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა	50
4. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება.....	51
4.1. კომუნალური სერვისების გაუმჯობესება.....	51
4.1.1. უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება.....	51
4.1.2. წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია.....	55
4.1.3. სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	59
4.1.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განხორციელება ...	63
4.1.5. მოქალაქეთა ბუნებრივი აირით მომსახურების უზრუნველყოფა	68
4.1.6. ქალაქის ენერგომომარაგების გაუმჯობესების ხელშეწყობა.....	70
4.2. ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები და საბინაო პოლიტიკა	72
4.2.1. შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია	72
4.2.2. საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.....	88
4.2.3. მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	103
4.3. მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება	105
4.3.1. ქ. ბათუმის ეფექტური პარკირების სისტემის შემუშავება და ამოქმედება.....	105
4.3.2. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ეფექტური სისტემის შემუშავება და განხორციელება.....	107
4.3.3. ბათუმის მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება.....	109
4.3.4. ქალაქ ბათუმის ველოსისტემის განვითარება.....	111
4.3.5. მუნიციპალური ტრანსპორტის ერთიანი სატარიფო სისტემის დანერგვა	113
4.4. ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. განახლებადი ენერგიის გამოყენების ზრდა.....	116
4.4.1. ენერგოეფექტურობის სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება.	116
4.4.2. საცხოვრებელი სახლების დათბუნება	118
4.4.3. გარე განათების მინიმალური სტანდარტის დანერგვა.....	119
4.5. ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები	122
4.5.1. ქალაქის გამწვანების გეგმის შემუშავება და განხორციელება	122
4.5.2. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.....	124
4.5.3. კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება.....	126
4.6. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება.....	128
4.6.1. მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ს ამოქმედება.....	128
4.7. მუნიციპალური ქონების მართვა	135
4.7.1. მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია	135
4.7.2. ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისება	137
5. ქალაქის ურბანული განვითარება.....	139
5.1. ურბანული განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიული განვითარების და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და ამოქმედება	139



5.1.1 ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება	139
5.1.2. ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება	142
5.1.3. ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და რეაბილიტაცია	144
5.1.4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა	146
6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	148
6.1. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოქალაქეებისათვის	148
6.1.1. დაავადებათა პრევენცია	148
6.1.2. გადამდები დაავადების - C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის ხელმისაწვდომობის ზრდა	148
6.1.3. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა	150
6.1.4. სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა	151
6.1.5 სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება საჭიროების მქონე პირებისათვის	153
6.1.6. ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა	155
6.1.7 სამედიცინო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა	157
6.2. სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა	157
6.2.1 მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობის ზრდა ძირითად კომუნალურ სერვისებსა და საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილებაზე	158
6.2.2. მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარება	161
6.3 სოციალური (საზოგადოებრივი) რისკების მართვის მექანიზმებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ცხოვრების გარანტირებული მინიმუმის შექმნა	163
6.3.1. მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა	163
6.3.2. მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება	166
7. ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემა	168
7.1 ინკლუზიური და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დანერგვა	168
7.1.1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ახალი სისტემის შემუშავება და ამოქმედება	168
7.1.2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა	171
7.2. ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა	173
7.2.1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სენსორული ინტეგრაციის პროგრამის დანერგვა და ამოქმედება	173
7.2.2. ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის	174
7.3. ადამიანური კაპიტალის განვითარება	176
7.3.1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	176
7.3.2. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სწავლის სტიმულირება	177
8. კულტურის განვითარების ხელშეწყობა	178



8.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერა	178
8.1.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერა	178
8.2. კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა	180
8.2.1. ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა	180
8.2.2. ხელოვნების დარგებში ახალი, თანამედროვე მიმდინარეობების განვითარების სტიმულირება	181
8.2.3. ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა	183
8.3. შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა	185
8.3.1. კლასიკური და თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაციის ხელშეწყობა	185
8.3.2. ბათუმელ ხელოვანთა საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა	186
8.4. მრავალეთნიკური კულტურის განვითარების მხარდაჭერა	187
8.4.1. ქალაქ ბათუმში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა	187
9. სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	189
9.1. მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა	189
9.1.1. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	189
9.1.2. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა	193
9.1.3. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების ხელშეწყობა	199
9.2. განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდებისათვის ..	201
9.2.1. არაფორმალური განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა	201
9.2.2. ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	203
9.2.3. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	204
10. მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური გაძლიერება	205
10.1. ინსტიტუციური ცვლილებები მუნიციპალურ სტრუქტურებში	205
10.1.1. თანამდებობრივი ფუნქციების ეფექტური განაწილებისა და განხორციელების სისტემის დანერგვა	205
10.1.2. სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაცია	207
10.1.3. მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება	209



1. მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი

1.1. მოქალაქეებსა და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა

1.1.1. მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროებების კვლევა

სტრატეგიული მიმართულება 1 მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი

პროგრამა	1.1.1. მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროებების კვლევა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სტრუქტურისა და ცხოვრების დონის არსებული ტენდენციების განსაზღვრა. კვლევის შედეგები შემდგომ საფუძვლად დაედება მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას. პროგრამის განხორციელების შედეგად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს ექნება ინფორმაცია ცხოვრების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიმართულებით მოქალაქეთა საჭიროებებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება განხორციელდება კვლევის შედეგების გათვალისწინებით.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ცხოვრების ხარისხის შესახებ და მოქალაქეთა სტრუქტურის შესახებ მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;	ცხოვრების ხარისხის შესახებ და მოქალაქეთა სტრუქტურის შესახებ მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ტექნიკური დავალება	X
მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროების კვლევის მომსახურების შესყიდვა.	მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროების კვლევა	X

პროგრამის განხორციელება იგეგმება 2019 წელს.



1.1.2. მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება

სტრატეგიული მიმართულება 1	მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი
პროგრამა	1.1.2. მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული
	დარგობრივი სტრატეგიების შემუშავება და
	განხორციელება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებული დარგების განვითარების გრძელვადიანი, მდგრადი პოლიტიკის განსაზღვრა, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესაბამისი სფეროს მუნიციპალურ პროგრამებს და საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს ეფექტურად განკარგოს ფინანსური რესურსები კონკრეტული საშუალო და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტები გარკვეულწილად იქნება მექანიზმი მოქალაქეებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ ამ დოკუმენტებით აღებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიმართულებით.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
დარგობრივი სტრატეგიების შემუშავება და მიღება	შემუშავებული დარგობრივი ✓ სტრატეგიების რაოდენობა
დარგობრივ სტრატეგიებზე დაყრდნობით, ახალი მუნიციპალური პროგრამების შემუშავება	შემუშავებული ახალი პროგრამების რაოდენობა მიმდინარე

2018 წლის IV კვარტალში:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის
სამსახურის მიერ, დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტების სამუშაო ვერსიების შემუშავების შემდეგ
განხორციელდა დოკუმენტების საჯარო პრეზენტაცია. გაიმართა შეხვედრები განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ
მხარეებთან (მათ შორის: სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების, ბათუმის რესურსცენტრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან,
საჯარო ბიბლიოთეკის, ბათუმის კულტურის ცენტრის, ბათუმში მოქმედი სამუსიკო სასწავლებლების,
თეატრების და სხვა კულტურული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან,
სპორტულ ფედერაციებთან, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ბათუმის
სპორტული ცენტრის წარმომადგენლებთან, ასევე განათლების, კულტურის, სპორტისა და



ახალგაზრდობის მიმართულებით მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, საკრებულოს წევრებთან და ა.შ). დოკუმენტი განთავსდა მერიის ვებგვერდზე მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით, მიღებული მოსაზრებების და რეკომენდაციების ნაწილი აისახა დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტებში.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისას მოეწყო სამუშაო შეხვედრები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით მომუშავე არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან. რის შედეგადაც გამოიკვეთა იმ საჭიროებებების საკითხი, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო პოლიტიკის დოკუმენტს. დოკუმენტების შემუშავებას საფუძვლად დაედო როგორც unicef-ისე და სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევები. განხილვების შედეგად მიღებული რეკომენდაციების ნაწილი ასახულია დოკუმენტში. დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია ბათუმის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მიერ:

ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების პროცესში ჩატარდა 11 შეხვედრა, ამათგან 3 შეხვედრა ჩატარდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან (მათ შორის მეწარმეები, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები), ადგილობრივი ეკონომიკისა და გეგმის თემატური ბლოკების განხილვის, გამოწვევებისა და პერსპექტივების შეფასების, SWOT ანალიზის, ხედვისა და მიზნების, სამოქმედო გეგმის შედგენისა და მათი მხრიდან შესაბამისი უკუკავშირის დადგენისათვის. 4 შეხვედრა გაიმართა დაკავშირებულ საჯარო სტრუქტურებთან, კერძოდ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა/რ ტურიზმის დეპარტამენტს, აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოსთან. დოკუმენტი ცალკე განხილული იქნა მერის მრჩეველთა საბჭოსთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მეწარმე იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. 3 შეხვედრა გაიმართა უმაღლეს სასწავლებლებთან, 1 შემაჯამებელი შეხვედრა - ყველა დაინტერესებულ მხარესთან ქალაქის მერის წარდგინებით. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა კომუნიკაცია სამუშაო ჯგუფის წევრებსა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის დამუშავებისა და კორექტირებისათვის. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები და სატელეფონო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან. გეგმის შემუშავებამდე არ არსებობდა ინსტიტუციონალიზებული უერთიერთობები ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის, ასევე სუსტი იყო კოორდინაცია მუნიციპალიტეტსა და სხვა საჯარო/კერძო უწყებებს შორის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გეგმის შემუშავების პროცესის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პროცესის შედეგად სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ქ. ბათუმის მერიას შორის, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობის საკითხებში თანამშრომლობაზე, საფუძველი ჩაეყარა ღია დიალოგის პლატფორმას ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის. პარტნიორობისა და ერთობლივი მუშაობისათვის დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რომლებიც გაწერილია სამოქმედო გეგმის ნაწილში.

2018 წლის III კვარტალში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ მომზადდა:

- განათლების პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია;
- კულტურის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია;
- სპორტის პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია;



- ახალგაზრდობის პოლიტიკის სოკუმენტის სამუშაო ვერსია.

ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა:

- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების გათვალისწინებით, მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ახალ, მუნიციპალურ დარგობრივ პროგრამებზე მუშაობა.

გარდა ამისა, ევროკავშირის პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ (M4EG) ფარგლებში, ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მიერ მომზადდა „ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის 2018-2020“ სამუშაო ვერსია, რომლის განხილვაც მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეებთან. განხილვის ფარგლებში, აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით, მოეწყო გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვა მოქმედ მეწარმე სუბიექტებთან.

„მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც 2016 წლიდან დაიწყო და მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქმედ ადგილობრივ თვითმმართველობებზე სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსიას, საქართველოს მოლდოვასა და უკრაინაში. ინიციატივის მიზანს წარმოადგენს მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ადგილობრივ დონეზე ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რის მიღწევასაც საკუთარი შესაძლებლობების გაგართობისა და ტექნიკური უნარების განვითარებით, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით შეძლებენ.

აღნიშნულ ინიციატივას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი 2018 წლის იანვარში მიუერთდა.

2018 წლის I-II კვარტალში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სტრატეგიული დოკუმენტების სტრუქტურა. ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტების სტრუქტურა. დოკუმენტები საბოლოო სახით წარმოდგენილი იქნება 2018 წლის ბოლომდე. აღნიშნული დოკუმენტების საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდგომ, მოხდება მათ საფუძველზე ახალი მუნიციპალური დარგობრივი პროგრამების შემუშავება.



1.1.3. მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ორ დონიანი სისტემის შექმნა

სტრატეგიული მიმართულება 1 მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი

პროგრამა	1.1.3. მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ორ დონიანი სისტემის შექმნა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული სამეურნეო საკითხების გადაწყვეტის მიმართულებით მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმის შექმნა, რაც შედეგად მისცემს შესაძლებლობას მუნიციპალიტეტს განახორციელოს სწრაფი და დროული რეაგირება ქალაქის სამეურნეო პრობლემების გადაჭრისას და უზრუნველყოს მოქალაქეთა მონაწილეობა ქალაქის სამეურნეო საკითხების მოგვარებასა და მართვაში.		
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება		
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების წესდების შემუშავება და დამტკიცება;	დამტკიცებული და წარმოდგენილი 14 ადმინისტრაციული ერთეულის საუბნო კავშირების წესდებები		
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების პროექტის პრეზენტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, თვითმმართველობის სტრუქტურულ ერთეულებსა და დაინტერესებულ მხარეებთან	ჩატარებული პრეზენტაციების მიმდინარე რაოდენობა		
შეხვედრების პროცესში ბარიერების იდენტიფიკაცია, შესაბამისი დამღევის ღონისძიებების შემუშავება და წარდგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა მიმდინარე		
მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების როლის განსაზღვრა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებებთან თანამშრომლობის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება	მუნიციპალიტეტის შესაბამისი ჩართული სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა მიმდინარე		



ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების ჩამოყალიბება და ამოქმედება	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების რაოდენობა	✓
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების კრებების ჩატარება და წესდების შესაბამისად, სამეურნეო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების მიერ წარდგენილი წინადადებებისა და პროექტების რაოდენობა	X
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებებთან თანამშრომლობის პრინციპის განსაზღვრა, შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება	საუბნო კავშირების ამოქმედებული სისტემა	✓
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების წარმომადგენელთათვის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით ტრენინგებისა და გადამზადების ღონისძიებების განხორციელება	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	✓
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზი	იმ ბიზნეს პროცესების რაოდენობა, რომელთა შესწავლა და ანალიზიც განხორციელდა	✓
პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა	შემუშავებული და დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფა	მიმდინარე
ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა.	ამოქმედებული ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალი	მიმდინარე
მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა გადამზადება და შესაძლებლობების გაძლიერება	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	მიმდინარე
მუნიციპალური სერვის ცენტრის შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	მიმდინარე



2018 წლის IV კვარტალი:

2018 წლის 25 დეკემბერს გაიხსნა მოქალაქეთა მომსახურების პირველი, ახალი სერვისცენტრი - ბაგრატიონის (ერთი) ადმინისტრაციულ ერთეულში. განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები სერვისცენტრის ტექნიკური აღჭურვისა და გამართვისთვის. მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისების მიღება გამარტივდა და უფრო კომფორტული გახდა. დასრულდა და 2019 წლის იანვარში გაიხსნება მორიგი განახლებული სერვისცენტრი ძველი ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულში. 2019 წლისთვის დაგეგმილია კიდევ ორი სერვისცენტრის მშენებლობა.

მიმდინარეობს ჭავჭავაძის, ზუბალაშვილის, 26 მაისისა და ლუკა ასათიანის ქუჩებს შორის, თიბისი ბანკის მიმდებარედ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრის ახალი ოფისის მშენებლობა.

2018 წლის III კვარტალში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის დავალების შესაბამისად მუნიციპალური სერვისების სამსახურმა შექმნა სტატისტიკის მოდული, რომელიც გამოქვეყნებულია მერიის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამ ეტაპზე შეიქმნა სტატისტიკის ორი მოდული: „ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურისა“ და „მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის“ სტატისტიკა.

2018 წლის ივნისიდან, ქალაქ ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური წარმატებით ჩაერთო „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში - მმს-ში“, რაც ამარტივებს აღნიშნული სამსახურის მიერ პროგრამების მართვასა და შემოსულ განცხადებებზე ინდივიდუალური წარმოების პროცესს. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ 2018 წლის მაისიდან ჩაერთო «საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში - eDocument - ში» ასევე დაგეგმა და ჩაატარა ტრენინგები თანამშრომლებისთვის. დაინერგა სსიპ „საფინანსო ანალიტიკური სამსახურის“ კიდევ ერთი პროდუქტი - „ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა - eHRMS“. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 მაისის №2194 ბრძანების თანახმად, ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებს მიენიჭათ, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების „eDocument“-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზასა და მმს-ის პროგრამაში, მერიაში სერვისების მიღების მიზნით შემოსული დოკუმენტების პირველადი დამუშავებისა და რეგისტრაციის უფლება. ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის თანამშრომლებს დაევალით მოქალაქეების მომსახურება (განცხადებების რეგისტრაცია, საპასუხო წერილების მიწოდება, ზოგადი კონსულტაციის გაწევა). განხორციელდა აღნიშნული თანამშრომლების გადამზადება „eDocument-ის“ და „მმსის“ ბაზაში კანცელარიის მიმართულებით მუშაობის უნარ-ჩვევებში. 2018 წლის ივლისში დასრულდა სერვისცენტრებში კანცელარიების გახსნა და ტექნიკური აღჭურვა, რის შემდეგაც მოქალაქეებს მერიის სერვისების ადგილზე მიღება შეუძლიათ.

მუნიციპალური სერვისების სამსახურმა შექმნა „მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა“ – idea.batumi.ge. აღნიშნული პროექტი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 დეკემბრის #539 დადგენილების სამოქმედო გეგმის III გამოწვევის - „საჯარო რესურსების უკეთესი მართვა“, 24-ე ვალდებულების - „ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა“ თანახმად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის დანერგვის ვალდებულების შესრულება. იგი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართვას ქალაქის ბიუჯეტის ნაწილის დაგეგმვასა და ქალაქის განვითარებისთვის სასარგებლო იდეების მოზიდვას. სამსახური მუშაობდა ორი მიმართულებით: 1. შესაბამისი ვებგვერდის მომზადებისა (შესრულებულია) და 2. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ სამოქალაქო



რეესტრის ბაზასთან წვდომის მოსაპოვებლად საჭირო სამუშაოების განხორციელების. სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან წვდომა აუცილებელია პლატფორმაზე დარეგისტრირებული მოქალაქეების რეგისტრაციის დასადგენად, პროექტის საჭიროებებიდან გამომდინარე. (მიმდინარეობს მოლაპარაკებები).

მუნიციპალური სერვისების სამსახური მუშაობს მერიის ახალი ვებ-გვერდისა და მუნიციპალიტეტის ერთიანი პორტალის შექმნაზე. უკვე შემუშავებულია საიტის სტრუქტურა და მიმდინარეობს კონსულტაციები მერიის სამსახურებთან, რის შემდეგაც დაიწყება ახალი საიტის დამზადებისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოები. შემდეგ ეტაპზე იგეგმება ელექტრონული სერვისების (ონლაინ კანცელარია) ინტეგრაცია, რაც მოქალაქეებს მისცემს საშუალებას მიიღონ სერვისები დისტანციურად.

მუნიციპალური სერვისების სამსახური მუშაობს ორ ახალ პროექტზე:

- „დაგეგმე მერთან ვიზიტი ონლაინ“, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ მოქალაქეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდის მეშვეობით შეეძლება დაგეგმოს მერთად ვიზიტი ადგილზე მისვლის გარეშე;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე, დაგეგმილი, დასრულებული პროექტებისა და სხვა მნიშვნელოვანი სიახლეების ერთ ვებ-გვერდზე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით განთავსებაზე, რაც მნიშვნელოვანია სერვისცენტრებისა და საუბნო კავშირების გააქტიურებისა და მოსახლეობის ჩართულობა/ინფორმირებისთვის.

მუნიციპალური სერვისების სამსახური დისტანციური სერვისების კიდევ ერთ პროექტზე - „ქოლცენტრზე“ მუშაობს. მიმდინარეობს კონსულტაციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და სსიპ „იუსტიციის სახლთან“, რომლებსაც აღნიშნული სერვისის წარმატებული მენეჯმენტის გამოცდილება აქვთ. მიმდინარეობს მუშაობა „ქოლცენტრისთვის“ საჭირო ხარჯდარიცხვის მოსამზადებლად და წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს. ასევე დაიგეგმა და მიმდინარეობს მუშაობა „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში - მმს-ში“ მერიის სხვა სამსახურების ჩართვაზე. საბოლოო შედეგი უნდა იყოს მერიისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისთვის ერთ სისტემაში, მოქნილი ელექტრონული სამუშაო გარემოს შექმნა, რაც გაამარტივებს დასაქმებული პირების სამუშაოს შესრულების პროცესს, ხოლო მერიის მიერ სერვისების მიწოდება მოქალაქეებისთვის უფრო სწრაფი და ეფექტური იქნება. უკვე მიღწეულია შეთანხმება სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“ „მმს-ში“ კანცელარიის ფუნქციის დამატებაზე, რაც ორ ან მეტ პროგრამაში მუშაობის აუცილებლობას გამოიწვევს და წარმოებაზე დახარჯულ დროს მკვეთრად შემცირებს.

2018 წლის I-II კვარტალში, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადა ტენდერი , საუბნო კავშირების დაფუძნებისა და დაფუძნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით. ტენდერში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია „განვითარების აკადემიის“ მიერ შერჩეული იქნა პროექტის განხორციელებაში მონაწილე თანამშრომელთა ჯგუფი და მოხდა მათი მომზადება სპეციალურად პროგრამის მიზნებისათვის; ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ქ. ბათუმის მერის რწმუნებულებთან, ამხანაგობების თავმჯდომარეებსა და აქტიურ მოქალაქეებთან; ტენდერში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ 14 ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით, საუბნო კავშირების დაფუძნების მიზნით ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები; შემუშავდა საუბნო კავშირის წესდება, კრების ოქმი და გამოკითხვის ანკეტა; განხორციელდა ამხანაგობების თავმჯდომარეების გამოკითხვები არჩეული იქნა მართველთა საბჭო და საუბნო კავშირის თავმჯდომარეები. ჩამოყალიბდა და ამოქმედდა 14 საუბნო კავშირი. ტენდერში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელდა საუბნო



კავშირების თავმჯდომარეებსა და მმართველი საბჭოს წევრების სწავლება გადამზადება და ამ მიზნით ჩატარდათ პროგრამით გათვალისწინებული ტრენინგი. მთლიანობაში ორდღიანი სწავლება-ტრენინგის კურსი გაიარა 56 ადამიანმა. მიმდინარე წლის 23 მაისს გაიმართა პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

გარდა ამისა, პროგრამის მიზნებისათვის, ქ. ბათუმის მერიაში განხორციელებული იქნა რეორგანიზაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო. სააგენტოს დაქვემდებარებაში ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შეიქმნა სტრუქტურული ქვედანაყოფები - მუნიციპალიტეტის სერვისცენტრები. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით სულ შეიქმნა 14 სერვისცენტრი. შესაბამისად განსაზღვრული იქნა სერვისცენტრების ფუნქციები, რომლის მიხედვითაც სერვისცენტრის ერთერთ ძირითად ფუნქციად განისაზღვრა ბინათმესაკუთრება ამხანაგობების გაერთიანებებთან - საუბნო კავშირებითან თანამშრომლობა, საუბნო კავშირების მიერ წარმოდგენილი საკითხებისა და წინადადებების სისტემატიზაცია, დაჯგუფება შესაბამის ორგანოებზე მიწოდება და საუბნო კავშირების მიერ დაფიქსირებული პრობლემების მოგვარების ორგანიზება და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მიერ განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის, მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის ბიზნეს პროცესების ანალიზი. ბათუმის ვებ-გვერდზე განთავსებულ ბმულზე, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შესაბამისი ნებართვის მამიებელი პირის განცხადების დაკმაყოფილების ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.



2. ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

2.1. ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლა. ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა

2.1.1. ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევა

სტრატეგიული მიმართულება 2

ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	2.1.1 ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევა
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოცემული კვლევა არის საფუძველი, რომელიც განაპირობებს თუ რა დარგების განვითარებაშია ბათუმის, როგორც ქალაქის არსებობისა და განვითარების პერსპექტივა. მოცემული დოკუმენტი ავტომატურად ხდება საფუძველი და ნაწილი ისეთი სხვა სტრატეგიული დოკუმენტებისა, როგორიცაა ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ქ. ბათუმის ინვესტირების გეგმა. შედეგად, კვლევა შექმნის სტრატეგიული დარგებისა და ორგანიზაციების განვითარების სქემას და შექმნის შესაძლებლობებს მათი განვითარების კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის
ღონისძიებები: ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;	შესრულების ინდიკატორი შემუშავებული ტექნიკური დავალების დოკუმენტი
	შესრულება ✓
ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა.	ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევა
	შესრულება X

2018 წლის IV კვარტალი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 27 დეკემბერს გამოსცა განკარგულება №75, რომლითაც მოიწონა (შეიტანხმა) „ქ. ბათუმის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მერიის მიერ მომზადებული დოკუმენტაცია წარდგენილი დანართის შესაბამისად და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში დაიწყო ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და



განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით კონკურსის გამოცხადებისათვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

2018 წლის III კვარტალში,

ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალების შემუშავებისათვის 2018 წლის ზაფხულში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწვეული იქნა ექსპერტი სივრცითი დაგეგმარების საკითხებში - ვახტანგ ჯოხაძე, მასთან კონსულტაციების შედეგად დადგინდა ტექნიკური დავალების დამუშავება არამხოლოდ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადებისათვის, არამედ სხვა სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებზეც, როგორცაა:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა (სგგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (მგგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (გრწ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი კადასტრი (ქკ).

ტექნიკური დავალების მიხედვით სამუშაოები უნდა დაიწყოს 2 ეტაპად, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს შემდეგი დოკუმენტაციის შესყიდვა:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში, მათ შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შეჯერებული განვითარების ხედვა და ინტეგრირებული სტრატეგია;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების განვრცობისთვის/განახლებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში, მათ შორის მიწათსარგებლობის სტრატეგია;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების შემუშავებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში.

წარმოდგენილი კვლევების გათვალისწინებით შესყიდვის მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია გეგმარებითი დავალებების მიღება შემდეგ დოკუმენტებზე:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის გეგმარებითი დავალება;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული გეგმარებითი დავალება (იხ. 1)B);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საპროექტო მომსახურების საბოლოო მიღწევა უნდა იყოს შემუშავებული გეგმარებითი დავალებებისა და დამატებით განსაზღვრული კვლევების საფუძველზე, წინამდებარე ტექნიკური დავალების მოთხოვნათა დაცვით, შემდეგი დოკუმენტების შემუშავების შესაძლებლობა:

- 1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა (სგგ);
- 2) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (მგგ);
- 3) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ);



- 4) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (გრწ);
- 5) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი კადასტრი.

დოკუმენტის სამუშაო ვერსია გადაიგზავნა დარგის სპეციალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რის შემდეგაც გაიმართა საჯარო განხილვების ორი ეტაპი. წარმოდგენილ იქნა შენიშვნები შემდეგი კომპანიების მხრიდან, კერძოდ: საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და ა(ა)იპ სითი ინსტიტუტი საქართველო. ამ ეტაპზე საჭიროა მოხდეს ფასთა კვლევების საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაციის საორიენტაციო ღირებულების დადგენა, რისთვისაც დარგის სპეციალისტებს და კომპანიებს გადაეგზავნათ შესაბამისი კითხვარი და შესავსები ფორმა. ფასთა კვლევების წარმოდგენისთანავე შესაძლებელი იქნება კონკურსის/ტენდერის გამოცხადება. ბაზუსტა წარმოდგენილი შენიშვნები და ფასთა კვლევების წარმოდგენისათვის განისაზღვრა კონკრეტული დრო მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე. ტექნიკური დავალება ითვალისწინებს ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვასაც.

2018 წლის I-II კვარტალში, პროგრამის ფარგლებში მომზადდა ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსია. დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად, გადაწყდა აღნიშნული ტექნიკური დავალების გათვალისწინება ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში. შედეგად, ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების დოკუმენტის შემუშავებას წინ გაუსწრებს ყველა გათვალისწინებული კვლევის ჩატარება (მათ შორის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა) და შესაბამისი შედეგების გათვალისწინება.



2.1.2. ქალაქ ბათუმის პროფილური ორგანიზაციების სივრცითი განთავსების გეგმის მომზადება

სტრატეგიული მიმართულება 2 ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გამპლირება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	2.1.2. ქალაქ ბათუმის პროფილური ორგანიზაციების სივრცითი განთავსების გეგმის მომზადება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია შექმნას სახელმძღვანელო გეგმა ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით რომელიც გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს ქალაქის გეგმაზომიერ განვითარებას, გახდება გზამკვლევი მუნიციპალიტეტისათვის კონკრეტული საინვესტიციო პროექტებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციაში ბათუმის პროფილური ორგანიზაციების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება;	ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის გეგმაში ასახული საკითხების რაოდენობა X
ქ. ბათუმის პროფილური დარგების ინვესტირების გეგმის მომზადება.	მომზადებული პროფილური დარგების ინვესტირების გეგმა X

აღნიშნული პროგრამის ღონისძიებების განხორციელება იგეგმება ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის გეგმის შემუშავების შემდგომ, 2020 წლიდან.



2.1.3 ქალაქწარმომქმნელი საწარმოების შექმნის, ამოქმედებისა და არსებული საწარმოების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება

სტრატეგიული მიმართულება 2

ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	2.1.3 ქალაქწარმომქმნელი საწარმოების შექმნის, ამოქმედებისა და არსებული საწარმოების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქალაქწარმომქმნელი საწარმოების გაძლიერება, ქალაქწარმომქმნელ დარგებში ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს ქალაქის პროფილის დივერსიფიკაციაზე.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა;	ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის დოკუმენტი X
ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;	ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა X
ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ახალი სტარტაპ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მხარდაჭერა.	ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით განხორციელებული სტარტაპ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა X

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილია 2020 წლიდან, ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის გეგმის შემუშავების შემდგომ.



2.1.4. პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერება

სტრატეგიული მიმართულება 2

ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	2.1.4. პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერება		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას მეწარმეებისა და პოტენციური მეწარმეების ინფორმირების ამაღლების, მათი ჩართულობის გაზრდით სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებში რაც შედეგად გაზრდის სამეწარმეო აქტივობას და უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.		
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	
თანამშრომლობის ინიცირება შესაბამის პროფესიულ ასოციაციებთან	დამყარებული თანამშრომლობის რაოდენობა	მიმდინარე	
კონტაქტების დამყარება მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან;	მერიის მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობა	X	
თანამშრომლობა ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან მეწარმეობისა და სტარტაპ ბიზნესის განვითარების მიმართულებით პროგრამების განხორციელების მხარდაჭერისათვის;	მერიის მხარდაჭრით განხორციელებული სახელმწიფო პროექტების რაოდენობა	X	
საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მეწარმეებსა და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან.	ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	მიმდინარე	

IV კვარტალი

ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების პროცესში ჩატარდა 11 შეხვედრა, ამათგან 3 შეხვედრა ჩატარდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან (მათ შორის მეწარმეები, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები), ადგილობრივი ეკონომიკისა და გეგმის თემატური ბლოკების განხილვის, გამოწვევებისა და პერსპექტივების შეფასების, SWOT ანალიზის, ხედვისა და მიზნების, სამოქმედო გეგმის შედგენისა და მათი მხრიდან შესაბამისი უკუკავშირის



დადგენისათვის. 4 შეხვედრა გაიმართა დაკავშირებულ საჯარო სტრუქტურებთან, კერძოდ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა/რ ტურიზმის დეპარტამენტს, აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოსთან. დოკუმენტი ცალკე განხილული იქნა მერის მრჩეველთა საბჭოსთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მეწარმე იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. 3 შეხვედრა გაიმართა უმაღლეს სასწავლებლებთან, 1 შემაჯამებელი შეხვედრა - ყველა დაინტერესებულ მხარესთან ქალაქის მერის წარდგინებით. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა კომუნიკაცია სამუშაო ჯგუფის წევრებსა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის დამუშავებისა და კორექტირებისათვის. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები და სატელეფონო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან. გეგმის შემუშავებამდე არ არსებობდა ინსტიტუციონალიზებული უერთიერთობები ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის, ასევე სუსტი იყო კოორდინაცია მუნიციპალიტეტსა და სხვა საჯარო/კერძო უწყებებს შორის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გეგმის შემუშავების პროცესის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პროცესის შედეგად **სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ქ. ბათუმის მერიას შორის, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი** ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობის საკითხებში თანამშრომლობაზე, საფუძველი ჩაეყარა ღია დიალოგის პლატფორმას ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის. პარტნიორობისა და ერთობლივი მუშაობისათვის დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რომლებიც გაწერილია სამოქმედო გეგმის ნაწილში.

III კვარტალი

მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს, სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით, გაიმართა შეხვედრა მოქმედ მეწარმე სუბიექტებთან, რომლებსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურმა წარუდგინა ქ. ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის პროექტი. აღნიშნული გეგმის პროექტი მოიცავს იმ პროგრამებს, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში და მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასა და მეწარმეობის სტიმულირებაზე.

აღნიშნული გეგმა სპეციალურად მომზადდა ევროკავშირის პროექტის - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში და მისი მიზანია მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რის მიღწევასაც საკუთარიშესაძლებლობების გაფართოებისა და ტექნიკური უნარების განვითარებით და კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მეშვეობით შეძლებენ.

აღნიშნულ ინიციატივას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი 2018 წლის იანვარში მიუერთდა. ვალდებულება ითვალისწინებს ხელმოწერიდან 1 წლის განმავლობაში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებას პარტნიორობის პრინციპის გათვალისწინებით (სამოქალაქო საზოგადოება, მუნიციპალიტეტი, დონორები, ბიზნესი).



2.2 ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივის შესწავლა. ბათუმის ქალაქმომსახურების ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა

2.2.1. ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა

სტრატეგიული მიმართულება 2

ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	2.2.1. ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა			
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქალაქის მომსახურების სფეროს წამყვანი დარგებისა და ორგანიზაციების შესწავლის საფუძველზე გამოვლენა, მათი არსებული მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების დადგენა. მათი როლის განსაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში. კვლევის საფუძველზე აღინშნული დარგებისა და ორგანიზაციების გაძლიერების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.			
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი		შესრულება	
ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;	მომზადებული დოკუმენტი	ტექნიკური დავალების	✓	
ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვა.	ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის დოკუმენტი		X	

IV კვარტალი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 27 დეკემბერს გამოსცა განკარგულება №75, რომლითაც მოიწონა (შეიტანხმა) „ქ. ბათუმის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მერიის მიერ მომზადებული დოკუმენტაცია წარდგენილი დანართის შესაბამისად და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში დაიწყო ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით კონკურსის გამოცხადებისათვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება.



2018 წლის III კვარტალში, ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალების შემუშავებისათვის 2018 წლის ზაფხულში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწვეული იქნა ექსპერტი სივრცითი დაგეგმარების საკითხებში - ვახტანგ ჯოხაძე, მასთან კონსულტაციების შედეგად დადგინდა ტექნიკური დავალების დამუშავება არამხოლოდ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადებისათვის, არამედ სხვა სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებზეც, როგორიცაა:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა (სგგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (მგგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (გრწ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი კადასტრი (ქკ).

ტექნიკური დავალების მიხედვით სამუშაოები უნდა დაიყოს 2 ეტაპად, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს შემდეგი დოკუმენტაციის შესყიდვა:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში, მათ შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შეჯერებული განვითარების ხედვა და ინტეგრირებული სტრატეგია;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების განვრცობისთვის/განახლებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში, მათ შორის მიწათსარგებლობის სტრატეგია;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების შემუშავებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში.

წარმოდგენილი კვლევების გათვალისწინებით შესყიდვის მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია გეგმარებითი დავალებების მიღება შემდეგ დოკუმენტებზე:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის გეგმარებითი დავალება;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული გეგმარებითი დავალება (იხ. 1)B);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საპროექტო მომსახურების საბოლოო მიღწევა უნდა იყოს შემუშავებული გეგმარებითი დავალებებისა და დამატებით განსაზღვრული კვლევების საფუძველზე, წინამდებარე ტექნიკური დავალების მოთხოვნათა დაცვით, შემდეგი დოკუმენტების შემუშავების შესაძლებლობა:

- 1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა (სგგ);
- 2) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (მგგ);
- 3) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ);
- 4) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (გრწ);
- 5) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი კადასტრი.

დოკუმენტის სამუშაო ვერსია გადაიგზავნა დარგის პეციალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რის შემდეგაც გაიმართა საჯარო განხილვების ორი ეტაპი. წარმოდგენილ იქნა შენიშვნები შემდეგი კომპანიების მხრიდან, კერძოდ: საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და ა(ა)იპ სითი ინსტიტუტი საქართველო. ამ ეტაპზე საჭიროა მოხდეს ფასთა კვლევების საფუძველზე



საკონკურსო დოკუმენტაციის საორიენტაციო ღირებულების დადგენა, რისთვისაც დარგის სპეციალისტებს და კომპანიებს გადაეგზავნათ შესაბამისი კითხვარი და შესავსები ფორმა. ფასთა კვლევების წარმოდგენისთანავე შესაძლებელი იქნება კონკურსის/ტენდერის გამოცხადება. დაზუსტდა წარმოდგენილი შენიშვნები და ფასთა კვლევების წარმოდგენისათვის განისაზღვრა კონკრეტული დრო მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე. ტექნიკური დავალება ითვალისწინებს ბათუმის ქალაქმოსახურე ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვასაც.

2018 წლის I-II კვარტალში, პროგრამის ფარგლებში მომზადდა ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსია. დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად, გადაწყდა აღნიშნული ტექნიკური დავალების გათვალისწინება ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის გეგმაში. შედეგად, ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის გეგმის შემუშავებას წინ გაუსწრებს ყველა გათვალისწინებული კვლევის ჩატარება (მათ შორის ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევა) და შესაბამისი შედეგების გათვალისწინება.

ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვა განხორციელდება ზემოაღნიშნული გეგმის შემუშავების ფარგლებში.



2.2.2. ბათუმის ქალაქმომსახურეობის სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნისა და არსებული ორგანიზაციების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელება

სტრატეგიული მიმართულება 2

ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	2.2.2. ბათუმის ქალაქმომსახურეობის სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნისა და არსებული ორგანიზაციების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელება	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია შესწავლის საფუძველზე უზრუნველყოს ქალაქის მომსახურეობის სფეროს წამყვანი მიმართულებებისა და ორგანიზაციების გამოვლენა. ასევე ამ ორგანიზაციებისა და მიმართულებების განვითარების ბარიერების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. რაც შედეგად უზრუნველყოფს ქალაქმომსახურეობის ორგანიზაციების გაძლიერებასა და მათი რაოდენობის ზრდას.	
	ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი
ქალაქ ბათუმის ქალაქმომსახურეობის ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქმომსახურე ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა	-----	X
არსებული ქალაქმომსახურე ორგანიზაციების გაძლიერებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობი ღონისძიებები დაგეგმვა და განხორციელება	ქალაქმომსახურეობის ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების ხელშეწყობის დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა	X
ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ახალი ქალაქმომსახურე ორგანიზაციების შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა, სახელმწიფო და რეგიონულ პროგრამებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა	მერიის მხარდაჭერით განხორციელებული სახელმწიფო და რეგიონული პროექტების რაოდენობა.	X

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილია 2020 წლიდან ქ.
ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის გეგმის შემუშავების
შემდგომ.



3. ქ. ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

3.1. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

3.1.1. ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა

სტრატეგიული მიმართულება 3 ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.1.1. ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ბიზნესის განვითარების სტიმულირება და დასაქმების ხელშეწყობა ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნისა და ამოქმედების გზით. აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს საწარმოო სივრცეების შეღავათიანი პირობებით სარგებლობის შესაძლებლობებს არსებული და დამწყები მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის.		
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრისათვის ქალაქის ფარგლებში შესაბამისი ტერიტორიის შერჩევა და დაპროექტება	საწარმოო ბიზნეს ცენტრისათვის გამოყოფილი ტერიტორია. ტერიტორიის პროექტირების დოკუმენტი.	მიმდინარე
ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის უზრუნველყოფა აუცილებელი კომუნიკაციებით (გზის მიყვანა, ელექტრენერგიით, ბუნებრივი აირის სისტემით, წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა)	კომუნიკაციებით აღჭურვილი საწარმოო ბიზნეს ცენტრის ტერიტორია.	X
საწარმოო სივრცეების მშენებლობა;	საწარმოო სივრცეების რაოდენობა	X
პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების ფორმების, დოკუმენტაციისა და შერჩევის კრიტერიუმების მომზადება;	საწარმოო ბიზნეს ცენტრის შემუშავებული მოდელი	✓
შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების მიღება, განხილვა და შერჩევა საკოორდინაციო ჯგუფის მიერ;	შემოსული და დაკმაყოფილებული განაცხადების რაოდენობა	X



შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის გამოყოფილი ტერიტორიისა და შენობის შეღავათიანი იჯარით გადაცემა;	საწარმოო ბიზნეს სივრცით მოსარგებლე ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა	X
შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის შესაძლებლობების გაძლიერების, საკონსულტაციო ღონისძიებების განხორციელება;	ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა, მიწოდებული სერვისის რაოდენობა.	X
შერჩეული ბიზნეს სუბიექტების მუდმივი მონიტორინგი და განვითარების ანგარიშების მომზადება.	მონიტორინგის ანგარიშების დოკუმენტები	X

2018 წლის IV კვარტალში,

მიმდინარეობს სამუშაოები ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესახებ.

2018 წლის III კვარტალში, მიმდინარეობს მოლაპარაკება აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან, საწარმოო ბიზნეს ცენტრის მოწყობისათვის კახაბერში მდებარე ტერიტორიის გადმოცემის საკითხთან დაკავშირებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელდა აღნიშნული ტერიტორიის დაგეგმარება და შეთანხმება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან.

2018 წლის I-II კვარტალში, პროგრამის ფარგლებში მომზადდა საწარმოო ბიზნეს ცენტრის მოდელის სამუშაო ვერსია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საწარმოო ბიზნეს ცენტრის კონცეფციას, მოსარგებლეთა პროფილს, ბიზნეს ცენტრის ოპერირებისა და დაფინანსების საკითხებს, ასევე პროგრამის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმებს. გარდა ამისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

საწარმოო ბიზნეს ინკუბატორისათვის შერჩეული იყო ქალაქ ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 50 077 კვ. მეტრი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.32.06.148), რომელიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 15 მარტის #45 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ტერიტორიის სარეკრეაციო ფუნქციის გამო, აღნიშნული ტერიტორია საწარმოო ბიზნეს ცენტრის მოწყობისათვის აღარ გამოიყენება. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან, საწარმოო ბიზნეს ცენტრის მოწყობისათვის მომიჯნავე ტერიტორიის გადმოცემის საკითხთან დაკავშირებით.



3.1.2. საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 3

ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.1.2. საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა და დასაქმების ზრდა მსხვილი საერთაშორისო კომპანიების მოზიდვითა და მათი ქ. ბათუმში ოპერირების ხელშეწყობის გზით. რაც შედეგად ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და განხორციელებას, მეორეს მხრივ შეამცირებს უმუშევრობის და დასაქმების პრობლემას.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოდელის შემუშავება;	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შემუშავებული მოდელი	X
ბიზნეს მოდელის საფუძველზე საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოწყობის სამუშაოების განხორციელება (ტერიტორიის შერჩევა, დაპროექტება, კომუნიკაციებით უზრუნველყოფა და მშენებლობა);	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ფართობი, კომუნიკაციების რაოდენობრივი სტატისტიკა, საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შენობის ფართობი.	X
საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ამოქმედება.	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრით მოსარგებლე ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა.	X

პროგრამის ამოქმედება იგეგმება 2019 წლიდან. ამჟამად მიმდინარეობს კვლევის ტექნიკურ დავალებაზე მუშაობა.



3.1.3. ადგილობრივი განვითარების ფორუმების ორგანიზება

სტრატეგიული მიმართულება 3 ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.1.3. ადგილობრივი განვითარების ფორუმების ორგანიზება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია უზრუნველყოს: ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ადგილობრივი განვითარების გრძელვადიანი პლატფორმის შექმნა; საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებს შორის ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა; გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ექსპერტებსა და აკადემიურ წრეებს შორის უშუალო და ინტერაქტიული კომუნიკაციის დამყარება და ქალაქებს შორის თანამშრომლობის ინიცირება. შედეგად ფორუმის ფარგლებში შეიქმნება: მდგრად ურბანულ განვითარებაზე, ბიზნეს და საინვესტიციო თემატიკაზე მომუშავე ინტერაქტიული პლატფორმა; მდგრადი ურბანული განვითარების, ბიზნესის ხელშეწყობისა და ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით ახალი პროექტები და პარტნიორობები; გაზრდილი იქნება ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო ასპარეზზე.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
ქალაქ ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმის კონცეფციის მომზადება;	შემუშავებული კონცეფცია ✓
განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა;	შემუშავებული პროგრამა ✓
მდგრადი განვითარების ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა და ფორუმის ჩატარება	ჩატარებული მდგრადი განვითარების ფორუმი ✓
ქალაქ ბათუმის საინვესტიციო ფორუმის კონცეფციის მომზადება; განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად საინვესტიციო ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა;	მომზადებული საინვესტიციო ფორუმის კონცეფცია და პროგრამა X



საინვესტიციო ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა და საინვესტიციო ფორუმის ჩატარება.	ჩატარებული საინვესტიციო ფორუმი	X
მდგრადი განვითარების, ბიზნეს და საინვესტიციო ღონისძიებების კერძო ინიციატივების თანადაფინანსებისათვის, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პროექტის თანადაფინანსების კრიტერიუმების შემუშავება;	საკონფერენციო კერძო ინიციატივების დაფინანსების კრიტერიუმების დოკუმენტი	X
თანადაფინანსების მიზნით შემოსული კერძო ინიციატივების შერჩევა;	თანადაფინანსებული კერძო ინიციატივების რაოდენობა	X
შერჩეული კერძო ინიციატივების თანადაფინანსება.	თანადაფინანსებით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	X

2018 წლის IV კვარტალი:

2018 წლის პროგრამის გეგმა - მდგრადი განვითარების პირველი ფორუმის ჩატარება, რომელიც ეძღვნებოდა მდგრადი ურბანული მობილობის საკითხებს, წარმატებით განხორციელდა მიმდინარე წილს მე-3 კვარტალში. პროგრამის ფარგლებში, UNDP საქართველოს, City Institute საქართველოსა და GIZ პარტნიორობით, მომზადდა ბათუმის მდგრადი განვითარების პირველი ფორუმის კონცეფცია და დღის წესრიგი. 2018 წლის 16 ნოემბერს, ქ. ბათუმში, სასტუმრო შერატონში ჩატარდა ბათუმის მდგრადი განვითარების პირველი ფორუმი. ფორუმის 2018 წლის თემატიკა დაეთმო მდგრად ტრანსპორტს, დევიზით: „მდგრადობა, მობილობა, ადამიანი“. ფორუმზე მოხსენებებით წარსდგნენ ურბანული მობილობის და ტრანსპორტის სპეციალისტები. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები, საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული პროფესიონალები, დიპლომატიური კორპუსისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ფორუმის თანაორგანიზატორები არიან: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), სიტი ინსტიტუტი საქართველო და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). ფორუმის განხორციელება დაგეგმილია ყოველწლიურად. 2019 წელს ფორუმის თემატიკის განსაზღვრა მოხდება ქალაქისათვის აქტუალური თემიდან გამომდინარე.

2018 წლის III კვარტალი:

პროგრამის ფარგლებში, UNDP საქართველოს, City Institute საქართველოსა და GIZ პარტნიორობით, მომზადებულია ბათუმის მდგრადი განვითარების პირველი ფორუმის კონცეფცია და დღის წესრიგი. ბათუმის მდგრადი განვითარების პირველი ფორუმის ფარგლებში ჩატარდება მე-2 საერთაშორისო სატრანსპორტო



საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმი, რომელსაც პირველად 2016 წელს თბილისმა უმასპინძლა, ამ სფეროში ინოვაციური იდეების გასავრცელებლად შეიქმნა. დარგის ექსპერტებისა და სპეციალისტების ერთ პლატფორმაზე გაერთიანებით, ფორუმი მიზნად ისახავს საქართველოსათვის აქტუალური საკითხებისა და ტრანსპორტის განვითარებითი მიდგომების განხილვას.

თანამედროვე მსოფლიოში სატრანსპორტო სისტემების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. სწორედ ამიტომ, ტრანსპორტის მდგრადი განვითარება ნიშნავს გადაადგილების პრობლემების გადაჭრას ისე, რომ ზიანი არ მიაღწეს ბუნებრივ გარემოსა და გამწვანებას, ეკონომიკასა და ბიზნესს, ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

2018 წლის 16 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში ჩატარდება რიგით მეორე საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმი, რომლის სლოგანია: „მდგრადობა, მობილობა, ადამიანი“. ფორუმზე მოხსენებებით წარსდგებიან როგორც ადგილობრივი სატრანსპორტო დარგის ექსპერტები, ასევე ცნობილი სპეციალისტები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები, საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული პროფესიონალები, დიპლომატიური კორპუსისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ დღეს ქალაქი ბათუმი ტრანსპორტის სპეციალისტებისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ის ფაქტობრივად პირველი ქალაქია საქართველოში, რომელმაც ფართომასშტაბიანი სატრანსპორტო რეფორმა დაიწყო, რაც დეტალურად იქნება განხილული ფორუმის ფარგლებში.

ფორუმის თანაორგანიზატორები არიან: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ააიპ სითი ინსტიტუტი საქართველო და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

2018 წლის I-II კვარტალი:

პროგრამის ფარგლებში, UNDP საქართველოს, City Institute საქართველოსა და GIZ პარტნიორობით, მომზადდა ბათუმის მდგრადი განვითარების პირველი ფორუმის კონცეფცია და დღის წესრიგი. მდგრადი განვითარების პირველი ფორუმი, რომელიც ჩატარდება მიმდინარე წლის 16 ნოემბერს, ქ. ბათუმში, მიემდგვნება მდგრად სატრანსპორტო მობილობას

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციისა და ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წლის 7 აგვისტოს, ქ. ბათუმის მერი პოლონრი კომპანია PFI Future-ს აღმასრულებელ დირექტორ მარეკ ნოვარასა და კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე სამომავლო გეგმებსა და რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის განვითარებაზე ისაუბრეს. პოლონური კომპანია საგანმანათლებლო-გასართობი და ტურისტული მიმართულების კომპლექსური პროექტის განხორციელებას გეგმავს, ასევე მზად არის, რეგიონში 185 მლნ. ევროს ღირებულების ინვესტიცია განახორციელოს.



3.2. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

3.2.1. ტურისტული პოტენციალის კვლევა

სტრატეგიული მიმართულება 3

ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.2.1. ტურისტული პოტენციალის კვლევა						
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი ლონისძიებები: ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალების მომზადება და ტენდერის გამოცხადება; ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვა.	მოცემული კვლევა საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს შეადგინოს ქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა, შეიმუშავოს კონკრეტული ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის პროექტები და იზრუნოს მათ განხორციელებაზე. <table> <tr> <th>შესრულების ინდიკატორი</th><th>შესრულება</th></tr> <tr> <td>ტურისტული პოტენციალის შემუშავებული კვლევის ტექნიკური დავალება</td><td>X</td></tr> <tr> <td>შემუშავებული ტურისტული პოტენციალის კვლევა</td><td>X</td></tr> </table>	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	ტურისტული პოტენციალის შემუშავებული კვლევის ტექნიკური დავალება	X	შემუშავებული ტურისტული პოტენციალის კვლევა	X
შესრულების ინდიკატორი	შესრულება						
ტურისტული პოტენციალის შემუშავებული კვლევის ტექნიკური დავალება	X						
შემუშავებული ტურისტული პოტენციალის კვლევა	X						

აჭარის არ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „ჯი ემ სი ჯი“-მ, რომელმაც მოამზადა აჭარის ტურისზმის განვითარების სტრატეგია. ამჟამად დოკუმენტი წარდგენილია შეფასებისათვის.

ქ. ბათუმის მერია იხელმძღვანელებს აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ მომზადებული სტრატეგიის მიგნებებითა და რეკომენდაციებით.



3.2.2. საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირება

სტრატეგიული მიმართულება 3

ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.2.2. საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქალაქში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა და შესაბამისად ტურისტული და სხვა თანამდევნი სექტორების განვითარება.
ლონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირების განვითარების მიზნით კონტაქტების დამყარება შესაბამის ოპერატორებთან;	ოპერატორი კომპანიების რაოდენობა X
საერთაშორისო და ადგილობრივ ლონისძიებებში მონაწილეობა საზღვაო და საჰაერო კავშირების განვითარების პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით;	საერთაშორისო და ადგილობრივი ლონისძიებების რაოდენობა X
საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტირების განვითარების მიზნით კავშირების დამყარება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან;	პარტნიორი ქალაქების რაოდენობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან X
საერთაშორისო და ადგილობრივ ლონისძიებებში მონაწილეობა ნავსადგურის პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით.	საერთაშორისო და ადგილობრივი ლონისძიებების რაოდენობა X

პროგრამის ამოქმედება იგეგმება 2019 წლიდან. მიმდინარე პერიოდისათვის მიმდინარეობს მუშაობა ბათუმი-ნახიჩევანის მიმართულებით ავიარეისის განვითარებასთან დაკავშირებით.



3.2.3. საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 3

ბათუმის ეკონომიკური პროფილის გამდიდრება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.2.3. საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა განათლების საერთაშორისო ბაზარზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებლების შესაძლებლობების განვითარების გზით.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა;	მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების რაოდენობა	X
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა;	ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებმაც ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებში	X
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების თანადაფინანსება;	ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებმაც ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით გაიარეს სტაჟირება უცხოეთში	X
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების მხარდაჭერა.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით.	X

IV კვარტალი

პროგრამის ამოქმედება დაგეგმილია 2019 წლიდან. ამჟამად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ მიმდინარეობს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამების პროექტებზე მუშაობა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ, 2018 წელს მომზადდა და 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ქვეპროგრამა „საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარება“, რომელიც ითვალისწინებს: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირებისა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერას. ბიუჯეტი - 30 000 ლარი.



3.2.4. სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 3

ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.2.4. სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია გაზარდოს ბათუმის, როგორც საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობა და როლი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის, როგორც ქალაქის ერთერთი მაპროფილებელი მიმართულების განვითარებას.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
მსხვილ სასპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში აუცილებელი დარგებისა და სერვისების განვითარების კვლევის მომზადება;	მსხვილ სასპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში აუცილებელი დარგებისა და სერვისების კვლევა	X
კვლევის საფუძველზე საინვესტიციო წინადადებების შემუშავება;	შემუშავებული საინვესტიციო წინადადებების რაოდენობა	X
მათი განხორციელების პრომოუშენი ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და შეხვედრებზე.	საერთაშორისო ღონისძიებებისა და შეხვედრების რაოდენობა	✓

III-IV კვარტალი

2018 წლის 2 აგვისტოს ACES Europe-ის მიერ ქალაქ ბათუმს ოფიციალურად მიენიჭა ტიტული „2019 წლის ევროპის სპორტის ქალაქი“. აღნიშნულთან დაკავშირებით ACES Europe-ის მიერ სხვადასხვა ქალაქების და მათ შორის ბათუმის გალა დაჯილდოებაზე დასწრების მიზნით მიმდინარე წლის 4 დეკემბერს ბელგიის ქალაქ ბრიუსელში მიწვეული იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის დელეგაცია.

ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა კანდიდატურის დაცვა, რომელიც მოიცავდა პრეზენტაციის ჩვენებას და კითხვა-პასუხის რეჟიმს. ვიზიტის ბოლოს კი კომისიის მიერ განხორციელდა დახურული ხმის მიცემის პროცესი, რომლის შედეგადაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 2018 წლის 2 აგვისტოს წერილობით ოფიციალურად გვაცნობეს კომისიის გადაწყვეტილება ბათუმის დაჯილდოების თაობაზე.

I-II კვარტალი

ACES Europe-ი, რომელიც ბრიუსელში დაფუძნებული არაკომერციული ორგანიზაციაა, ყოველწლიურად ახდენს ევროპული ქალაქებისთვის „ევროპის სპორტის დედაქალაქის“, „ევროპის



სპორტის ქალაქის“, „ევროპის სპორტის თემისა“ და „ევროპის სპორტის მცირე ზომის ქალაქის“ სტატუსების მინიჭებას. საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით, ბათუმმა მოამზადა განაცხადი “ევროპის სპორტის ქალაქი“-ს ნომინაციის მოსაპოვებლად. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, პროცედურებისა და მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა და წარსდგა პრეზენტაცია ACES Europe-ის შესაბამის კომისიასთან.

მსხვილ სასპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში აუცილებელი დარგებისა და სერვისების განვითარების კვლევის მომზადება და კვლევის საფუძველზე საინვესტიციო წინადადებების შემუშავება განხორციელდება ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის მომზადების საფუძველზე.



3.2.5.სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 3 ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.2.5.სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა შესაბამის ცენტრალურ და რეგიონულ სამთავრობო სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ხელი შეუწყოს ქალაქ ბათუმის ცნობადობის ზრდა სამედიცინო ტურიზმის თვალსაზრისით, სამედიცინო დაწესებულებების დატვირთვის კოეფიციენტის ზრდას, სამედიცინო სფეროში აკუმულირებული შემოსავლების ზრდასა და სამედიცინო ბიზნესის განვითარებას.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა;	სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა, სადაც განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით	X
სამედიცინო პერსონალის გადამზადება, მათ შორის მსოფლიოს წამყვან კლინიკებში;	ქ. ბათუმის მერიის ხელშეწყობით გადამზადებული ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობა	X
დონორებისა და ინვესტორების მოზიდვა სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველსაყოფად;	პარტნიორი ორგანიზაციებისა და ინიცირებული პროექტების რაოდენობა	X
ბათუმის, როგორც სამედიცინო ტურიზმის ცენტრის ბრენდირება და შესაბამისი საპრომოუშენო ღონისძიებების განხორციელება.	მასტიმულირებელი ღონისძიებების რაოდენობა	X

IV კვარტალი

პროგრამის ამოქმედება იგეგმება 2019 წლიდან. ამჟამად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამების პროექტებზე. სამედიცინო ტურიზმის კუთხით, 2019 წელს დაგეგმილია სამედიცინო დაწესებულებებში კვლევის ჩატარება. ამ კუთხით განხორციელდა ბაზრის კვლევა და გამოიკვეთა ის ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ კუთხით



3.3. საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

3.3.1. თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება

სტრატეგიული მიმართულება 3 ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.3.1. თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევას საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ამოცანებისა და აქტივობების განხორციელება არასამთავრობო, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის საფუძველზე.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინიცირება;	ინიცირებული თანამშრომლობის რაოდენობა; ✓ პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა.
საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.	ერთობლივი პროექტების რაოდენობა ✓

2018 წლის IV კვარტალი:

პროექტის - „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება“ პროექტის ფარგლებში სპეციალურად გამოყოფილი სატენდერო აგენტის მიერ მომზადდა



განმახორციელებელი კონსულტანტის წინასწარი შერჩევის ტექნიკური დავალება, რომელიც შეთანხმდა პროექტის აღმასრულებელ სააგენტოსა და სამუშაო ჯგუფის წევრებთან. წინასწარი შერჩევის ტექნიკური დავალების მიღების შემდგომ, გამოცხადდება ტენდერი განმახორციელებელი კონსულტანტის წინასწარ შერჩევაზე. სატენდერო პროცედურები განხორციელდება KfW ბანკის სტანდარტებისა და მიდგომების შესაბამისად.

EBRD ბათუმის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, სატენდერო დოკუმენტაციის და გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად შემოყვანილია 40 ერთეული „ისუზუ ატამანის“ მოდელის დიზელის ავტობუსები და სამარშრუტო ხაზებზე ემსახურებიან მგზავრთა გადაყვანას. დასრულდა წინადადებების წარდგენის პერიოდი საერთაშორისო ტენდერის ფარგლებში ელექტროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით. პირველ ეტაპზე მონაწილეობას ღებულობდა 11 კომპანია, ამათგან 3-მა კომპანიამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია. ამჟამად მიმდინარეობს შეფასების პროცედურები.

ბათუმის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP) - პროექტის ფარგლებში, განმახორციელებელი კონსულტანტის მიერ მომზადდა პოლიტიკური ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც შეთანხმდა პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ. 2019 წლის თებერვლის თვეში დაგეგმილია სექტორული შეხვედრები და სამოქმედო გეგმის ღონისძიებების პრიორიტეტიზაციის ვორქშოფის ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან.

ევროკავშირის შავი ზღვის აუზის 2014-2020 პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომელთან დაკავშირებითაც ქალაქ ბათუმის მერიას მომართა საბერძნეთმა ერთობლივი პროგრამის წარგნის თაობაზე. მომზადებულია საპროექტო განაცხადი სამომლოცველო ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით საბერძნეთსა და საქართველოს შავი ზღვის აუზის ქალაქებისათვის. კომპეტენციის გათვალისწინებით, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს.

2018 წლის III კვარტალი:

პროექტის - „**ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება**“ - ფარგლებში, მომზადდა საპროექტო წინადადების შეფასება და გაიგზავნა გერმანიის მთავრობასთან დაფინანსების თაობაზე. ასევე ჩამოყალიბდა პროექტის აღმასრულებელი სააგენტო და სამუშაო ჯგუფი, რომელიც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გაუწევს პროექტს ადმინისტრირებას. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვიდან დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოები პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის თაობაზე საერთაშორისო ტენდერის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

EBRD ბათუმის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, სატენდერო დოკუმენტაციის და გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად შემოყვანილია 40 ერთეული „ისუზუ ატამანის“ მოდელის დიზელის ავტობუსები და სამარშრუტო ხაზებზე ემსახურებიან მგზავრთა გადაყვანას. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში ელექტროავტობუსების შეძენისათვის ტენიკური დავალების მომზადება და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან შეთანხმება.

ბათუმის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP) - წარმოადგენს პროექტს, რომელსაც EBRD-ის გავლით აფინანსებს შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA). ბათუმში პროექტზე მუშაობა 2018 წლის აგვისტოდან დაიწყო და შემდეგი 14 თვის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში ქალაქი ბათუმი საკონსულტაციო კომპანია AECOM-თან ერთად შეიმუშავებს მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმას. მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა (GCAP) მოიცავს ურბანული



გარემოსდაცვითი საკითხების მხრივ არსებულ გამოწვევებს და შესაძლებლობებს განხორციელდეს ქალაქის გარემოსდაცვითი გამოწვევების იდენტიფიკაცია, პრიორიტეტიზაცია და გადაწყვეტა, ჩამოყალიბდეს ხედვა და შეიქმნას პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მწვანე განვითარებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ, ქალაქი ბათუმი მიწვეული იყო პარტნიორ ქალაქ როსტოვში ურბანული განვითარების საერთაშორისო კონგრესზე, სადაც წარსდგა მოხსენებით „ურბანული განვითარება საშუალო ზომის ქალაქების კონტექსტში“.

2018 წლის I-II კვარტალი:

არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრ“-სა და არასამთავრობო ორგანიზაცია - „დემოკრატიული და ეფექტური მმართველობის ცენტრთან“ ერთად, ქ. ბათუმის მერიის მიერ მომზადდა საპროექტო განაცხადის კონცეფცია სახელწოდებით - „მოქალაქეები კარგი მმართველობისა და მდგრადი განვითარებისათვის“ ევროკავშირის საგრანტო კონკურსისათვის - „ადგილობრივი თვითმმართველობების მხარდაჭერა საქართველოში“.

„ენერგოეფექტური ღონისძიებები და ასევე ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება“ - პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ და ამჟამად მოსამზადებელ ეტაპზეა, ითვალისწინებს სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებას ბათუმში, კერძოდ, სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიების ტესტირებას საჯარო შენობების - ძირითადად საბავშვო ბაღების - ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით მოდერნიზების მიზნით. პროექტს, გერმანიისა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, გრანტის სახით დახმარებას უწევს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW).

პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე შედგენილი იქნა მუნიციპალური ბაღების მოკლე ჩამონათვალი, სადაც შესულია 25 ბაღი და ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. KfW ბანკის კონსულტანტების მიერ მომზადებული იქნა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების კვლევა. KfW ბანკთან ერთად განხორციელდა შეხვედრები პროექტის ყველა შესაძლო დაინტერესებულ მხარესთან. ამჟამად მომზადების პროცესშია საპროექტო წინადადება, რომელიც გერმანიის განვითარების ბანკმა უნდა წარადგინოს გერმანიის მთავრობასთან დაფინანსების დამტკიცების მიზნით.

ACES Europe-ი, რომელიც ბრიუსელში დაფუძნებული არაკომერციული ორგანიზაციაა, ყოველწლიურად ახდენს ევროპული ქალაქებისთვის „ევროპის სპორტის დედაქალაქის“, „ევროპის სპორტის ქალაქის“, „ევროპის სპორტის თემისა“ და „ევროპის სპორტის მცირე ზომის ქალაქის“ სტატუსების მინიჭებას. საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით, ბათუმმა მოამზადა განაცხადი **„ევროპის სპორტის ქალაქი“-ს** ნომინაციის მოსაპოვებლად. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, პროცედურებისა და მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა და წარსდგა პრეზენტაცია ACES Europe-ის შესაბამის კომისიასთან.

2008 წლიდან ბათუმის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების (EBRD) ბანკთან მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმჯობესების მიმართულებით.



კერძოდ 2008 წელს „ბათუმის ავტობუსების პროექტი“-ს ფარგლებში ბანკის შეღავათიანი სესხის ფარგლებში განხორციელდა 130 ერთეული ზონდას ტიპის ავტობუსის შეძენა. 2016 წლიდან ხორციელდება აღნიშნული პროექტის მე-2 ფაზა, რომლის ფარგლებშიც ბანკის შეღავათიანი სესხისა და E5P გრანტის ფარგლებში მოხდება 40 ერთეული დიზელისა და 10 ერთეული ელექტრო ავტობუსის შეძენა. ამ მხრივ ბათუმი იქნება ამიერკავკასიაში პირველი ქალაქი, სადაც ელექტროავტობუსები იმოდრავებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, EBRD -ს მიერ, ბათუმისათვის ახალი მუნიციპალური ავტობუსების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო უკრაინულ-იაპონურმა კომპანიამ - „ჩერკასკი ავტობუს“-მა. სატენდერო წინადადება მიმდინარე წლის 15 მარტს გაიხსნა. გაფორმდა ხელშეკრულება „ჩერკასკი ავტობუს“-თან „ისუზუ ატამანის“ მოდელის დიზელის ავტობუსების შემოყვანაზე რომელთა შემოყვანის ოფიციალური ღონისძიება დაგეგმილია მიმდინარე წლის 29 აგვისტოს.

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP), რომელთან ერთადაც ხორციელდება პროექტი - **ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის** - პროექტის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდგრადი და ინტეგრირებული მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემების და მობილობის გეგმების განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბებას ეროვნულ დონეზე და მწვანე ურბანული განვითარების პოლიტიკისა და მექანიზმების ფორმირებას. პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული გერმანული კომპანია A+S Consult-მა მოამზადა ქალაქ ბათუმის სატრანსპორტო მოდელი, ბათუმის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, პარკირების სტრატეგია და პოლიტიკა, ველოსისტემის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაციის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. გარდა ამისა, პროექტი მოიცავს სადემონსტრაციო ღონისძიებების განხორციელებაში ბათუმის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას.

2015 წლიდან ბათუმის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს **USAID-ის პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI)**, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული 5 წლიანი პროექტია და ითვალისწინებს საჯარო მომსახურების ხარისხის და ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების წახალისებაზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ასპექტში მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობაზე მუნიციპალიტეტის დახმარებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისა და პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების მიმართულებით.

ბათუმი 2012 ლიდან წარმოადგენს განმახორციელებელ პარტნიორს პროექტის **„ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება“**. აღნიშნული პროექტი ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ მიერ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ბათუმი წარმოადგენს გერმანიის ქალაქ როსტოკის პარტნიორ ქალაქს, რომელიც ბათუმს უზიარებს გამოცდილებას ქალაქის ურბანული და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, ქალაქი ბათუმი მიწვეულია მიმდინარე წლის 20-22 სექტემბერს, როსტოკში, ურბანული განვითარების მსოფლიო ფორუმზე



3.3.2.დამეგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება სტრატეგიული მიმართულება 3 ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.3.2.დამეგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე ქალაქებთან ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით პარტნიორული კავშირების დამყარება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მიმართულებებით გამოცდილებების გაზიარებასა და არსებული პოტენციალის გამოყენებას ქალაქ ბათუმის სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პარტნიორ და დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობის ინიცირება;	ინიცირებული თანამშრომლობის რაოდენობა; დამეგობრებული ქალაქების რაოდენობა.	✓
დამეგობრებულ და პარტნიორ ქალაქებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;	ერთობლივი პროექტების რაოდენობა	✓
დამეგობრებული ქალაქების გააქტიურება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიმართულებით.	პარტნიორი ქალაქების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა	✓

2018 წლის IV კვარტალი:

მე-4 კვარტალის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან საქართველოში და საქართველოს დიპლომატიურ კორპუსთან:

1. ქ. კონსტანცა (რუმინეთი) ქ. ბათუმსა და ქ. კონსტანცას შორის დამეგობრების შესახებ

მემორანდუმის გაფორმება გადაწყდა ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე. საკითხის გადაჭრაზე აქტიურად იყო ჩართული:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
- რუმინეთის საელჩო საქართველოში(თავად ელჩი აქტიურად იყო ჩართული)
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო



- **ქ. კონსტანცას მერია**
მემორანდუმის (ურთიერთგაგების მემორანდუმი დამეგობრების შესახებ) ტექსტი შეთანხმებულია ორივე მხარესთან და მიღებულია შესაბამისი დასტური საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან. შეთანხმების სფეროები: განათლება, კულტურა და სპორტი ტურიზმი, ტრანსპორტი. ამჟამად მიმდინარეობს ხელმოწერის ადგილისა და თარიღის დაზუსტება.
- 2. **კუნძული ბალი (ინდონეზია)** _ კუნძულ ბალისთან დამეგობრების შესახებ წინადადება მიღებული იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან. მერთან შეთანხმების საფუძველზე, ქ. ბათუმმა გამოთქვა მზადყოფნა დაამყაროს მეგობრული ურთიერთობები. ამჟამად მიმდინარეობს დამატებითი ინფორმაციის მოძიება.
- 3. **ქ. ბუსანი (სამხრეთ კორეა)** _ დამეგობრების წინადადება მიღებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან, კერძოდ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან სამხრეთ კორეაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საელჩოს მხარდაჭერით არაერთი შეხვედრა გაიმართა ქ. ბუსანის მერთან. შეხვედრის დროს ბუსანის ხელისუფლების მხრიდან გამოიხატა დაინტერესება პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების თაობაზე, და ელოდება თანამშრომლობის კონკრეტული სფეროების განსაზღვრას ბათუმის მუნიციპალიტეტის მხრიდან. ამჟამად მიმდინარეობს თანამშრომლობის სფეროების განხილვა მერიის სხვადასხვა სამსახურებთან და ასევე სხვა დაინტერესებულ უწყებებთან.
- 4. **ჯინან ჩუ (შანხაი, ჩინეთი)** _ 2018 წლის ნოემბერში საერთაშორისო და ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ქ. თბილისში მივლინების დროს შეხვედრა გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან, ბატონ ჯი იანჩისთან და საელჩოს წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც მხარეების მიერ განხილულ იქნა შანხაის ცენტრალური უზნის, ჯინან ჩუს ქ. ბათუმთან დამეგობრების საკითხი, დაინტერესება არის ორივე მხარის მიერ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები შანხაის მხარესთან.
- 5. **კორკი (ირლანდია)** _ 2018 წლის დეკემბერში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიღებული იქნა წინადადება ირლანდიის ქალაქ კორკთან დამეგობრების თაობაზე. ამჟამად მიმდინარეობს დამატებითი ინფორმაციის მოძიება და საკითხის მერთან განხილვა.
- 6. **ქ. გენტი (ბელგია)** _ 2018 წლის დეკემბრის თვეში მერიის დელეგაციის ბელგიაში ვიზიტის დროს განხორციელდა შეხვედრის ორგანიზება საქართველოს საელჩოში. აღნიშნული შეხვედრის დროს საერთაშორისო და ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის განყოფილებისა და საელჩოს წარმომადგენელს შორის განხილულ იქნა გენტსა და ბათუმს შორის პარტნიორობა, ამასთან იმავე დღეს საელჩოს წარმომადგენელმა შეხვედრა გამართა გენტის ხელისუფლებასთან, რომლებმაც გამოხატეს დაინტერესება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ბათუმის მუნიციპალიტეტის მხრიდან გენტის მხარეს სურს მიიღოს კონკრეტული თანამშრომლობის სფეროებისა და პროექტების ჩამონათვალი, რათა აღნიშნულ ურთიერთობას ჰქონდეს აქტიური ნაყოფიერი თანამშრომლობის სახე. ამჟამად მიმდინარეობს საკითხის მერთან შეთანხმება, თანამშრომლობის სფეროების განხილვა მერიის სხვადასხვა სამსახურებთან და ასევე სხვა დაინტერესებულ უწყებებთან.
- 7. **ფუკუომა (იაპონია)** _ 2018 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიღებული იქნა წინადადება ირლანდიის ქალაქ კორკთან დამეგობრების თაობაზე. ამჟამად მიმდინარეობს დამატებითი ინფორმაციის მოძიება და საკითხის მერთან განხილვა.



2018 წლის III კვარტალი:

1. უმანი (უკრაინა) დამგობრებული ქალაქი _ 1 სექტემბერი, 2018 წელი, ქ. ბათუმი.

სახალხო დღესასწაულ „ბათუმობა 2018“ ფარგლებში:

ხელი მოეწერა შეთანხმებას დამგობრების შესახებ უკრაინის ქალაქ უმანის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის. შეთანხმება გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთობების განვითარებას შემდეგი მიმართულებებით:

- **განათლება, კულტურა და სპორტი** (გამოცდილების გაზიარება და გაცვლა, სპორტული ტურნირების ჩატარება, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, სტაჟირების შესაძლებლობა ხელშეწყობა და სხვა);
- **სოციალური სფერო** (ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ორგანიზაციებს შორის, ასევე სხვადასხვა მიმართულებებით პროფესიული გამოცდილების გაზიარება და გაცვლა, ერთობლივი სოციალური პროექტების ხელშეწყობა და ორგანიზება);
- **ტურიზმი** (გამოცდილების გაზიარება და გაცვლა, ერთობლივი ტურისტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, მხარეების ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა).

2. მიმდინარე მოლაპარაკებები:

ქ. კონსტანცა (რუმინეთი) _ ქ. ბათუმსა და ქ. კონსტანცას შორის დამგობრების შესახებ მემორანდუმის გაფორმება გადაწყდა ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე.

საკითხის გადაჭრაზე აქტიურად იყო ჩართული:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
- რუმინეთის საელჩო საქართველოში(თავად ელჩი);
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ქ. კონსტანცას მერია.

მემორანდუმის (ურთიერთგაგების მემორანდუმი დამგობრების შესახებ) ტექსტი შეთანხმებულია ორივე მხარესთან და მიღებულია შესაბამისი დასტური საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან. შეთანხმების სფეროები: განათლება, კულტურა და სპორტი ტურიზმი, ტრანსპორტი. ამჟამად მიმდინარეობს ხელმოწერის ადგილისა და თარიღის დაზუსტება.

კუნძული ბალი წინადადება განვიხილოთ კუნძულ ბალისთან დამგობრება მივიღეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან. მერთან შეთანხმების საფუძველზე ქ. ბათუმმა გამოთქვა მზადყოფნა დაამყაროს მეგობრული ურთიერთობები (გადაეგზავნა შესაბამისი წერილი საგარეო საქმეთა სამინისტროს) ამჟამად მიმდინარეობს დამატებითი ინფორმაციის მოძიება.

2018 წლის I-II კვარტალში:

1. ხერსონი (უკრაინა) _ პარტნიორი ქალაქი _ 16 თებერვალი, 2018 წელი, ქ. კიევი

ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას უკრაინის ქალაქ ხერსონის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის.

შეთანხმება გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთობების განვითარებას შემდეგი მიმართულებებით:

- **განათლება, კულტურა და სპორტი** (გამოცდილების გაზიარება და გაცვლა, სპორტული ტურნირების ჩატარება, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, სტაჟირების შესაძლებლობა ხელშეწყობა და სხვა);



- **ტურიზმი** (გამოცდილების გაზიარება და გაცვლა, ერთობლივი ტურისტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, მხარეების ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა);
- **ტრანსპორტი** (მხარეების უფლებამოსილების ფარგლებში საზღვაო-სატრანსპორტო და საჰაერო ურთიერთობებისა და მიმოსვლის განვითარების ხელშეწყობა);
- **ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება** (გამოცდილების გაზიარება და გაცვლა, თანამშრომლობის განვითარება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სფეროში);
- **ენერგოეფექტურობა** (ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების ხელშეწყობა).

2. ქ. ნეთანია (ისრაელის სახელმწიფო) – დამეგობრებული ქალაქი – 22 მაისი, 2018 წელი, ქ. ბათუმი

ხელი მოეწერა ურთიერთაგაგების მემორანდუმს დამეგობრების შესახებ ქ. ბათუმსა და ქ. ნეთანიას შორის.

მემორანდუმი გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთობების განვითარებას შემდეგი მიმართულებებით:

- **განათლება, კულტურა და სპორტი** (გამოცდილების გაზიარება და გაცვლა, სპორტული ტურნირების ჩატარება, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, სტაჟირების შესაძლებლობა ხელშეწყობა და სხვა);
- **ტურიზმი** (გამოცდილების გაზიარება და გაცვლა, ერთობლივი ტურისტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, მხარეების ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა);
- **ადგილობრივი თვითმმართველობა** (გამოცდილების გაზიარება თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, ორგანიზაციებსა და სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს შორის)



3.4. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება

3.4.1. ქ. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობების კვლევა

სტრატეგიული მიმართულება 3 ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.4.1. ქ. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობების კვლევა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია კვლევაზე დაყრდნობით გამოავლინოს ქალაქის კონკრეტული უბნების განვითარების შესაძლებლობები. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების შექმნა უზრუნველყოფს ეკონომიკური აქტივობის წერტილების შექმნას ქალაქში, რაც ასევე განაპირობებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შემოსავლების გენერირების თვალსაზრისით.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება	ტექნიკური დავალების დოკუმენტი	X
ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა.	ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის დოკუმენტი	X
ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - კვლევის მომზადება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;	კვლევა და საპროექტო დოკუმენტაცია	✓
ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - ინფრასტრუქტურული	მერიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა; თანადაფინანსების მოცულობა.	მიმდინარე



ღონისძიებების განხორციელების
მხარდაჭერა.

2018 წლის IV კვარტალი:

ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - კვლევის მომზადება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია „განვითარების აკადემიის“ მიერ მომზადდა პროგრამით გათვალისწინებული ძველი ბათუმის ისტორიულ საზღვრებში არსებული ეზოების (10 ერთეული) პოტენციალის კვლევა, შესაბამის ამხანაგობასთან შეთანხმება, მიკრო ბიზნესის განვითარების მოდელისა და ბიზნეს გეგმების შემუშავება, ეზოს ვიზუალური გაუმჯობესების დიზაინის მომზადება და წარმოდგენა. წარმოდგენილი 10 პროექტი შეთანხმდა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. 2019 წლისათვის იგეგმება წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე კონკრეტული მცირე ბიზნესის ამოქმედებასთან და ეზოს იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ინვენტარისა და კეთილმოწყობის სამუშაოების შეძენა.

2018 წლის III კვარტალში: ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - კვლევის მომზადება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია „განვითარების აკადემიის“ მიერ მომზადდა პროგრამით გათვალისწინებული ძველი ბათუმის ისტორიულ საზღვრებში არსებული ეზოების (10 ერთეული) პოტენციალის კვლევა, მიკრო ბიზნესის განვითარების მოდელისა და ბიზნეს გეგმების შემუშავება, ეზოს ვიზუალური გაუმჯობესების დიზაინის მომზადება და წარმოდგენა. ამჟამად მიმდინარეობს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება.

„ბათუმის ურბანული განვითარების მხარდაჭერის პროექტი“-ს ფარგლებში მერია აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოება „ბათომთან“, რომელიც თავის მხრივ, „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი“-ს დაფინანსების ფარგლებში, ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს.

პროექტი ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება, რომელიც 14 თვიან პერიოდზეა გათვლილი და ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. კულტურული მემკვიდრეობის მართვის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება აჭარის ხელისუფლებისთვის. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში კონსულტაციები მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და ძველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „იკომუსი“- თან.
2. საჯარო მოხელეების ცოდნის (განათლების) ღონის ამაღლება - დაგეგმილია ვორქშოპების ჩატარება.
3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება - ლექციების, სემინარებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.
4. მედიათანხლება, მედიაურუნველყოფა - ვიდეორგოლები, რადიოგადაცემები, საჯანო განხილვები და სხვა.



ეს მიმართულება თავის მხრივ მოიცავს დადებითი და უარყოფითი ფაქტების გამოვლენას, რაც გულისხმობს როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების და მათი მოვლა-პატრონობისათვის გაწეული საქმიანობის, ასევე მოსახლეობის და სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან ძეგლების დანგრევა, დაზიანების ფაქტების ჩვენებას.

2018 წლის I-II კვარტალში: ეზოებში მცირე კომერციული პროექტების განვითარების მხარდაჭერა - კვლევის მომზადება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, მომზადდა შესყიდვის ტექნიკური დავალება და გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. გაფორმდა ხელშეკრულება გამარჯვებულ ორგანიზაციასთან „განვითარების აკადემია“.

ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნა განსაკუთრებით თვალსაჩინო იქნება მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მომზადების შემდგომ, აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე.



3.5. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა

3.5.1. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება

სტრატეგიული მიმართულება 3	ბათუმის ეკონომიკური პროფილის გამდლიერება და დივერსიფიკაცია		
პროგრამა	3.5.1. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია გაზარდოს შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა მათთვის მიზნობრივ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. პროგრამის მიზანია ასევე ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით.		
ღონისძიებები: კომუნიკაცია აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებში ქ. ბათუმის მოსახლეობის გათვალისწინებასთან დაკავშირებით და ასეთი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში კოორდინაციაში ჩართულობა.	<table border="0"> <tr> <td data-bbox="808 940 1136 1377">შესრულების ინდიკატორი არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ვრცელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტზე.</td><td data-bbox="1136 940 1442 1377">შესრულება მიმდინარე</td></tr> </table>	შესრულების ინდიკატორი არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ვრცელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტზე.	შესრულება მიმდინარე
შესრულების ინდიკატორი არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ვრცელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტზე.	შესრულება მიმდინარე		

ქ. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიებზე. ვრცელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს
დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველა პროგრამა:

- ✓ აგროსექტორის მდგრადი განვითარება;
- ✓ აგროსასურსათო სექტორის პოლიტიკის შემუშავება და მართვა;
- ✓ სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით;
- ✓ აგროსერვისის განვითარება რეგიონში;
- ✓ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა;
- ✓ მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება;

პროგრამის ამოქმედება დაგეგმილია 2019 წლიდან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები აჭარის არ
სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2019 წლის ბიუჯეტში პროგრამების გათვალისწინების თაობაზე
ბათუმის შემოერთებული ტერიტორიებისთვის.



3.5.2. გადამამუშავებელ საწარმოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 3 ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

პროგრამა	3.5.2. გადამამუშავებელ საწარმოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი ღონისძიებები: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა; მიწის შეღავათიანი პირობებით გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა; ტერიტორიის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით; საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა.	პროგრამის მიზანია ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ურბანიზაციის ხელშეწყობა, მათი ეკონომიკური აქტივობის გაძლიერება და შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა.	
	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
	წარმოდგენილი წინადადებების რაოდენობა	X
	შეღავათიანი პირობებით გადაცემული მიწის ფართობი	X
	კომუნიკაციების რაოდენობრივი სტატისტიკა	X
	ჩატარებული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა	X

პროგრამა განხორციელდება მომართვიანობის საფუძველზე.



4. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

4.1. კომუნალური სერვისების გაუმჯობესება

4.1.1. უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება

სტრატეგიული მიმართულება მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

4

პროგრამა	4.1.1. უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე და მოსახლეობისათვის წყლის უსაფრთხოდ და უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველყოფა.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
გონიოს დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა;	გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართობი	✓
2000 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა;	დასრულებული რეზერვუარი	მიმდინარე
ახალსოფლის, გონიოსა და კვარიათის წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება;	წყალმომარაგების მოწყობილი ცენტრალური სისტემა ახალსოფელში, გონიოსა და კვარიათში	მიმდინარე
სამრეწველო უბნის წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება;	წყალმომარაგების მოწყობილი ცენტრალური სისტემა სამრეწველო უბანში	მიმდინარე
ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში წყალმომარაგების სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში აბონენტთა წყლის ცენტრალურ სისტემაზე დაერთების სამუშაოების განხორციელება.	ცენტრალურ სისტემაზე დაერთებული აბონენტების რაოდენობა	✓
ე.წ. „შემოერთებულ ტერიტორიებზე“ წყლის სისტემის (ჭაბურღილის) მშენებლობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	X
ე.წ. „შემოერთებულ ტერიტორიებზე“ წყლის სისტემის (ჭაბურღილის) მშენებლობა	მოწყობილი ჭაბურღილი შემოერთებულ ტერიტორიებზე	X



2018 წლის IV კვარტალში:

ფრიდონ ხალვაშის II ჩიხის (12 ოჯახი) წყალმომარაგების შესრულებულია შ.პ.ს. „ბათუმის წყალი“-ს მიერ;

ხახულის ქუჩის II შესახვევი (30 ოჯახი) წყალმომარაგების სამუშაოები შეასრულა ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ.

წყალმომარაგების ახალ ქსელზე გადართვისა აბონენტთა ინდივიდუალური გამრიცხველიანების სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ქუჩებზე:

- ✓ ბაქრამის ქუჩა 2 თაბუკშვილის ქუჩა 11
- ✓ სახოკიას ქუჩა 126 აბონენტი;
- ✓ მაჭახლის ქუჩა 8 აბონენტი;
- ✓ გოდერძი ჩოხელის ქუჩა 12;
- ✓ ჩაისუბანი სოფ. წინსვლა 1 აბონენტი;
- ✓ თამარის დასახლება 63 აბონენტი;
- ✓ თოდოგაურის დასახლება 98 აბონენტი;
- ✓ წერეთლის ქუჩა 80 აბონენტი;
- ✓ ს. მესხის ქუჩა 44 აბონენტი
- ✓ მაიაკოვსკის ქუჩა 108 აბონენტი;
- ✓ ფერიის ქუჩა 7 აბონენტი;
- ✓ შარაშიძის ქუჩა 2 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა 61 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი მ. აბაშიძის ქუჩა 47 აბონენტი.

ასევე განხორციელდა ძველი მრავალსართულიანი კორპუსების გამრიცხველიანება შემდეგ მისამართებზე:

- ✓ გორგასალის ქუჩა N50 25 აბონენტი;
- ✓ ახმეტელის ქუჩა N5 17 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი ბათუმის ქუჩა 39 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა 2 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა N9 41 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა N11ა 24 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა N25 43 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა N27 41 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა N36 85 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა N38 90 აბონენტი;
- ✓ ჩაქვი აღმაშენებლის ქუჩა N45 31 აბონენტი.

საქართველო - გერმანიის რესპუბლიკების ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს გონიო - კვარიათის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების ბოლო ეტაპი(პროექტის განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანია პომპ&პარტნერსი), რომელიც მოიცავს: 2000 კუბ.მ. რეზერვუარის მშენებლობას კვარიათის დასახლებაში, მეჯინსწყალი(წყლის სათავე ნაგებობა) - კვარიათის(ასაშენებელი რეზერვუარი) ცენტრალური წყალმომარაგების მაგისტრალის მშენებლობას და გონიო - კვარიათის წყალმომარაგების ცენტრალური ქსელის მშენებლობას. 2018 წლის



ნოემბერ - დეკემბერში განმახორციელებელ საკონსულტაციო კომპანია “Posch&Partners”-ს უნდა წარმოედგინა წინამორბედი საკონსულტაციო კომპანიის მიერ მომზადებული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესწორებული - საბოლოო ვერსია, რაც ვერ განხორციელდა - საკონსულტაციო კომპანიის განმარტებით - სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე. საბოლოო ვერსია წარმოდგენილი იქნება 2019 წლის იანვრის ბოლოსათვის(საკონსულტაციო კომპანია “Posch&Partners”-ს ინფორმაციით) და გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე.

2018 წლის III კვარტალში:

აჭარის არ მთავრობისა და ბათუმის მერიის მხარდაჭერით შპს „ბათუმის წყალმა“ ყოფილი ხელვაჩაურის ტერიტორიაზე წყალმომარაგების მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელის შექმნის მიზნით, დაიწყო მასშაბური პროექტის განხორციელება. „ბათუმის წყლის“ მიერ დაგეგმილი სამუშაოების დამთავრების შემდეგ, შესაძლებელი იქნება 8 000 მდე აბონენტს მიეწოდოს წყალი უწყვეტი 24 საათს განმავლობაში(თვითდენით) , საწნეო ტუმბოების გამოყენების გარეშე.

1-ლ ეტაპზე წყალმომარაგების ქსელის შექმნა მოხდება ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, ხახუხილისა და გოდერძი ჩოხელის ქუჩების მონაკვეთში. პროექტის ღირებულება შეადგენს 1 700 000 ლარს.

პროექტის მეორე ეტაპს განახორციელებს ქალაქ ბათუმის მერიის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამმართველო. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 2 600 000 ლარს. აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით, ტენდერი გამოცხადდება უახლოეს დღეებში.

წყალმომარაგების გამანაწილებელი სისტემის სამუშაოები უკვე დასრულდა მაჭახელას ქუჩაზე და მის მიმდებარე ჩიხებში, ასევე პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა გამანაწილებელ ქსელზე.წყალმომარაგების ქსელის საერთო სიგრძე მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელის ჩათვლით შეადგენს 85კმ-ს. პროექტის საერთო ღირებულება კი შეადგენს 14 000 000 ლარს.

ქ. ბათუმის შემოერთებული ტერიტორიების მაცხოვრებლები (ყოფილი ხელვაჩაური) ვერ სარგებლობდნენ წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალური ქსელით, რადგანაც აქამდე არ არსებობდა, დღემდე მოსახლეობა წყალმომარაგების მიზნით იყენებს მიწისქვეშა წყლებს.

ბათუმისმუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ ხორციელდება წყლის მრიცხველის მონტაჟი.

მიმდინარე წლის განმავლობაში გამრიცხველიანების ფარგლებში დამონტჟდა 2 085 ერთეული მრიცხველი შემდეგ ქუჩებზე :

- ✓ თაყაიშვილის;
- ✓ ერისთავის;
- ✓ გოგოლის;
- ✓ ამაღლების;
- ✓ დიასამიძის;
- ✓ ჩხაიძის;
- ✓ სერგეი მესხის;
- ✓ გოგიტიძის;
- ✓ მარკოზ აჭარელის;
- ✓ მაიაკოვსკის;
- ✓ იაშვილის;
- ✓ ნონეშვილის;
- ✓ ბაქრაძის;



- ✓ ქიქავას;
- ✓ ნოღაიდელის;
- ✓ კაიკაციშვილის;
- ✓ ივანე მესხის;
- ✓ ვოლსკის;
- ✓ ნიჟარაძის;
- ✓ თაბუკაშვილის;
- ✓ ჯონჭარაძის;
- ✓ მიგინეიშვილის;
- ✓ ჭონქაძის;
- ✓ ლესელიძის;
- ✓ დუმბაძის;
- ✓ თოდოგაურის, ახალშენის, მახინაჯაურის, ჩაქვის და ჩაისუბნის ტერიტორიები.

ახალი წყალმომარაგების სისტემის მქონე აბონენტები სარგებლობენ 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით.

საქართველო - გერმანიის რესპუბლიკების ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს გონიო - კვარიათის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირების ბოლო ეტაპი (პროექტის განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანია პოშტპარტნერსი), რომელიც მოიცავს: 2000 კუბ.მ. რეზერვუარის მშენებლობას კვარიათის დასახლებაში, მეჯინისწყალი (წყლის სათავე ნაგებობა) - კვარიათის (ასაშენებელი რეზერვუარი) ცენტრალური წყალმომარაგების მაგისტრალის მშენებლობას და გონიო - კვარიათის წყალმომარაგების ცენტრალური ქსელის მშენებლობას. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე.

2018 წლის I-II კვარტალში, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ✓ 2000 მ3 წყლის რეზერვუარისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შეფასებისა (აუდიტის შეფასება) და განმახორციელებელი კონსულტანტის მიერ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის პარამეტრების დადასტურება;
- ✓ გონიოს დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა.
- ✓ შემოერთებული ტერიტორია ჩაქვის ნაწილი, ბონის დასახლება, ჩაისუბნის დასახლებაში განხორციელდა მოსახლეობის გამრიცხველიანება. სულ: 1477 აბონენტი დაერთდა ახალ ქსელზე;
- ✓ ხახულის ქუჩიდან მეჯინისწყლის დასახლებამდე ფრიდონ ხალვაშის გამზირზე წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა. გოროდოკის დასახლება, მახინაჯაურის დასახლება, ქობულეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ჩაქვის ტერიტორიაზე მოსახლეობის გამრიცხველიანება მიმდინარეობს. სულ: 429 აბონენტი დაერთდა ახალ ქსელზე;
- ✓ თოდოგაურის დასახლებაში 7500 გ/მ წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა;
- ✓ თოდოგაურის დასახლებაში დაემატება 1600 გ/მ წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა. სულ დაერთდება 105 აბონენტი.



4.1.2. წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია

სტრატეგიული მიმართულება 4 მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

პროგრამა	4.1.2. წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია წყალარინების სისტემის კაპიტალური რეაბილიტაცია ქალაქის მთელ ტერიტორიაზე და მისი გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც ერთის მხრივ შექმნის პირობებს კომუნალური ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტის შექმნისათვის და მეორეს მხრივ ეკოლოგიის თვალსაზრისით შეამცირებს გარემოს დაბინძურებასა და მასზე უარყოფით ზეგავლენას.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ეზოების ქსელის კანალიზაციის სისტემის ახალ ქსელზე დაერთება;	ცენტრალურ ქსელზე დაერთებული ეზოების რაოდენობა მიმდინარე
საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია ლეონიძის, ჯავახიშვილის, ინასარიძის და ხიმშიაშვილის ქუჩის დასახლებებში	რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემების გრძივი მეტრი მიმდინარე
წყალარინების სისტემის მოწყობის გეგმის შემუშავება ჩაქვის, მწანე კონცხის, მახინჯაურის, ადლიის, კახაბერისა და დაბა ხელვაჩაურის შემოერთებულ ტერიტორიებისათვის, სადაც არ არის მოწყობილი წყალარინების სისტემები	ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევის საბოლოო ანგარიში. მიმდინარე
ა და ბ წყალარინების კოლექტორების რეაბილიტაცია.	რეაბილიტირებული ა და ბ წყალარინების კოლექტორები. მიმდინარე

2018 წლის IV კვარტალი

დღეის მდგომარეობით ახალ წყალარინების ქსელზე დაერთებითი სამუშაოები მიმდინარეობს ქ. ბათუმის შემდეგ ქუჩებზე: მაიაკოვსკის, გიორგი წერეთლის, ვოლსკის, სერგი მესხის, კომახიძის, ჩოლოყაშვილის და ჯავახიშვილის.

- ✓ ერისთავის N4-ში განხორციელდა ახალ წყალარინების ქსელზე დაერთება.
- ✓ ლუკა ასათიანის N113/115-ში განხორციელდა ძველი სანიღვრე ქსელის ახალ ქსელზე გადართვა.
- ✓ მელიქიშვილი-კომახიძის 109/40-ში განხორციელდა აბონენტის ახალ საკანალიზაციო ქსელზე დაერთება.



- ✓ მელიქიშვილის N40-ში განხორციელდა შპს „მშენებრი“-ს დაერთება.
- ✓ მელიქიშვილის N86-ში განხორციელდა შპს „ბექა“-ს დაერთება.
- ✓ კახინცის N25-ში განხორციელდა ფიზ. პირის დაერთება წყალარინების ახალ ქსელზე.
- ✓ დადიანის N16-ში განხორციელდა დაზიანებული ქსელის აღდგენა.
- ✓ ახმეტელის ქუჩა N5-ში განხორციელდა დაერთება ახალ წყალარინების ქსელზე.
- ✓ გამსახურდიას N13-ში განხორციელდა შპს „დიეს გრუპი“-ს ახალ ქსელზე დაერთება.
- ✓ ბაგრატიონის N148-ში განხორციელდა დაერთება.
- ✓ დუმბადის N2-ში განხორციელდა შპს „ორიქი“-ს დაერთება.
- ✓ გენ ას. აბაშიძის 49 /2-ში ანხორციელდა დაერთება.
- ✓ ლეონიძის N13-ში განხორციელდა დაერთება.
- ✓ შავშეთის N8-ში განხორციელდა წყლის ამოტუმბვა სარდაფიდან, სანიაღვრე ქსელისა და ჭების გაწმენდა.
- ✓ ვაჟა-ფშაველას N114-ში განხორციელდა აბონენტის გადართვა ახალ წყალარინების ქსელზე.
- ✓ ბაგრატიონის N157ბ-ში მიმდინარეობს ეტაპობრივი გადართვა.
- ✓ აღმაშენებლის N13ა-ში ანხორციელდა დაერთება.
- ✓ მარეთის N8-ში განხორციელდა გადართვა წყალარინების ახალ ქსელზე.
- ✓ ანგისის დასახლებაში განხორციელდა „ჯეო აპარტამენტ ინვესტი“-ს დაერთება.
- ✓ გ. ბრწყინვალეს N183-ში განხორციელდა შპს „დემე“-ს წყალარინების ახალ ქსელზე დაერთება.
- ✓ მაიაკოვსკის პირველი ჩიხში განხორციელდა ჭებისა და სანიაღვრე არხების რეცხვა.
- ✓ მაიაკოვსკის N55-ში ეტაპობრივად განხორციელდა გადართვა ახალ წყალარინების ქსელზე.
- ✓ პუშკინის N35დ-ში განხორციელდა დაზიანებული წყალარინების მილი შეიცვალა.
- ✓ დიასამიძის N20-ში აბონენტი გადართულია წყალარინების ახალ ქსელზე.
- ✓ ნიჟარაძის N4-ში მიმდინარეობს წყალარინების ახალ ქსელზე გადართვის პროცესი.
- ✓ ზუბალაშვილის N34-ში მოეწყო სანიაღვრე ჭა და შეიცვალა დაზიანებული მილი.
- ✓ ანდრონიკაშვილის N39-ში აბონენტების გადართვა მიმდინარეობს ეტაპობრივად ახალ ქსელზე.
- ✓ ფანასკერტელ-ციციშვილის N18-ში აბონენტი დაერთება.
- ✓ რურუას ქუჩა N1-7-ში დაზიანებული ბორდიურისა და ცხაურის შეცვლა.
- ✓ მაიაკოვსკის ქუჩა (გოგოლის ქუჩიდან - ნიჟარაძის ქუჩამდე).

IV კვარტალში განხორციელდა აბონენტების დაერთება შემდეგ მისამართებზე:

- | | |
|----------------------------------|---------------|
| ✓ კომახიძის ქუჩაზე დაერთდა | - 73 აბონენტი |
| ✓ ჩოლოყაშვილის ქუჩაზე დაერთდა | - 88 აბონენტი |
| ✓ გიორგი წერეთლის ქუჩაზე დაერთდა | - 81 აბონენტი |
| ✓ მაიაკოვსკის ქუჩაზე დაერთდა | - 88 აბონენტი |
| ✓ ჭონქაძის ქუჩაზე დაერთდა | -29 აბონენტი |
| ✓ ვოლსკის ქუჩაზე დაერთდა | -43 აბონენტი |
| ✓ მესხის ქუჩაზე დაერთდა | -10 აბონენტი |
| ✓ ჯავახიშვილის ქუჩაზე დაერთდა | -25 აბონენტი |
| ✓ ნონეშვილის ქუჩაზე დაერთდა | -10 აბონენტი |
| ✓ სახოკიას ქუჩაზე დაერთდა | -20 აბონენტი |

საქართველო - გერმანიის რესპუბლიკების ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მეოთხე ფაზით გათვალისწინებული წყალარინების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტისა და



სატენდერო დოკუმენტაციის(მომზადებულია კომპანია „ეგისის“ მიერ) გადახედვა და შესაბამისი კორექტირებების შეტანა(პასთან შეთანხმებით) პროექტის განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანიის პოშ&პარტნერსის მიერ. პროექტი მოიცავს წყალარინების ქსელის რეაბილიტაციას ჯავახიშვილის, ლეონიძის, აღმაშენებლის, ინასარიძის, ფიროსმანისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ. 2018 წლის ნოემბერ - დეკემბერში განმახორციელებელ საკონსულტაციო კომპანია “Posch&Partners”-ს უნდა წარმოედგინა წინამორბედი საკონსულტაციო კომპანიის მიერ მომზადებული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესწორებული - საბოლოო ვერსია, რაც ვერ განხორციელდა - საკონსულტაციო კომპანიის განმარტებით - სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე. საბოლოო ვერსია წარმოდგენილი იქნება 2019 წლის იანვრის ბოლოსათვის(საკონსულტაციო კომპანია “Posch&Partners”-ს ინფორმაციით) და გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება ა და ბ წყალარინების კოლექტორების რეაბილიტაცია, რომლის სამუშაოების დაწყების სახელშეკრულებო თარიღია 21/08/2018 წ. მეოთხე კვარტალში შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა:

1. თვითღენითი წყალარინების ქსელის მოწყობა:
 - DN 200 მმ - 352 გრძ.მ.
 - DN 250 მმ - 7 გრძ.მ.
 - DN 300 მმ - 6 გრძ.მ.
 - DN 1200 მმ - 247 გრძ.მ.
3. ცენტრალური წყალარინების ქსელის მოწყობა:
 - DN 1000 მმ - 7 ცალი
 - DN 1200 მმ - 6 ცალი
3. წყალარინების სახლის დაერთებების მოწყობა - 21 ცალი;

2018 წლის III კვარტალში:

435 მ სიგრძის წყალარინების სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს გიორგი ბრწყინვალესა და ბაგრატიონის ქუჩების მონაკვეთში.

წყალარინების ახალ ქსელზე დაერთდა 1756 აბონენტი შემდეგი ქუჩებიდან:

- ✓ მარუხი;
- ✓ ლუკა ასათიანი;
- ✓ ქედის;
- ✓ ბესიკის;
- ✓ შევჩენკოს;
- ✓ 26 მაისის;
- ✓ მაქაცარიას;
- ✓ გურამიშვილის;
- ✓ ურების;
- ✓ იუნკერების;
- ✓ გოგიტიძის;
- ✓ ბაქოს;
- ✓ მატათა მოციქულის;
- ✓ წმ. ნინოს
- ✓ ლერმონტოვის;
- ✓ სვიმონ კანანელის;



- ✓ შავშეთის;
- ✓ ლომონოსოვის;
- ✓ ბალაძის;
- ✓ კომახიძის;
- ✓ ფერაძის;
- ✓ იოსელიანის;
- ✓ კაიკაციშვილის;
- ✓ დადიანის;
- ✓ ნოღაიდელის;
- ✓ იაშვილის;
- ✓ სევასტოპოლის;
- ✓ თამარ მეფის;
- ✓ გიორგი ბრწყინვალეს;
- ✓ ლორთქიფანიძის;
- ✓ სოხულის;
- ✓ ჩაიკოვსკის;
- ✓ ქათამაძის;
- ✓ ლორიას;
- ✓ ანდრია პირველწოდებულის;
- ✓ ერისთავის.

ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მეოთხე ფაზით გათვალისწინებული წყალარინების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის(მომზადებულია კომპანია „ეგისის“ მიერ) გადახედვა და შესაბამისი კორექტირებების შეტანა(პასთან შეთანხმებით) პროექტის განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანიის პოშპარტნერის მიერ. პროექტი მოიცავს წყალარინების ქსელის რეაბილიტაციას ჯავახიშვილის, ლეონიძის, აღმაშენებლის, ინასარიძის, ფიროსმანისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე. პარალელურად მიმდინარეობს შემოერთებული ტერიტორიების წყალარინების სისტემების ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევის ანგარიშის განახლება განმახორციელებელი კონსულტანტის მიერ, რომლის საბოლოო ვერსიის წარმოდგენას კონსულტანტი გეგმავს მიმდინარე წლის ბოლოს.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება ა და ბ წყალარინების კოლექტორების რეაბილიტაცია, რომლის სამუშაოების დაწყების სახელშეკრულებო თარიღია 21/08/2018 წ. მესამე კვარტალში დასრულდა სამობილიზაციო სამუშაოები და იწყება სამშენებლო სამუშაოები ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთში.

2018 წლის I-II კვარტალში, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ✓ წყალარინების ახალ ქსელზე აბონენტთა დაერთება(მიმდინარე) - 551 აბონენტი ჭაობის დასახლებაში;
- ✓ წყალარინების ახალ ქსელზე აბონენტთა დაერთება(მიმდინარე) - 339 აბონენტი ბონის დასახლებაში;
- ✓ პროექტირების განახლება საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ლეონიძის, ჯავახიშვილის, ინასარიძის და ხიმშიაშვილის ქუჩის დასახლებებში;
- ✓ ა და ბ წყალარინების კოლექტორების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „გზა“-სთან. სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მიმდინარე წლის ოქტომბრის თვიდან.



4.1.3.სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია

სტრატეგიული მიმართულება 4 მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

პროგრამა	4.1.3.სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქალაქის სანიაღვრე სისტემის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება და გაფართოება რაც უზრუნველყოფს ძლიერი წვიმების პერიოდში ქალაქის დატბორვისა და შესაბამისი მატერიალური ზარალის რისკების მინიმუმამდე დაყვანას.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მშენებლობა;	მოწყობილი სანიაღვრე სისტემის გრძივი მეტრი მიმდინარე
გ. ბრწყინვალის ქუჩის სანიაღვრე არხების მშენებლობა;	მოწყობილი სანიაღვრე სისტემის გრძივი მეტრი მიმდინარე
არდაგანის ტბის მიმდებარედ სანიაღვრე არხებისა და წყალარინების სატუმბო სადგურის მშენებლობა.	მოწყობილი სანიაღვრე სისტემის გრძივი მეტრი, აშენებული სატუმბო სადგური. მიმდინარე
სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია	წერტების რაოდენობა, რომლებზეც განხორციელდა მიმდინარე მოვლა-პატრონობის სამუშაოები მიმდინარე
ახალი ქუჩების მშენებლობა/რეაბილიტაცია პარალელურად სანიაღვრე არხების კაპიტალური რეაბილიტაცია ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში.	კაპიტალურად რეაბილიტირებული სანიაღვრე ქსელის გრძივი მეტრი მიმდინარე

2018 წლის IV კვარტალში:

დასრულდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა ექსპლუატაცია, რის ფარგლებშიც შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ✓ სანიაღვრე ჭების წმენდა - 18521 ცალი;
- ✓ ღია სანიაღვრე არხების წმენდა - 73621 გრძ.მ.;
- ✓ სანიაღვრე მიწების გაწმენდა ჭურვის გატარებით, 16355 გრძ.მ.;
- ✓ ღია სანიაღვრე არხებზე არსებული ლითონის ცხაურის კაპიტალური შეკეთება - 652 გრძ.მ.;
- ✓ მდინარეების მონაკვეთების გაწმენდა და შლამის გატანა - 7500 კუბ.მ.;
- ✓ სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება (რაოდენობა) - 317 ცალი;
- ✓ სანიაღვრე მიწების/არხების შეკეთება- შეცვლა (საჭიროებისამებრ) (500მმ) - 50 გრძ.მ.;
- ✓ სანიაღვრე მიწების/არხების შეკეთება- შეცვლა (100მმ-დან 300მმ-მდე) - 700 გრძ.მ.;



- ✓ ბეტონის არხის კედლების შეკეთება (საჭიროებისამებრ წლის განმავლობაში) - 150 გრძ.მ.;
- ✓ გზის საწრეტი დრენაჟის შეკეთება (საჭიროებისამებრ წლის განმავლობაში) - 62 გრძ.მ.;
- ✓ შთანთქმელი ჭების მონტაჟი - 19 ცალი;
- ✓ დახურული სანიაღვრე არხების (ცენტრალური კოლექტორების გამოკლებით) გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა - 1960 გრძ.მ.;
- ✓ ზღვაში გამავალი არხების (11 გამავალი) ექსკავაცია / გაწმენდა - 827 სთ;
- ✓ გადახურვის ფილის შეცვლა - 146 კვ.მ.;
- ✓ სანიაღვრე არხების სანიტარული და ჰიგიენური დამუშავება (4 თვე) - 750 ლიტრი.

დასრულდა შემდეგი სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები:

- ✓ მ. შარაშიძის ქუჩის N34-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობა.
- ✓ მარკოზ აჭარელის III შესახვევის მონაკვეთის სანიაღვრე არხების მოწყობა
- ✓ სარიტუალო დარბაზ ჯორჯიასთან სანიაღვრე არხის მოწყობა, დახურული სანიაღვრე არხი 195 გრძ.მ.
- ✓ ქ. ბათუმში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები. მოეწყო 32 სანიაღვრე ჭა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა ექსპლოატაციის ფარგლებში **მიმდინარეობს** შემდეგი სამუშაოები:

- აეროპორტის N43-დან დავით აღმაშენებლის წრიულამდე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები გენერალ ასლან აბაშიძის N131-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები- მოეწყო 12 ცალი თუჯის ცხაურა ლიუკების ოთხკუთხა ჩარჩოთი.
- ქ.ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის N131-ის მიმდებარედ და აეროპორტის N43-დან დავით აღმაშენებლის წრიულამდე სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა;
- აეროპორტის გზატკ. N7 ქვეგანაყოფის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ახალგაზრდობის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.
- ხიხანის და ტაოს ქუჩების სანიაღვრე არხების მოწყობა.

საქართველო - გერმანიის რესპუბლიკების ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მესამე ფაზით გათვალისწინებული სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის პროექტით მეოთხე კვარტალში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. სანიაღვრე სატუმბი სადგურის მშენებლობა არდაგანის ტბის მიმდებარედ:

მაღალი ძაბვის კაბელების გადატანა სამშენებლო ტერიტორიიდან: 35 კვ - 4 ცალი; 6 კვ. - 4 ცალი; 0,4 კვ. - 8 ცალი;

დიაფრაგმული კედლის მშენებლობა სატუმბი სადგურის პერიმეტრზე - 72,5 გრძ.მ. - 1732 კუბ.მ.

2. ჯავახიშვილის სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა - გ. ბრწყინვალედან - პუშკინის ქუჩამდე - 350 გრძ.მ. და ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ - 50 გრძ.მ.

3. გ. ბრწყინვალეს ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია:

მილი DN 1200 მმ - 43 გრძ.მ.

ცენტრალური ჭა DN 1200 მმ - 1 ცალი



2018 წლის III კვარტალში:

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ბათუმის წყალი“-ს ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, ბათუმის სხვადასხვა ტერიტორიაზე მოეწყო სანიაღვრე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის დროულ გადინებას.

სანიაღვრე სისტემებისა და ჭების მოწყობა განხორციელდა:

- ✓ ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, მე-7 შესახვევში - 350 გრძივი მეტრი;
- ✓ ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, მე-9 შესახვევში - 380 გრძივი მეტრი სანიაღვრე სისტემა და 12 ერთეული მშთანთქავი ჭა.

რეგულარულად ხორციელდება ჟილინის, კობალაძის, ჯავახიშვილის, ლერმონტოვის და მდინარე მეჯინისწყლის ზღვაში გამსვლელი სანიაღვრე არხების გაწმენდა. ასევე, 2018 წლის განმავლობაში შპს „ბათუმის წყალი“ ახორციელებს პატარა ჭოროხის გაწმენდით სამუშაოებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა ექსპლოატაციის ფარგლებში **მიმდინარეობს** შემდეგი სამუშაოები:

- ✓ სანიაღვრე ჭების წმენდა და შლამის ამოღება-გატანა (18 521 ერთეული ჭა);
 - ✓ ღია სანიაღვრე არხების კაპიტალური შეკეთება;
 - ✓ მდინარეების მონაკვეთების გაწმენდა და შლამის გატანა;
 - ✓ სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება (317 ერთეული ჭა);
 - ✓ სანიაღვრე მიწებისა და არხების შეცვლა/შეკეთება;
 - ✓ მშთანთქმელი ჭების მონტაჟი (19 ერთეული ჭა);
 - ✓ დაურული სანიაღვრე არხების გაწმენდა;
 - ✓ ზღვაში გამავალი არხების გაწმენდა;
 - ✓ სანიაღვრე არხების სანიტარული და ჰიგიენური დამუშავება.
- ✓ **დასრულდა** ქ. ბათუმში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები (მომწოდებელი შპს „ვი-აი-პი“, ხელშეკრულების ღირებულება 344 436 ლარი), რის ფარგლებშიც მოეწყო: სანიაღვრე არხი 269 გრ.მ.-ზე, მოეწყო 32 სანიაღვრე ჭა, დაიგო ასფალტის საფარი 150 კვ.მ.

საქართველო - გერმანიის რესპუბლიკების ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მესამე ფაზით გათვალისწინებული სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის პროექტი, კერძოდ,

1. სანიაღვრე სატუმბო სადგურის მშენებლობა არდაგანის ტბის მიმდებარედ - დასრულდა დამატებითი გეოლოგიური კვლევები, რომლის საფუძველზეც კონტრაქტორის მიერ მოწოდებული იქნა სატუმბო სადგურის შემომფარგვლელი დიაფრაგმული კედლის მშენებლობის წინადადება. მიმდინარეობს ინჟინრის მიერ წინადადების განხილვა პასთან და დონორთან (KfW ბანკი) შესათანხმებლად წარმოდგენისათვის.

2. ჯავახიშვილის სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა - ბაგრატიონის ქუჩიდან - გ. ბრწყინვალეს ქუჩამდე - 224 გრძ.მ. დასრულებული; მიმდინარეობს არხის მშენებლობა გ. ბრწყინვალედან - პუშკინის ქუჩამდე.

3. გ. ბრწყინვალეს ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია - 15 სექტემბერს შეთანხმებული სატენდერო მასალები მიწოდებული იქნა მაძიებლებისათვის რომლებმაც გადალახეს



წინასაკვალიფიკაციო ეტაპი: ერთობლივი საწარმო ფაიფერი - გზა; კომპანია ეჯიტაში; ჩინა - გეო კორპორაცია; 19 ოქტომბერს მოხდება მათ მიერ მოწოდებული წინადადებების გახსნა;

2018 წლის I-II კვარტალში, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ✓ პროექტის სამოხილიზაციო სამუშაოები და ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების დაწყება (ბაგრატიონისა და კომახიძის ქუჩის მონაკვეთში).
- ✓ ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - ბაგრატიონიდან - გ. ბრწყინვალეს ქუჩის მონაკვეთში.
- ✓ მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მიმდინარე მოვლა ექსპლოატაცია, (ხელშეკრულება №232 შპს „ბათუმის წყალი“ - ღირებულება -1752495,00 ლარი)
- ✓ მიმდინარეობს ქ. ბათუმში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ დასრულდა (ხელშეკრულება №27 შპს „ნიუპოვერ“ - ღირებულება -134000,00 ლარი) - მ. შარაშიძის ქუჩის N34-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობა,
- ✓ დასრულდა (ხელშეკრულება №31 შპს „მშვილდოსანი 2010“ - ღირებულება -148892,67 ლარი) მ. შარაშიძის ქუჩის N34-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხების
- ✓ დასრულდა (ხელშეკრულება №38 შპს „ფირმა იმედი“ - ღირებულება -148892,67 ლარი) სარიტუალო დარბაზ ჯორჯიასთან სანიაღვრე არხის მოწყობა.



4.1.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განხორციელება

სტრატეგიული მიმართულება 4

მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

პროგრამა	4.1.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განხორციელება	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი ლონისძიებები: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მონაცემთა საინფორმაციო ბაზის (მონაცემების შეგროვებისა და მონაცემთა ბაზის სისტემის) ჩამოყალიბება 2018 წლის ბოლოსთვის; მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლეობის, ისე საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე; ნარჩენების შეგროვების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა: - მუნიციპალური ნარჩენების 95% 2021 წლისთვის; - სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების 50% 2021 წლისთვის; სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;	პროგრამის მიზანია მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.	
	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
	მონაცემთა ბაზა	✓
	მომსახურების დაფარვის არეალი (%)	✓
	მუნიციპალური ნარჩენების 95% შეგროვება 2021 წლისთვის;	მიმდინარე
	სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების 50% შეგროვება 2021 წლისთვის;	
		მიმდინარე



ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოების და მათი დაგროვების რაოდენობების დადგენა 90%-ით 2021 წლისათვის;	სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოების რაოდენობა	მიმდინარე
სამრეწველო, ავტოტექნომსახურეობის და ელექტომემკეთებელ საწარმოებში (სპეციფიკური ნარჩენების) ინვენტარიზაციის ჩატარება და დაგროვების რაოდენობის 90% დადგენა 2021 წლისათვის.	სამრეწველო, ავტოტექნომსახურეობის და ელექტომემკეთებელ საწარმოებში (სპეციფიკური ნარჩენების) დაგროვების რაოდენობა ნარჩენის წარმომქმნელი, აღრიცხული სამრეწველო, ავტოტექნომსახურეობის და ელექტომემკეთებელ საწარმოების რაოდენობა	X
ქ. ბათუმის მერიის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის;	დახურული არასტანდარტული ნაგავსაყრელების რაოდენობა	მიმდინარე
ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლისთვის;	წყაროსთან სეპარირების ლოკაციების რაოდენობა	X
ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა: - ქალაქი 30% 2020 წლისთვის; - მინა 20% 2020 წლისთვის; - მეტალი 70% 2020 წლისთვის; - პლასტიკი 30% 2020 წლისთვის;	რეციკლირებული ნარჩენების რაოდენობა	X
ქ. ბათუმის მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;	ამოღების მაჩ მეტრი სანიაღვრე სისტემის და ვენებლის ზრდა	მიმდინარე
ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განლაგებულ სამედიცინო დაწესებულებებში დაგროვილი სამედიცინო ნარჩენების 100%-ით შეგროვებისა და ინსინერაციის უზრუნველყოფა 2020 წლისათვის; სამედიცინო დაწესებულებებიდან ნარჩენების შეგროვება გატანა ხდება შპს „სანდასუფთავებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ დროისთვის შპს „სანდასუფთავება“ ემსახურება 220 - მდე სამედიცინო დაწესებულებას, ხოლო დანარჩენები	ინსინერირებული სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა	✓



დამოუკიდებლად ახორციელებენ
ნარჩენების შეგროვებას და გატანას
ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
ნარჩენების მართვის საკითხებზე;

ცნობიერების ამაღლების
ჩატარებული ღონისძიებების
რაოდენობა

✓

ქ. ბათუმის მერიის თანამშრომლების უნარ-
შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების
მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის
კუთხით.

ჩატარებული ტრენინგების
რაოდენობა

✓

2018 წლის IV კვარტალში:

- ✓ შეძენილია 2 ერთეული ისუზუს ტიპის ნაგავმზიდი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტური და შეუფერხებელი მომსახურების უზრუნველსაყოფად.
- ✓ სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის ტენდერით შეძენილია ავტომანქანა, რომელიც უზრუნველყოფს შეუფერხებელ მუშაობას; ასევე ინსინერატორის დანადგარისა და შენობის კაპიტალური რემონტის შესაძენად გამოცხადებული ტენდერის შესაბამისად გაფორმდა ხელშეკრულებები. შეძენილია ინსინერატორი, მიმდინარეობს შენობის კაპიტალურ რემონტი, რომლის დასრულების შემდეგ შევა ექსპლუატაციაში.
- ✓ დაწყებულია ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოების და მათი დაგროვების რაოდენობების დადგენა, ასევე სამრეწველო, ავტოტექნომსახურების და ელექტროშემკეთებელ საწარმოებში ნარჩენების დაგროვების მდგომარეობის შესწავლა.
- ✓ 46 სტიქიური ნაგავსაყრელიდან მიმდინარე წლის განმავლობაში დახული 7 ნაგავსაყრელის გარდა 1 ნაგავსაყრელის დახურვაზე მემორანდუმი გაფორმდა არასამთავრობო ორგანიზაცია „SENN“-თან და 2019 წელს მოხდება მისი ლიკვიდაცია.
- ✓ შპს „სანდასუფთავების განვითარების კონცეფციის“ დონეზე შემუშავებული და წარდგენილია მერიაში ნარჩენების სეპარირების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული მიმართულებები.
- ✓ 2018 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჯამში მოხდა 1770 ობიექტის რეგისტრაცია/კორექტირება, ხოლო 300 ახალი აბონენტი დარეგისტრირდა საყოფაცხოვრებო ფართზე. დაზუსტდა 450 აბონენტის სოციალური სტატუსი და შევიდა შესაბამისი ცვლილება.
- ✓ ოქტომბერ-დეკემბრის თვეში დასაკორექტირებელი და დასარეგისტრირებელი აბონენტთა ჯამურ ვალის კორექტირებამ შეადგინა 165 544,40 ლარი. აღინიშნება აგრეთვე შემოსავლების ზრდა თვეების მიხედვით, კერძოდ:
 - 2018 ოქტომბრის შემოსავალი 138 806,00 ლარი;
 - 2018 ნოემბრის შემოსავალი 139 509,06 ლარი;
 - 2018 წლის დეკემბრის შემოსავალი 203 916,45 ლარი.
- ✓ კვლავ გრძელდება 2018 წლის 14 სექტემბრის საქართველოს მთავრობის #472 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტი-პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისი ობიექტების გაფრთხილება-ინფორმირება, რომელიც ამოქმედდა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან.



2018 წლის III კვარტალში:

- ✓ ტენდერში გამარჯვებულმა პრედენტებმა უზრუნველყო სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ერთი ერთეული ავტომანქანის მოწოდება სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის;
- ✓ მუშავდება ხარჯთაღრიცხვა არსებული ინსინერატორის შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის და მზადდება შესაბამისი ტექნიკური დავალება შესყიდვის განხორციელებისათვის. მომზადებულია ტენიკური დავალება და მიმდინარე პერიოდში გამოცხადდება ტენდერი ახალი ინსინერატორის დანადგარის შესაძენად.
- ✓ გამოვლენილი 46 სტიქიური ნაგავსაყრელიდან სრულად დახურულია 7 ერთეული და გატანილია დაახლოებით 935 კუბ.მეტრი სამშენებლო ნარჩენი და გრუნტი. ამასთანავე, ბარცხანის ხიდის გადასასვლელთან არსებულ ტერიტორიაზე წარმოქმნილ სტიქიურ ნაგავსაყრელზე არსებული დაახლოებით 22 000 კუბ.მეტრი ნარჩენიდან ეტაპობრივად გატანილია 800 კუბ. მეტრი სამშენებლო ნარჩენი და გრუნტი.
- ✓ მიმდინარეობს ნარჩენების სეპარირების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული მიმართულებების შესწავლა.
- ✓ მიმდინარეობს დაურეგისტრირებელ აბონეტთა იდენტიფიცირება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ მოწოდებულ საბაზისო მონაცემებსა და განვითარების სააგენტოს მონაცემების შეჯერებით და დაზუსტების შემთხვევაში ხდება აღნიშნულ აბონენტთა რეგისტრაცია. მონაცემთა ბაზების სირთულის და რიცხვოვნობიდან გამომდინარე, პროცესი მოიცავს არანაკლებ 2 თვეს, რაც შემდგომ პერიოდში გულისხმობს განახლებულ ინფორმაციის მოპოვებას განვითარების სააგენტოდან და მონაცემების ხელახალ დამუშავებას და მას აქვს არაერთჯერადი სახე.
- ✓ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხული, ამოუღებელი თანხების ამოღების მქანიზმების შემუშავების ფარგლებში: კერძო სექტორთან მიმართებაში მიმდინარეობს მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის სრულყოფა და პარალელურ რეჟიმში მათი პერიოდული ინფორმირება, როგორც წერილობით, ასევე უშუალოდ. მათ მიმართ რიცხული ყოველთვიური დარიცხვისა და დავალიანებების შესახებ. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ განყოფილებას პერიოდულად ეგზავნება მსხვილი დავალიანებების მქონე ურჩ გადამდელთა სია შემდგომი რეაგირებისთვის, რაც თავისთავად გულისხმობს არსებული დავალიანებების სასამართლო წესით ამოღებას.
- ✓ შესასწავლია დასუფთავების სფეროში არსებული კონკურენტების კონკურენტუნარიანობის საფუძვლები ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით. ინტენსიურად მიმდინარეობს 2018წლის 14 სექტემბრის საქართველოს მთავრობის #472 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტი-პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისი ობიექტების გაფრთხილება-ინფორმირება, რომელიც ამოქმედდა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან.

2018 წლის I-II კვარტალში:

- ✓ ჩამოყალიბებულია ნარჩენების შეგროვების მონაცემთა ბაზა შპს „სანდასუფთავებას“ მიერ;
- ✓ შეძენილი და განთავსდებულია 100 ერთეული 1100ლიტრი მოცულობის პლასტმასის ევრო კონტეინერი;
- ✓ ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრულ საწარმოთათვის მათი მოთხოვნის შესაბამისად მიწოდებულია სახიფათო ნარჩენების ეფექტური მართვის კომერციული სერვისი. აღნიშნული სერვისი ითვალისწინებს სახიფათო ნარჩენების სპეციალური კონტეინერებით ნარჩენების შეგროვებას და გატანა-უტილიზაციას ინსინერატორის მეშვეობით. აღნიშნული ღონისძიებისათვის შეძენილი და მიწოდებულია:
 - 300ერთეული 30ლიტრის მოცულობის სპეც.კონტეინერი;
 - 200 ერთეული 50ლიტრის მოცულობის ;
 - 100ერთეული 240 ლიტრის მოცულობის სპეც კონტეინერი



- ასევე გამოცხადებულია ტენდერი ერთი ერთეული ავტომანქანის შესაძენად სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის;
- ✓ მუშავდება ხარჯთაღრიცხვა არსებული ინსინერატორის შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის და მზადდება შესაბამისი ტექნიკური დავალება შესყიდვის განხორციელებისათვის;
- ✓ შედგენილია ტექნიკური დავალება და გამოცხადდება ტენდერი ახალი ინსინერატორის დანადგარის შესაძენად;
- ✓ დასრულდა ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და მათი სალიკვიდაციო ხარჯების შეფასება;
- ✓ ინტენსიურად მიმდინარეობს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან მუშაობა, რათა მოხდეს ქ. ბათუმის მთელ ტერიტორიაზე არსებულ საყოფაცხოვრებო ფართებზე სერვისების სააგენტოს მონაცემების შესაბამისობაში აბონენტთა სრული რეგისტრაცია;
- ✓ აბონენტად რეგისტრაციასა და მოსაკრებლის ამოღების სისტემის გაუმჯობესების მიზნით კერძო სექტორთან მიმართებაში. მიმდინარეობს მათი პერიოდული ინფორმირება, როგორც წერილობით, ასევე უშუალოდ, მათ მიმართ არსებული ყოველთვიური დარიცხვისა და დავალიანებების შესახებ. ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ განყოფილებას პერიოდულად ეგზავნება მსხვილი დავალიანებების მქონე ურჩ გადამდელთა სია შემდგომი რეაგირებისთვის, რაც თავისთავად გულისხმობს არსებული დავალიანებების სასამართლო წესით ამოღებას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული მეთოდით დავალიანებების ამოღების ეფექტურობა თითქმის 100%-ია.
- ✓ მონიტორინგის სამსახური აქტიურად მუშაობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, შემუშავებული და მიწოდებულია საინფორმაციო ცნობარები მოსახლეობაზე, ასევე გაფრთხილებულ იქნა კერძო სექტორის, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევებით შესაძლო დაჯარიმების თაობაზე. ბოლო ერთი თვის განმავლობაში დაჯარიმებულია 16 სამართალდამრღვევი პირი.



4.1.5. მოქალაქეთა ბუნებრივი აირით მომსახურების უზრუნველყოფა
სტრატეგიული მიმართულება 4 **მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება**

პროგრამა	4.1.5. მოქალაქეთა ბუნებრივი აირით მომსახურების უზრუნველყოფა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის სრულად და შეუფერხებლად მიწოდებას, ასევე აღნიშნული კომუნალური მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს მოწყვლადი ჯგუფებისათვის.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიის მომართვის შემდგომ, შესაბამისი ნებართვის გაცემისათვის საჭირო პროცედურების გავლა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის #6 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის #888 ბრძანების შესაბამისად;	–	✓
კომუნიკაციების გაყვანის ნებართვის გაცემა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით;	გაცემული ნებართვების რაოდენობა	✓
მოწყვლადი ჯგუფების მონაცემთა ბაზის შემუშავება;	მონაცემთა ბაზა	✓
მოწყვლადი ჯგუფების გაზიფიცირების სამუშაოების თანადაფინანსების განხორციელება.	ბენეფიციართა რაოდენობა; თანადაფინანსების მოცულობა.	✓

2018 წლის IV კვარტალში:

შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"-ს მიერ, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ახალი აბონენტების ბუნებრივი აირით გაზმომარაგების მიზნით დაბალი წნევის მიწისქვეშა და მიწისზედა მილსადენის მშენებლობისათვის, დაფიქსირებულია 50 მოთხოვნა, აქედან დაკმაყოფილდა 35, ხოლო



დანარჩენ 15-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის გამო.

გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე ისარგებლა 95-მა ბენეფიციარმა.

2018 წლის III კვარტალში:

შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"-ს მიერ, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ახალი აბონენტების ბუნებრივი აირით გაზმომარაგების მიზნით დაბალი წნევის მიწისქვეშა და მიწისზედა მილსადენის მშენებლობისათვის, მოთხოვნა არ დაფიქსირებულა. ვინაიდან, ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით მოქმედებდა შეზღუდვები მუნიციპალიტეტის მიერ.

გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე ისარგებლა 10- მა ბენეფიციარმა.

2018 წლის II კვარტალში:

შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"-ს მიერ, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ახალი აბონენტების ბუნებრივი აირით გაზმომარაგების მიზნით დაბალი წნევის მიწისქვეშა და მიწისზედა მილსადენის მშენებლობის მიზნით, შემოტანილ იქნა 11 განცხადება, აქედან 5 დაკმაყოფილდა დადებითად, 2-ზე მოთხოვნილი იქნა ალტერნატიული ტრასის გამოყენება, ვინაიდან ახალმოპირკეთებულია საპროექტო ტერიტორია, 4 დაუბრუნდა განმცხადებელს არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამო.

2018 წლის I კვარტალში, შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"-ს მიერ, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ახალი აბონენტების ბუნებრივი აირით გაზმომარაგების მიზნით, დაბალი წნევის მიწისქვეშა და მიწისზედა მილსადენის მშენებლობისათვის, შემოტანილ იქნა 17 განცხადება, აქედან 9 დაკმაყოფილდა დადებითად, 1-ზე მოთხოვნილი იქნა ალტერნატიული ტრასის გამოყენება, ვინაიდან ახალმოპირკეთებულია საპროექტო ტერიტორია, 7 დაუბრუნდა განმცხადებელს არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამო.

გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე -პირველ კვარტალში ისარგებლა 9 მეორეში 12-მა ბენეფიციარმა



4.1.6. ქალაქის ენერგომომარაგების გაუმჯობესების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 4

მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

პროგრამა	4.1.6. ქალაქის ენერგომომარაგების გაუმჯობესების ხელშეწყობა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ერთის მხრივ ქალაქში ელექტროენერგიის არსებული მზარდი მოთხოვნების შესაბამისად ელექტროენერგიის დამატებით მიწოდებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას, და მეორეს მხრივ უზრუნველყოს საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორის უსაფრთხოება რაც განპირობებული იქნება ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად ამ მიმართულებით ავარიული შემთხვევების თავიდან აცილებით.		
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	
ენერგომომარაგებელი კომპანიის მომართვის შემდგომ, შესაბამისი ნებართვის გაცემისათვის საჭირო პროცედურების გავლა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის #6 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის #888 ბრძანების შესაბამისად;	–	✓	
კომუნიკაციების გაყვანის ნებართვის გაცემა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით;	გაცემული ნებართვების რაოდენობა	✓	
საჭიროების შემთხვევაში კომპანიისათვის ახალი სატრანსპორტატორო ქვესადგურების მოწყობისათვის მიწის გამოყოფისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის პროცედურული საკითხების განხორციელება.	გაცემული ნებართვების რაოდენობა	✓	

2018 წლის IV კვარტალში:



- ✓ ანდრია პირველწოდებულის III შესახვევი,
- ✓ მატათა მოციქულის ქუჩაზე,
- ✓ მეფე მირიანის ქუჩა,
- ✓ მეფე მირიანის I ჩიხი,
- ✓ მეფე მირიანის I I ჩიხი,
- ✓ მეფე მირიანის III ჩიხი,
- ✓ სვიმონ კანანელის #33, სვიმონ კანანელის #15-17-19,
- ✓ სვიმონ კანანელის #70,
- ✓ სვიმონ კანანელის I შესახვევი,
- ✓ სვიმონ კანანელის I ჩიხი,
- ✓ სვიმონ კანანელის II ჩიხი,
- ✓ წმინდა ნინოს I ჩიხი.

სულ ჯამში დამონტაჟდა 273 ცალი გარე განათების ბოძი. დასრულდა გონიო-კვარიათის ზღვისპირა ბილიკის გარე განათების რეაბილიტაცია.

2018 წლის III კვარტალში შპს „აჭარგანათებასთან“ გაფორმებული №240 ხელშეკრულების (ღირებულება -1160592,00 ლარი) ფარგლებში, მიმდინარეობს გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაციის სამუშაოები: მიმდინარე წლი მე-3 კვარტალის მდგომარეობით :

- ✓ გაეწია მომსახურება 17063 წერტს;
- ✓ 415 ელ. გამანაწ. კარადებს;
- ✓ შეიღება 243 ცალი ბოძი.

დასრულდა ხელშეკრულება №120 შპს „გუნგლი“-სთან (ღირებულება 25054.10 ლარი), რომლის რომლის ფარგლებშიც დამონტაჟდა განათების ბოძები ენერგო ეფექტური სანათებით:

- ✓ ადლიის ქუჩის მონაკვეთზე (#89-#99) 8 გარე განათების ბოძი 30 ვატნიანი სანათებით;



- ✓ გენ.ასლან აბაშიძის #45-დან ქეთევან წამებულის ქუჩამდე 5 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ მარეთის I ჩიხში 3 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ ქეთევან წამებულის #36 დან ქ. წამებულის II ჩიხამდე 4 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ ქეთევან წამებულის II ჩიხი #76 დან ქ. წამებულის ქუჩამდე დამონტაჟდა 2 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ ქეთევან წამებულის I ჩიხი #36-დან #46-მდე დამონტაჟდა 2 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ ქეთევან წამებულის #50-დან #62-მდე დამონტაჟდა 3 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით.

2018 წლის I-II კვარტალში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაციის შესყიდვაზე. სულ 19512 წერტილების მოწყობის სამუშაოებზე; მიმდინარეობს გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაციის სამუშაოები: ხელშეკრულება №240 შპს „აჭარგანათება“ (ღირებულება -1160592,00 ლარი) ქალაქის მასშტაბით მომსახურება გაეწია საშუალოდ - 17063 წერტს, 415 ელ. გამანაწ. კარადას, შეიღება 243 ცალი ბოძი.

ხელშეკრულება №22 შპს „გუნგლი“ (ღირებულება - 17088,3 ლარი) - დამონტაჟდა:

- ✓ სამების ქუჩაზე 15 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ გოდერძი ჩოხელის ქ. #35-დან #41-მდე 12 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ გოდერძი ჩოხელის ქუჩა 34 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ გოდერძი ჩოხელის ქუჩის I ჩიხი 7 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ გოდერძი ჩოხელის ქუჩის II ჩიხი 16 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;
- ✓ გოდერძი ჩოხელის ქუჩის III ჩიხი 10 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;

ხელშეკრულება №40 შპს „EL-GROUP“ (ღირებულება 15997,97 ლარი) დასრულდა დიოდური გარე განათების სანათების შეძენა 180 ერთწეული-30 ვტ-იანი; 50 ერთეული - 50 ვტ-იანი;

ხელშეკრულება №54 შპს „აჭარგანათება“ (ღირებულება 164 819,00 ლარი) დამონტაჟდა: მარკოზ აჭარელის IV შესახვევი 12 გარე განათების ბოძი 30 ვატიანი სანათებით;



4.5. ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები

4.5.1. ქალაქის გამწვანების გეგმის შემუშავება და განხორციელება

სტრატეგიული მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება მიმართულება 4

პროგრამა	4.5.1. ქალაქის გამწვანების გეგმის შემუშავება და განხორციელება										
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ქალაქის გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით გრძელვადიანი მდგრადი პოლიტიკის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი სამუშაოების გეგმაზომიერ და ხარისხიან განხორციელებას.										
ღონისძიებები:	<table> <tr> <th>შესრულების ინდიკატორი</th><th>შესრულება</th></tr> <tr> <td>ქალაქის გამწვანების მიმართულებით არსებული სიტუაციის ანალიზის მომზადება;</td><td>სიტუაციის ანალიზის დოკუმენტი X</td></tr> <tr> <td>მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საფუძველზე პრიორიტეტული მიმართულებებისა და ღონისძიებების განსაზღვრა;</td><td>დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა X</td></tr> <tr> <td>ქალაქის გამწვანების გეგმის პროექტის მომზადება და განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან;</td><td>გამწვანების გეგმის პროექტი X</td></tr> <tr> <td>საბოლოო დოკუმენტის ქ. ბათუმის საკრებულოსათვის წარდგენა დასამტკიცებლად.</td><td>დამტკიცებული გამწვანების გეგმა X</td></tr> </table>	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	ქალაქის გამწვანების მიმართულებით არსებული სიტუაციის ანალიზის მომზადება;	სიტუაციის ანალიზის დოკუმენტი X	მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საფუძველზე პრიორიტეტული მიმართულებებისა და ღონისძიებების განსაზღვრა;	დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა X	ქალაქის გამწვანების გეგმის პროექტის მომზადება და განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან;	გამწვანების გეგმის პროექტი X	საბოლოო დოკუმენტის ქ. ბათუმის საკრებულოსათვის წარდგენა დასამტკიცებლად.	დამტკიცებული გამწვანების გეგმა X
შესრულების ინდიკატორი	შესრულება										
ქალაქის გამწვანების მიმართულებით არსებული სიტუაციის ანალიზის მომზადება;	სიტუაციის ანალიზის დოკუმენტი X										
მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საფუძველზე პრიორიტეტული მიმართულებებისა და ღონისძიებების განსაზღვრა;	დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა X										
ქალაქის გამწვანების გეგმის პროექტის მომზადება და განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან;	გამწვანების გეგმის პროექტი X										
საბოლოო დოკუმენტის ქ. ბათუმის საკრებულოსათვის წარდგენა დასამტკიცებლად.	დამტკიცებული გამწვანების გეგმა X										

2018 წლის IV კვარტალში

ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გაცელება, მწვანე ბაღების დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბელება, ხე-მცენარეების შეხვევა და გახსნა სეზონურად, ხე- მცენარეების შეღებვა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათონხა-გაფხვიერება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა გამოხილვა, მცენარეების შეწამლევა შხამქიმიკატებით).

წარმატებები:

- ✓ 1119796 კვ.მ გაიცელა მწვანე საფარი,
- ✓ დაირგო 1635 ახლი ხე-მცენარე.



- ✓ განხორციელდა 3417 ძირი ხემცენარეს დეკორატიული გასხვლა გაფორმება,
- ✓ გადაიბელა, 28 ძირი ხე-მცენარე
- ✓ ამოძირკვა 100 ძირი დაზიანებული ხე-მცენარე
- ✓ 1032 ძირ ხე-მცენარეზე გადაზრდილი და გადამხმარი ტოტების შეჭრა.
- ✓ ჩაუტარდა სეზონური სამუშაოები სანერგეში არსებულ ხე-მცენარეების ნერგებს,
- ✓ შეტანილი იქნა საჭიროებისამებრ 108,5 კუბ.მ მიწა
- ✓ ბორდიულზე გადმოსული კორდის ჩამოჭრა 4716 გრძ.მ.

2018 წლის III კვარტალში

გამწვანების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მრავალწლიანი ხე-მცენარეების დარგვა ქალაქის შემდეგ ტერიტორიებზე: ნონეშვილის ქ.(ბარცხანა), თაყაიშვილის ქ. , ლერმონტოვის ქ., ჟორდანას ქ. ზედალელის ქ. აოერპორტის გზატკეცილი, ჭავჭავაძისა და ენგელსის ქუჩების კვეთა, ბაქოს ქუჩის სკვერი, გრიბოდოვისა და ტაბიძის ქუჩები, მახინჯაურის წრიული, კაჩინშვის ქ. კომახიძის I შესახვევი, ნურეთინ ჩერმიკლის ქ. ტაბიძის 31, ქათამაძის ქ. გრიბოდოვის , ტბელ აბუსერიძის ქ. გოგებაშვილის ქ. ტაბიძის ქ. რუსთაველის ქ. ცენტრალური პარკი, ჩაიკოვსკის ქ. დემეტრე თავდადებულის ქ. ლუკა ასათიანის ქუჩა, წერეთლის ქ. ვაჟა ფშაველას ქ ნინოშვილის ქ. დ.თავდადებულის და ზ.გორგილამის კვეთა, შინდისის გმირების სკვერი, გოგებაშვილის ქ. (ჭაჭის კოშკთან) , ს. ხიმშიაშვილის და ორბელიანის ქუჩების კვეთა. ჯამში 3324 ძირი ხე. ასევე , მუდმივად მიმდინარეობს გამწვანების დეკორაციული სივრცის 1 წლოვანი და სეზონური ყვავილებით შევსება.

2018 წლის I-II კვარტალში

ქალაქის გამწვანების ფარგლებში I კვარტალში ნონეშვილის ქუჩაზე, შინდისის სკვერში და ქალაქის სხვედასხვა ადგილებში დაირგო 291 მრავალწლოვანი ხე-მცენარე. ასევე მოვლა პატრონობის ფარგლებში გაიცელა 1158100 კვმ მწვანე საფარი, კირით შეთეთრდა 7000 ძირი ხე-მცენარე. ნიადაგის გათოხვნა-გაფხვიერება და მცენარეების ირგვლივ გამარგვლა განხორციელდა 5355 კვმ-ზე.

ქალაქის გამწვანების ფარგლებში II კვარტალში მრავალწლოვანი მცენარეებით გამწვანდა წერეთლის, ლუკა ასათიანის, ანდრონიკაშვილის,ჯავახიშვილის და ტაბიძის ქუჩები,ჯამში დაირგო 1830 ძირი. ასევე ქალაქის სხვედასხვა კლუმბები,წრიულები თუ გაზონები შეივსო 509 367 ცალი ერთწლოვანი ყვავილით. მოვლა პატრონობის ფარგლებში გაიცელა 2741531 კვმ მწვანე საფარი, ნიადაგის გათოხვნა-გაფხვიერება და მცენარეების ირგვლივ გამარგვლა განხორციელდა 6497 კვმ-ზე.

6 რეაბილიტირებული ქუჩაზე მოეწყო ახალი გამწვანებული სივრცე, ჯამში დაირგო 655 ძირი მრავალწლოვანი ფოთოლმცვენი და მარადმწვანე (წიწვოვანი) მცენარეები. სისტემატურად მიმდინარეობს მწვანე საფარის გაცეღვითი სამუშაოები.



4.5.2. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

სტრატეგიული მიმართულება მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

4

პროგრამა

4.5.2. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის და გამწვანებული ტერიტორიის გაფართოება, რაც შედეგად უზრუნველყოფს ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებების განხორციელება (ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების გაშენება, მოვლა-პატრონობა);

ტერიტორიის ფართობი, რომელზეც ხორციელდება გამწვანების მოვლა-პატრონობის სამუშაოები

✓

ახალი მწვანე სივრცეების მოწყობა:

ახალი სკვერების რაოდენობა

✗

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და განვითარება.

ობიექტების რაოდენობა, რომელზეც ხორციელდება მოვლა-პატრონობის ღონისძიებები

✓

2018 წლის IV კვარტალში

დასრულდა ქ. ბათუმში, 9 აპრილის ხსოვნისა და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალის მოწყობა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

დასრულდა ქ. ბათუმში, ი.ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა.

დასრულდა კ. ლესელიძის ქ. #5 და #6 საცხოვრებელ სახლებს შორის ფანჩატურის მოწყობა. მიმდინარეობს ისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთის მიმდებარედ (ბათუმი ხელოვნების უნივერსიტეტის უკან) სკვერი ღია ავტოპარკინგით.

2018 წლის III კვარტალში

გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა: მრავალწლიანი ხე-მცენარეების დარგვა ქალაქის შემდეგ ტერიტორიებზე: ნონეშვილის ქ.(ბარცხანა), თაყაიშვილის ქ. , ლერმონტოვის ქ., ჟორდანია ქ. ზედადელის ქ. აოერპორტის გზატკეცილი, ჭავჭავაძისა და ენგელსის ქუჩების კვეთა, ბაქოს ქუჩის სკვერი, გრიბოედოვისა და ტაბიძის ქუჩები, მახინჯაურის წრიული, კაჩინშვილის ქ. კომახიძის I შესახვევი, ნურეთინ ჩერმიკლის ქ. ტაბიძის 31, ქათამაძის ქ. გრიბოედოვის , ტბელ აბუსერიძის ქ. გოგებაშვილის ქ. ტაბიძის ქ. რუსთაველის ქ. ცენტრალური პარკი, ჩაიაკოვსკის ქ.



დემეტრე თავდადებულის ქ. ლუკა ასათიანის ქუჩა, წერეთლის ქ. ვაჟა ფშაველას ქ. ნინოშვილის ქ. დ.თავდადებულის და ზ.გორგილაძის კვეთა, შინდისის გმირების სკვერი, გოგებაშვილის ქ.(ჭაჭის კოშკთან) , ს. ხიმშიაშვილის და ორბელიანის ქუჩების კვეთა. ჯამში 3324 ძირი ხე.
ასევე , მუდმივად მიმდინარეობს გამწვანების დეკორაციული სივრცის 1 წლოვანი და სეზონური ყვავილებით შევსება.

მიმდინარეობს (ხელშეკრულება №105 შპს „NEW ENERGY“ ღირებულება - 17429.00 ლარი) ქ. ბათუმში, ახმეტელის ქ. N1-3-5 საცხოვრებელი სახლებისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარედ არსებული სკვერის დეკორატიული ღობით მოწყობის სამუშაოები.

მიმდინარეობს (ხელშეკრულება №106 ი/მ „თეიმურაზ მახარაძე“ ღირებულება - 108198.47 ლარი) ქ. ბათუმში, 9 აპრილის ხსოვნისა და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალის მოწყობა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

მიმდინარეობს (ხელშეკრულება №35 შ.პ.ს „კაბადოკია“ ღირებულება - 61184.99 ლარი) ქ. ბათუმში, ი.ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა.

მიმდინარეობს (ხელშეკრულება №47 შპს "მეგაბილდ" ღირებულება - 16441.00 ლარი) კ. ლესელიძის ქ. #5 და #6 საცხოვრებელ სახლებს შორის ფანჩატურის მოწყობა.

მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ელექტრონული ტენდერის გამოსაცხადებლად - **ზუბალაშვილისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთის მიმდებარედ** (ბათუმი ხელოვნების უნივერსიტეტის უკან) **სკვერი ღია ავტოპარკინგით**. პარკინგი გათვალისწინებული იქნება თავდადებულის ქუჩის მხრიდან 13 მანქანისათვის, ასათიანის მხრიდან 24 მანქანისათვის. პროექტით გათვალისწინებულია სარეკრიაციო ზონა 1064 კვ, საპირპარეშო ადაპტირებული შშმ პირებისთვის. შადრევანის დაახლოებითი რადიუსი - 4მ, სავარძლების რაოდენობა 2 ერთეული დიდი ოვალური დაახლოებით 8 მეტრი სიგრძე, პატარა სავარძელები 10 ერთეული სიგანე 2,5მ. ლამპიონების რაოდენობა იქნება წარმოდგენი საპროექტო კომპანიის მიერ პროექტის სრული წარმოდგენისას. პროექტი წამოდგენილი იქნება თავისი ტექნიკური მაჩვენებლებითა და ხარჯთაღიძვრით. პროექტის განსახორციელებლად ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1 500 000 ლარი.

2018 წლის I-II კვარტალში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე. სულ 11 ობიექტი.



4.5.3. კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება

სტრატეგიული მიმართულება მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

4

პროგრამა

4.5.3. კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა პროგრამის მიზანია ბათუმში ცხოვრებისა და ტურიზმის განვითარების პირობების გაუმჯობესება; ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ადგილობრივი გარემო პირობების გაუმჯობესება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოვლენებისადმი შეგუების საშუალებით მედეგობის ამაღლება.

ღონისძიებები:

ბათუმის მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელებისთვის ტექნიკური დავალების მომზადება და ტენდერის გამოცხადება;

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ტექნიკური დავალება

X

გამარჯვებული კომპანიის მიერ მესგ (მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა) მონიტორინგის დოკუმენტის მომზადება;

მონიტორინგის ანგარიში

X

„მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერთების ინიცირება (საკრებულოს მიერ დამტკიცება, ოფიციალური ხელმოწერა);

დამტკიცებული განკარგულება

X

ბათუმის კლიმატისა და ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის მომზადების ტექნიკური დავალების შემუშავება;

ტექნიკური დავალება

X

ბათუმის კლიმატისა და ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის მომზადებაზე ტენდერის გამოცხადება და გამარჯვებული კომპანიის შერჩევა;

გაფორმებული ხელშეკრულება

X



ბათუმის ენერგეტიკის მომზადება	კლიმატისა სამოქმედო	და გეგმის	სამოქმედო გეგმა	X
ბათუმის ენერგეტიკის პროექტის დასამტკიცებლად	კლიმატისა სამოქმედო საკრებულოზე წარდგენა	და გეგმის	საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა	X

პროგრამის ამოქმედება დაგეგმილია 2019 წლიდან.



4.6. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

4.6.1. მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ს ამოქმედება

სტრატეგიული მიმართულება 4	მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება	
პროგრამა	4.6.1. მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ს ამოქმედება	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მოსახლეობისა და ბიზნესისათვის მომსახურების პროცესში ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება და მუნიციპალური მომსახურების სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურების მიწოდება.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება მიმდინარე
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზი; პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;	ბიზნეს პროცესების რაოდენობა	მიმდინარე
ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა;	შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა	მიმდინარე
მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა გადამზადება და შესაძლებლობების გაძლიერება	ერთიანი პორტალი და ელექტრონული სერვისების რაოდენობა	მიმდინარე
მუნიციპალური სერვის ცენტრების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	მიმდინარე
	ამოქმედებული სერვის ცენტრები	მიმდინარე

2018 წლის IV კვარტალში,

დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების შედეგად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მომსახურებების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შესახებ ანალიტიკური ანგარიშისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, გადაწყდა ტექნიკური ექსპერტების ჯგუფის მოწვევა. შედეგად, მოხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების სერვისების სრული, დეტალური აღწერა და მათი მიწოდების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სტრატეგიის შემუშავება. სამუშაოები განხორციელდება 2019 წლის იანვარ-თებერვალში. პროექტის ფინანსური მხარდაჭერა: „USAID - ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI)“.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია სარგებლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ შექმნილი პროგრამებით: სსიპ "საფინანსო - ანალიტიკური სამსახურის"-საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამით (eDocument), „სსიპ - ების და ა(ა)იპ - ების სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ბიუჯეტის მართვის სისტემით“ (www.ebudget.ge), „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემით“ (www.etreasure.ge), ადამიანური რესურსების მართვის (eHRMS) პროგრამით. სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" - "მუნიციპალიტეტების მართვის სისტემით (მმს), რომელიც ევროკავშირის დაფინანსებულია და მუნიციპალიტეტებისთვის უფასოა. ასევე რამდენიმე სხვა პროგრამით ("ერთიგონი", "კოდექსი" და ა.შ.). სხვა ახალ პროგრამებთან ერთად, საჯარო ინფორმაციის შეუფერხებლად და დროულად გაცემის მიზნით, ასევე არქივის ელექტრონული ბაზის შექმნისთვის დაგეგმილია საქართველოს ეროვნულ არქივის პროგრამის დანერგვა. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა ძველი პროგრამების დახვეწისა და ახალი პროგრამების მოძიების კუთხით, რომლებიც უპასუხებენ მუნიციპალიტეტის გამოწვევებსა და თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს.

მიმდინარეობს მუშაობა მერიის ახალი ვებ-გვერდისა და მუნიციპალიტეტის ერთიანი პორტალის შექმნაზე. შემუშავდა საიტის სტრუქტურა და დაიწყო ტექნიკური სამუშაოები. მერიის ახალი ვებ-გვერდი მაქსიმალურად გაუმარტივებს მოქალაქეებს სასურველი ინფორმაციებისა და სერვისების მიღებას. 2018 წლიდან მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია მუნიციპალური სერვისების ელექტრონულად მიღება, უკვე არსებული, სახელმწიფოს „ერთიანი ელექტრონული პორტალის - www.my.gov.ge“-ის მეშვეობით. ამ ეტაპზე შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური და არქიტექტურული სერვისების მიღება. საბოლოო მიზანია მერიის ყველა სერვისის ელექტრონულად, "ერთიანი ელექტრონული პორტალის - www.my.gov.ge“-ის მეშვეობით მიწოდების უზრუნველყოფა. დასრულდა მუშაობა შემდეგ პროექტებზე:

1. სტატისტიკის პორტალი - (www.batumi.ge/statistics/) - ხელმისაწვდომია სამშენებლო, რეკლამებისა და გარევაჭრობის ნებართვების სტატისტიკა. მიმდინარეობს მუშაობა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სტატისტიკის მოდულზე.
2. "მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა" - (www.idea.batumi.ge) - რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართვა ქალაქის ბიუჯეტის ნაწილის დაგეგმვასა და ქალაქის განვითარებისთვის სასარგებლო იდეების მოზიდვა.
3. „დაგეგმე მერთან ვიზიტი ონლაინ“ – (www.visit.batumi.ge) რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ პირს შეუძლია დაგეგმოს ვიზიტი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან, მესამე პირებისა და სტრუქტურების ჩართვის გარეშე, დისტანციურად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდის მეშვეობით.
4. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების ვებ-გვერდი. (www.ubnebi.batumi.ge) რაც მნიშვნელოვანია სერვისცენტრებისა და საუბნო კავშირების გააქტიურებისა და მოსახლეობის ჩართულობა/ინფორმირებისთვის. მოქალაქეებს შეუძლიათ გაეცნონ კონკრეტულად საკუთარი უბნის სიახლეებს და არ ეძებონ ის სხვა ინფორმაციებს შორის.

მიმდინარეობს მუშაობა: ქალაქის ტერიტორიაზე საჭირო ინფრასტრუქტურული და სხვა სამუშაოების შესახებ ინფორმაციების მიწოდების და მასზე შესაბამისი სამსახურების მიერ რეაგირების პროცესის გამარტივებისთვის, იქმნება მერიის შიდა მოხმარების გვერდი. ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებისა და მონიტორინგის თანამშრომლები დროულად, ბიუროკრატიული ბარიერების გვერდის ავლით მიაწოდებენ შესაბამის სამსახურებს მოსაგვარებელი საკითხების შესახებ ინფორმაციას (ლოკაცია, სურათი, სიტუაციის აღწერა), კომპეტენტური სამსახურები მიღებულ ინფორმაციას დაამუშავენ და შესაბამისი რეაგირების შემდეგ იქვე ატვირთავენ პასუხს. დაინტერესებულ მესამე პირს/პირებს, მათ შორის, მაკონტროლებლებს (ქალაქ ბათუმის მერს, ვიცე-მერს, მერის მოადგილეებს) შეეძლება პროცესის კონტროლი. იგი გაამარტივებს და დააჩქარებს ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარების, გადაწყვეტილებების მიღებისა და სამუშაოების შესრულების პროცესს.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 მაისის №2194 ბრძანების თანახმად, ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებს მიენიჭათ, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების „eDocument“-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზასა და „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა - მმს“-ის პროგრამაში, მერიაში სერვისების მიღების მიზნით შემოსული დოკუმენტების პირველადი დამუშავებისა და რეგისტრაციის უფლება, ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის თანამშრომლებს დაევალებათ მოქალაქეების მომსახურება (განცხადებების რეგისტრაცია, საპასუხო წერილების მიწოდება, ზოგადი კონსულტაციის გაწევა). მოქალაქეებს მერიის სერვისების მიღება, ადგილზე "ერთი ფანჯრის პრინციპით" შეუძლიათ.

2018 წლის 25 დეკემბერს გაიხსნა მოქალაქეთა მომსახურების პირველი, ახალი სერვისცენტრი - ბაგრატიონის (ერთი) ადმინისტრაციულ ერთეულში. განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები სერვისცენტრის ტექნიკური აღჭურვისა და გამართვისთვის. მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისების მიღება გამარტივდა და უფრო კომფორტული გახდა. დასრულდა და 2019 წლის იანვარში გაიხსნება მორიგი განახლებული სერვისცენტრი ძველი ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულში. 2019 წლისთვის დაგეგმილია კიდევ ორი სერვისცენტრის მშენებლობა.

შემუშავდა "ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრების მომსახურების ხარისხის სტანდარტი", რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის მომხმარებლის მომსახურების პროცესში, ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის ოპერატორის მიერ განხორციელებული მომსახურების ზოგად წესსა და პირობებს.

2018 წლის III კვარტალში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის დავალების შესაბამისად, მუნიციპალური სერვისების სამსახურმა შექმნა სტატისტიკის მოდული, რომელიც გამოქვეყნებულია მერიის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამ ეტაპზე შეიქმნა სტატისტიკის ორი მოდული: „ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურისა“ და „მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის“ სტატისტიკა.

2018 წლის ივნისიდან, ქალაქ ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური წარმატებით ჩაერთო „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში - მმს-ში“, რაც ამარტივებს აღნიშნული სამსახურის მიერ პროგრამების მართვასა და შემოსულ განცხადებებზე ინდივიდუალური წარმოების პროცესს. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ 2018 წლის მაისიდან ჩაერთო „საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში - eDocument - ში“ ასევე დაგეგმა და ჩაატარა ტრენინგები თანამშრომლებისთვის. დაინერგა სსიპ „საფინანსო ანალიტიკური სამსახურის“ კიდევ ერთი პროდუქტი - „აღმართული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა - eHRMS“. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 მაისის №2194 ბრძანების თანახმად, ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებს მიენიჭათ, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების „eDocument“-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზასა და მმს-ის პროგრამაში, მერიაში სერვისების მიღების მიზნით შემოსული დოკუმენტების პირველადი დამუშავებისა და რეგისტრაციის უფლება. ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის თანამშრომლებს დაევალებათ მოქალაქეების მომსახურება (განცხადებების რეგისტრაცია, საპასუხო წერილების მიწოდება, ზოგადი კონსულტაციის გაწევა). განხორციელდა აღნიშნული თანამშრომლების გადამზადება „eDocument-ის“ და „მმსის“ ბაზაში კანცელარიის მიმართულებით მუშაობის უნარ-ჩვევებში. 2018 წლის ივლისში დასრულდა სერვისცენტრებში კანცელარიების გახსნა და ტექნიკური აღჭურვა, რის შემდეგაც მოქალაქეებს მერიის სერვისების ადგილზე მიღება შეუძლიათ.

მუნიციპალური სერვისების სამსახურმა შექმნა „მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმა“ – idea.batumi.ge. აღნიშნული პროექტი არის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 დეკემბრის #539 დადგენილების სამოქმედო გეგმის III გამოწვევის - „საჯარო რესურსების უკეთესი მართვა“, 24-ე ვალდებულების - „ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის



მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა“ თანახმად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის დანერგვის ვალდებულების შესრულება. იგი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართვას ქალაქის ბიუჯეტის ნაწილის დაგეგმვასა და ქალაქის განვითარებისთვის სასარგებლო იდეების მოზიდვას. სამსახური მუშაობდა ორი მიმართულებით: 1. შესაბამისი ვებგვერდის მომზადებისა (შესრულებულია) და 2. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან წვდომის მოსაპოვებლად საჭირო სამუშაოების განხორციელების. სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან წვდომა აუცილებელია პლატფორმაზე დარეგისტრირებული მოქალაქეების რეგისტრაციის დასადგენად, პროექტის საჭიროებებიდან გამომდინარე. (მიმდინარეობს მოლაპარაკებები).

მუნიციპალური სერვისების სამსახური მუშაობს მერიის ახალი ვებ-გვერდისა და მუნიციპალიტეტის ერთიანი პორტალის შექმნაზე. უკვე შემუშავებულია საიტის სტრუქტურა და მიმდინარეობს კონსულტაციები მერიის სამსახურებთან, რის შემდეგაც დაიწყება ახალი საიტის დამზადებისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოები. შემდეგ ეტაპზე იგეგმება ელექტრონული სერვისების (ონლაინ კანცელარია) ინტეგრაცია, რაც მოქალაქეებს მისცემს საშუალებას მიიღონ სერვისები დისტანციურად.

მუნიციპალური სერვისების სამსახური მუშაობს ორ ახალ პროექტზე:

- „დაგეგმე მერთან ვიზიტი ონლაინ“, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ მოქალაქეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდის მეშვეობით შეეძლება დაგეგმოს მერთად ვიზიტი ადგილზე მისვლის გარეშე;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარე, დაგეგმილი, დასრულებული პროექტებისა და სხვა მნიშვნელოვანი სიახლეების ერთ ვებ-გვერდზე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით განთავსებაზე, რაც მნიშვნელოვანია სერვისცენტრებისა და საუბნო კავშირების გააქტიურებისა და მოსახლეობის ჩართულობა/ინფორმირებისთვის.

მუნიციპალური სერვისების სამსახური დისტანციური სერვისების კიდევ ერთ პროექტზე - „ქოლცენტრზე“ მუშაობს. მიმდინარეობს კონსულტაციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და სსიპ „იუსტიციის სახლთან“, რომლებსაც აღნიშნული სერვისის წარმატებული მენეჯმენტის გამოცდილება აქვთ. მიმდინარეობს მუშაობა „ქოლცენტრისთვის“ საჭირო ხარჯდარიცხვის მოსამზადებლად და წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს. ასევე დაიგეგმა და მიმდინარეობს მუშაობა „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში - მმს-ში“ მერიის სხვა სამსახურების ჩართვაზე. საბოლოო შედეგი უნდა იყოს მერიისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისთვის ერთ სისტემაში, მოქნილი ელექტრონული სამუშაო გარემოს შექმნა, რაც გაამარტივებს დასაქმებული პირების სამუშაოს შესრულების პროცესს, ხოლო მერიის მიერ სერვისების მიწოდება მოქალაქეებისთვის უფრო სწრაფი და ეფექტური იქნება. უკვე მიღწეულია შეთანხმება სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“ „მმს-ში“ კანცელარიის ფუნქციის დამატებაზე, რაც ორ ან მეტ პროგრამაში მუშაობის აუცილებლობას გამორიცხავს და წარმოებაზე დახარჯულ დროს მკვეთრად შემცირებს.

მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში **სერვისცენტრების ახალი ოფისების მშენებლობა**, 2 ერთეული: (ბესიკისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების კვეთა და ჭავჭავაძის, ზუბალაშვილის, 26 მაისისა და ლუკა ასათიანის ქუჩებს შორის, თიბისი ბანკის მიმდებარედ)

2018 წლის I-II კვარტალში, ქ. ბათუმის მერიაში განხორციელებული იქნა რეორგანიზაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო. სააგენტოს დაქვემდებარებაში ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შეიქმნა სტრუქტურული



ქვედანაყოფები - მუნიციპალიტეტის სერვისცენტრები. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით სულ შეიქმნა 14 სერვისცენტრი. მიმდინარეობს 2 სერვის ცენტრის პროექტირების სამუშაოები.

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მიერ განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის ბიზნეს პროცესების ანალიზი, რომელიც უკავშირდება შესაბამისი სამსახურების მიერ მშენებლობისა და გარე ვაჭრობის სანებართვო მომსახურების სტატისტიკისა და ნებართვის მაძიებლისათვის ინფორმაციის მიწოდების დისტანციური სერვისის შეთავაზებას ვებ გვერდზე შესაბამისი ფუნქციების განთავსებით,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის დავალების შესაბამისად მუნიციპალური სერვისების სამსახურმა შექმნა სტატისტიკის მოდული, რომელიც გამოქვეყნებულია მერიის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამ ეტაპზე შეიქმნა სტატისტიკის ორი მოდული: „ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურისა“ და „მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის“ სტატისტიკა 2018 წლის ივნისიდან ქალაქ ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური წარმატებით ჩაერთო „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში - მმს-ში“, რაც ამარტივებს აღნიშნული სამსახურის მიერ პროგრამების მართვასა და შემოსულ განცხადებებზე ინდივიდუალური წარმოების პროცესს. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ 2018 წლის მაისიდან ჩაერთო «საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში - eDocument - ში“ ასევე დაგეგმა და ჩაატარა ტრენინგები თანამშრომლებისთვის. დაინერგა სსიპ „საფინანსო ანალიტიკური სამსახურის“ კიდევ ერთი პროდუქტი, „ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა - eHRMS“. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 მაისის №2194 ბრძანების თანახმად, ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვისცენტრების თანამშრომლებს მიენიჭათ, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების „eDocument“- ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზასა და მმს-ის პროგრამაში, მერიაში სერვისების მიღების მიზნით შემოსული დოკუმენტების პირველადი დამუშავებისა და რეგისტრაციის უფლება, ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის თანამშრომლებს დაევალებათ მოქალაქეების მომსახურება (განცხადებების რეგისტრაცია, საპასუხო წერილების მიწოდება, ზოგადი კონსულტაციის გაწევა). ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურთადად ერთად დაიგეგმა და განხორციელდა აღნიშნული თანამშრომლების გადამზადება „eDocument-ის“ და „მმსის“ ბაზაში კანცელარიის მიმართულებით მუშაობის უნარ-ჩვევებში. 2018 წლის ივლისში დასრულდა სერვისცენტრებში კანცელარიების გახსნა და ტექნიკური აღჭურვა, რის შემდეგაც მოქალაქეებს მერიის სერვისების ადგილზე მიღება შეუძლიათ.

თვითმმართველი ერთეულის იერსახის, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის, აბრის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, ავტომანქანების პარკირების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, ასევე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა და რეაგირებაზე უფლებამოსილი პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;

- უნებართვო ან/და დარღვევით მშენებარე ობიექტების გამოვლენა, ასევე საქართველოს კანონით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ განსაზღვრული სხვა სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა და რეაგირებაზე უფლებამოსილი პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;



- საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის დოკუმენტით განსაზღვრული პირობების, მათ შორის გადათხრითი ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის სამუშაოების კონტროლი და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში რეა-გირებაზე უფლებამოსილი პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება; ხმაურის დონის მონიტორინგის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევათა ფაქტები და დაჯარიმების ოქმების წარმოება; მათივე მიერ ტარდება ყოველდღიური პატრულირება ე/წ ცხელ უბნებზე;

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სასაწყობო ბაზებში განთავსებული, მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და დაცვა;

მიმდინარე ეტაპზე დაწყებული ინვენტარიზაციის პროცესის სისრულეში მოყვანის პროცედურების დაჩქარება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასაწყობო მეურნეობის/ბაზების მართვა, მატერიალური ფასეულობების სასაწყობო ნაგებობაში განთავსება-გაცემა, აღრიცხვა და დაცვა- შენახვა, სასაწყობო ბაზებში განთავსებული მატერიალური ფასეულობების მიღება-გაცემის დოკუმენტაციის წარმოება;

მერიის საქმისწარმოების სტრუქტურული ქვედანაყოფის სარეგისტრაციო ფუნქციის შესრულება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, მათ შორის დგენილი წესით, შემოსული განცხადებებისა და სხვადასხვა კორესპონდენციის საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში რეგისტრაცია, კომპეტენციის ფარგლებში გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და სხვა. დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების ხელშეწყობა, ამ მიზნით: სსიპ - სოციალური მომსახურების სოციალურად სააგენტოს უფლებამოსილი პირ(ებ)ისათვის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მადიებელთა საც-ხოვრებელი ადგილის დადგენაში დახმარების გაწევა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ოჯახების მოძიება და მათ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის პროცედურის გავლაში ხელშეწყობა;

საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში რეგისტრირებული ოჯახების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოძიება და სააგენტოსათვის მიწოდება მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების სრულყოფის მიზნით; დადგენილი წესის შესაბამისად, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში მონაწილეობის მიღება;

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების ხელშეწყობის მიზნით სხვა უფლებამოსილებების განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში.

დადგენილი წესის შესაბამისად, ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და სო-ცია-ლური მდგომარეობის შესახებ მოკვლევის განხორციელება და დასკვნის შედგენა ოჯა-ხე-ბი-სათვის მატერიალური დახმარების, სამედიცინო მომსახურების თანადაფინან-სების, ხვადასხვა უწყებებთან შუამდგომლობის გაწევის ან/და უფასო სასაბილოთი სარგებლობის მიზანშეწონილობის თაობაზე;

დადგენილი წესით, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მუშაობის ხელშეწყობა, მათ შორის სათანადო ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოძიება ან/და ახსნა-განმარტების შედგენა;

კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ჩამოყალიბებული მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების საქმიანობის ხელშეწყობა, მათგან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, განსახილველად გადაწყვეტილების მიმ-ღებ პირებთან გადაგზავნა და უკუკავშირის განხორციელება;



ბინათმესაკუთრეთა ასოციაციების ამხანაგობებმა სრულად გაიზიარეს არსებული გამოწვევები და სიახლეები, რომელიც მათ მერიის შესაბამისი სამსახურების კომპეტენტურმა პირებმა გაუზიარეს. რაც მათ დაეხმარება, კანონთან შესაბამისობაში მოიყვანონ და დაგეგმონ რიგი ღონისძიებებისა რაც კანონის მიხედვით წესდებით უნდა განისაზღვროს. მომავალი საბიუჯეტო წლიდან, იგეგმება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის ტრენინგების ჩატარება;

დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგები «საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში - eDocument - ში» რამაც ხელი შეუწყო დოკუმენტაციის დარგობრივად დახარისხებული და უწყებათაშორის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომსახურეობის მაჩვენებლის ზრდას; აგრეთვე ჩატარდა ტრენინგები ხმაურის დონის მონიტორინგის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით; ტრენინგების საფუძველზე მათ გადაეცათ სერტიფიკატები; მიღებული ცოდნიდან გამომდინარე მათ გაუადვილდათ რეაგირების დაფიქსირება ცხელი ხაზიდან შემოსულ შეტყობინებებზე, შეიძინეს საჯარიმო ოქმების სწორად შედგენის გამოცდილება და ხმაურმზომით სწორი შედეგების გათვლა.



4.7. მუნიციპალური ქონების მართვა

4.7.1 მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია

სტრატეგიული მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება მიმართულება 4

პროგრამა	4.7.1 მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ინვესტიციების განხორციელებას მუნიციპალური ქონების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირებითა და ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. შედეგად ერთის მხრივ, მუნიციპალიტეტს ექნება სრული ინფორმაცია საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ, მეორეს მხრივ დაინტერესებულ ინვესტორს შეეძლება სწრაფად და დროულად, დისტანციურად მოიპოვოს ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის ან მიწის ნაკვეთისა და აღნიშნული ობიექტების განკარგვის პირობების შესახებ.		
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის შესყიდვისათვის ტექნიკური დავალების მომზადება;	მომზადებული ტექნიკური დავალების დოკუმენტი	დავალების	✓
ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვა;	შესყიდული მომსახურება (გაფორმებული ხელშეკრულება)		X
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე მუნიციპალური ქონების ელექტრონული მონაცემთა ბაზის განთავსება შესაბამისი ფუნქციებით;	მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზები		✓
მონაცემთა სისტემატიური განახლება.	განახლებული მონაცემები		✓

2018 წლის IV კვარტალში

აღნიშნული პროგრამა განხორციელდება 2019 წელს.

2018 წლის III კვარტალში

მე-3 კვარტალში გამოცხადდა ტენდერი ქონების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვაზე, მაგრამ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, გამარჯვებულ ორგანიზაციასა და მერიას შორის ხელშეკრულება



არ გაფორმებულა, ვინაიდან, იმ თანამშრომელთა პოზიცია, რომელთაც უშუალოდ უნდა განხორციელებინათ ქონების ინვენტარიზაცია გამარჯვებულ კომპანიასთან ერთად, ამ პერიოდის განმავლობაში ვაკანტურია.

აღნიშნული პროგრამა განხორციელდება 2019 წელს

2018 წლის I-II კვარტალში მომზადდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის შესყიდვისათვის ტექნიკური დავალება;

ქონების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვა ჩასმულია შესყიდვების გეგმაში. შესყიდვა განხორციელდება მე-3 კვარტალში;

მუნიციპალური ქონების რეესტრი განთავსებულია ქ. ბათუმის მერიის ვებ გვერდზე.

სისტემატურად ხდება მონაცემების განახლება.



4.7.2. ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისება

სტრატეგიული მიმართულება 4

მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

პროგრამა	4.7.2. ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, როგორცაა გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობა, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობა; ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობა, საკომუნიკაციო ქსელების გაყვანა ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისებასთან დაკავშირებული პროცედურების შეუფერხებელი განხორციელება.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის წარდგენა ექსპროპრიაციის პროცედურების დაწყების თაობაზე („აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის“ შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად;	მომზადებული სამართლებრივი აქტი ✓
საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეებთან მოლაპარაკების წარმართვა შეთანხმების მხარეთა მიერ ნებაყოფლობით გაფორმების მიზნით;	მოსახლეობასთან მიღწეული შეთანხმებები ✓
მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით შესაბამისი მასალებისა და მოტივირებული/დასაბუთებული წერილის მომზადება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების	მომზადებული მასალები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან წარსადგენად ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების თაობაზე X



სამინისტროსადმი მიმართვა. მათ მიერ
საკითხის გადაწყვეტა;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს მიერ შესაბამისი
სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, ქ.
ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
აპარატთან ერთობლივად
სასამართლოსათვის მიმართვა
ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების
მოთხოვნით;

სასამართლოსგან მიღებული
ექსპროპრიაციის უფლება

X

სასამართლოს მიერ შესაბამისი
გადაწყვეტილების მიღების შემდეგ
ექსპროპრიაციის განხორციელება და
ქონების იძულებითი წესით
გამოთავისუფლება.

გამოთავისუფლებული ქონება

X

2018 წლის IV კვარტალში,

ექსპროპრიაციის საჭიროება არ დამდგარა.

2018 წლის III კვარტალში,

ექსპროპრიაციის საჭიროება არ დამდგარა.

2018 წლის I-II კვარტალში, ექსპროპრიაციას საფუძვლად დაედო 2018 წლის ბიუჯეტით
გათვალისწინებული ქვეპროგრამა - წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მეოთხე ფაზის ფარგლებში
ბათუმის მერია გეგმავს დასახლება გონიოში წყლის რეზერვუარის მშენებლობას. ვინაიდან, აღნიშნული
ტერიტორია წარმოადგენდა ოთრ კახიძის პ/ნ 61006001801 საკუთრებას, საჭირო გახდა მესაკუთრესთან
მოლაპარაკების წარმოება მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 05.36.25.501 მერიის სახელზე
რეგისტრაციის მიზნით.

განხორციელდა მესაკუთრე ოთარ კახიძის პ/ნ 61006001801 საკუთრების მის. დასახლება გონიოში
1646,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 05.36.25.501 -ქ.
ბათუმის მერიის საკუთრებაში რეგისტრაცია.

დასახლება გონიოში მესაკუთრე ოთარ კახიძესთან პ/ნ 61006001801 2018 წლის 23 აპრილს მხარეთა მიერ
ნებაყოფლობით გაფორმდა შეთანხმება.



5. ქალაქის ურბანული განვითარება

5.1 ურბანული განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიული განვითარების და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და ამოქმედება

5.1.1 ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიმართულება ქალაქის ურბანული განვითარება
5

პროგრამა

5.1.1ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის დასახლებული ტერიტორიების გეგმაზომიერი განაშენიანება და რაციონალური გამოყენება; ქალაქის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური დავალების შედგენა და ტენდერის გამოცხადება

მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება

მიმდინარე

გამარჯვებული კომპანიის მიერ ქ. ბათუმის ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავება;

მიერ ქ. ბათუმის ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაცია

X

ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება;

ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების დამტიცებული გეგმა

X

გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება.

მონიტორინგის დასკვნა

X

2018 წლის IV კვარტალში:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 27 დეკემბერს გამოსცა განკარგულება №75, რომლითაც მოიწონა (შეიტანხმა) „ქ. ბათუმის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მერიის მიერ მომზადებული



დოკუმენტაცია წარდგენილი დანართის შესაბამისად და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში დაიწყო ქალაქ ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით კონკურსის გამოცხადებისათვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

2018 წლის III კვარტალი:

ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალების შემუშავებისათვის 2018 წლის ზაფხულში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწვეული იქნა ექსპერტი სივრცითი დაგეგმარების საკითხებში - ვახტანგ ჯოხაძე, მასთან კონსულტაციების შედეგად დადგინდა ტექნიკური დავალების დამუშავება არამხოლოდ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადებისათვის, არამედ სხვა სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებზეც, როგორცაა:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა (სგგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (მგგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (გრწ);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი კადასტრი (ქკ).

ტექნიკური დავალების მიხედვით სამუშაოები უნდა დაიყოს 2 ეტაპად, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს შემდეგი დოკუმენტაციის შესყიდვა:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში, მათ შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შეჯერებული განვითარების ხედვა და ინტეგრირებული სტრატეგია;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების განვრცობისთვის/განახლებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში, მათ შორის მიწათსარგებლობის სტრატეგია;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების შემუშავებისთვის განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში.

წარმოდგენილი კვლევების გათვალისწინებით შესყიდვის მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია გეგმარებითი დავალებების მიღება შემდეგ დოკუმენტებზე:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის გეგმარებითი დავალება;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული გეგმარებითი დავალება (იხ. 1)B);
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საპროექტო მომსახურების საბოლოო მიღწევა უნდა იყოს შემუშავებული გეგმარებითი დავალებებისა და დამატებით განსაზღვრული კვლევების საფუძველზე, წინამდებარე ტექნიკური დავალების მოთხოვნათა დაცვით, შემდეგი დოკუმენტების შემუშავების შესაძლებლობა:

- 1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა (სგგ);
- 2) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (მგგ);



- 3) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული ტერიტორიის ჩამოყალიბებული გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ);
- 4) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (გრწ);
- 5) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი კადასტრი.

დოკუმენტის სამუშაო ვერსია გადაიგზავნა დარგის პეციალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რის შემდეგაც გაიმართა საჯარო განხილვების ორი ეტაპი. წარმოდგენილ იქნა შენიშვნები შემდეგი კომპანიების მხრიდან, კერძოდ: საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და ა(ა)იპ სითი ინსტიტუტი საქართველო. ამ ეტაპზე საჭიროა მოხდეს ფასთა კვლევების საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაციის საორიენტაციო ღირებულების დადგენა, რისთვისაც დარგის სპეციალისტებს და კომპანიებს გადაეგზავნათ შესაბამისი კითხვარი და შესავსები ფორმა. ფასთა კვლევების წარმოდგენისთანავე შესაძლებელი იქნება კონკურსის/ტენდერის გამოცხადება. ბაზუსტა წარმოდგენილი შენიშვნები და ფასთა კვლევების წარმოდგენისათვის განისაზღვრა კონკრეტული დრო მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე.

2018 წლის I-II კვარტალი - დარგის ექსპერტის ჩართულობით, დასრულდა ტექნიკური დავალების დამუშავება, კერძოდ-გეგმარებითი დავალებების მომზადებისთვის და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებისთვის მიზნით, შემსყიდველისთვის და მიმწოდებლისთვის აუცილებელი სახელმძღვანელო პირობების, მითითებებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა.



5.1.2. ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება

ქალაქის ურბანული განვითარება

სტრატეგიული მიმართულება

5

პროგრამა	5.1.2. ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება
2018 წლის მესამე კვარტალში მიმდინარეობდა მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების 33 უფროსი აღმზრდელების გადამზადება .

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია და მონიტორინგი განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებულებათა ავტორიზაციის დებულების მიღებისა და ამოქმედების შემდეგ.

2018 წლის I-II კვარტალში

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მართვისა და დაფინანსების მოდელი შემუშავდება 2018 წლის მე-3 კვარტალში

პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა შემუშავდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პოლიტიკის დოკუმენტის მომზადების შემდეგ (2018 წლის ბოლომდე)

რეფორმის გასატარებლად შესაბამისი სამართლებრივი აქტები მომზადდება ავტორიზაციის დებულების მიღებისა და ამოქმედების შემდეგ (2018 წლის ბოლომდე)

სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესახებ საზოგადოების ინფორმირება მოხდება ავტორიზაციის დებულების მიღებისა და ამოქმედების შემდეგ (2018 წლის ბოლომდე)

წლის განმავლობაში ყველა საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები (ჯგუფიდან არანაკლებ ერთი წარმომადგენელი). საბჭოები განიხილავენ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში წარმოშობილ ყველა საკითხსა და პრობლემას და წარუდგენენ თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს საბავშვო ბაღების გაერთიანებას.

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი მოდელის შემუშავება და ამ დაწესებულებათა დაფუძნება მოხდება დაწესებულებათა ავტორიზაციის დებულების მიღებისა და ამოქმედების შემდეგ (2018 წლის მე-3 კვარტალში)

ღონისძიება 7 განხორციელდება 2019 წლიდან.

2018 წლის მარტში 30 აღმზრდელისა და 32 ფსიქოლოგისათვის ჩატარდა ტრენინგი „მშობელთა ჩართულობა საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა აღზრდის პროცესში.“

2018 წლის ივნისში N14 და N20 საბავშვო ბაღების 26 აღმზრდელს ჩატარდა ტრენინგი საბავშვო ბაღებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხზე.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია და მონიტორინგი განხორციელდება დაწესებულებათა ავტორიზაციის დებულების მიღებისა და ამოქმედების შემდეგ.



7.1.2.სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

სტრატეგიული მიმართულება 7

ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემა

პროგრამა	7.1.2.სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სისტემური ადაპტაცია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის და ამ გზით გაზარდოს ხელმისაწვდომობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლების მომსახურებაზე.		
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	
ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მშენებლობა და არსებული შენობების რეაბილიტაცია;	რეაბილიტირებული და აშენებული შენობების რაოდენობა	აშენებული	✓
ვაუჩერიზაციის მოდელის შემუშავება და დანერგვა;	აღსაზრდელთა რაოდენობა, რომლებსაც გადაეცათ ვაუჩერები		X
ინკლუზიური განათლების მიმართულებით აღმზრდელ - პედაგოგთა და აღმზრდელთა გადამზადება;	ინკლუზიური განათლების მიმართულებით გადამზადებული აღმზრდელთა და პედაგოგთა რაოდენობა		X
დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის.	განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ადაპტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობა		X

IV კვარტალი

ღონისძიება განხორციელდება დაწესებულებათა სრული ავტორიზაციის შემდეგ .

III კვარტალი

ღონისძიება განხორციელდება დაწესებულებათა სრული ავტორიზაციის შემდეგ .

დასრულდა თამარის დასახლებაში, სახლი N29-ის მიმდებარედ ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები, სადაც განთავსდება 7 ჯგუფი, 210 ბავშვი.ღირებულება 1646939.00 ლარი.



2018 წლის I-II კვარტალში

ბაღების რეაბილიტაციის მიმართულებით, მიმდინარე წელს დასრულდა სვიშვესკის ქუჩა N1-ში მდებარე N19 საბავშვო ბაღის კაპიტალური შეკეთება. შენობა არის 2 სართულიანი ზომებით 57,2x13,42მ, სადაც განთავსდება 7 ჯგუფი (პირველ სართულზე - 3 ჯგუფი, ხოლო მეორე სართულზე - 4 ჯგუფი), სულ - 245 ბავშვით. ეზოში აშენდა და კეთილმოეწყო დარაჯის ჯიხური ზომებით 3,2x3,2მ, კეთილმოეწყო არსებული დამხმარე სათავსოს შენობა ზომებით 3,2x3,2მ, ჩაიდგა 2 ცალი ფანჯატური ზომებით 4,4x3,0მ დასრულებულია თამარის დასახლებაში, სახლი N29-ის მიმდებარედ ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები, სადაც განთავსდება 7 ჯგუფი, 210 ბავშვი. დასრულდა ქ. ბათუმში, იბერიის ქუჩა N1-ში მდებარე N26 საბავშვო ბაღის და აღმაშენებლის ქუჩა N5-ში მდებარე N11 საბავშვო ბაღის ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. დასრულდა აღმაშენებლის ქუჩა N5-ში მდებარე N11 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.



7.2. ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა

7.2.1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სენსორული ინტეგრაციის პროგრამის დანერგვა და ამოქმედება

სტრატეგიული მიმართულება 7

ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემა

პროგრამა	7.2.1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სენსორული ინტეგრაციის პროგრამის დანერგვა და ამოქმედება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სპეციალური კურსის ამოქმედება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის გაუმჯობესებას.
ლონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობასა და თანმდევ ღონისძიებებთან დაკავშირებული კვლევის ჩატარება;	სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობასთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის დოკუმენტი X
აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის პროგრამის შემუშავება და ამოქმედება;	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის ამოქმედებული პროგრამა X
სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობის მიზნით ტექნიკური დავალების შემუშავება;	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის ამოქმედებული პროგრამა X
ტენდერის საფუძველზე სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება;	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის ამოქმედებული პროგრამა X
საპილოტე პროექტის ამოქმედება.	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა X

პროგრამა ამოქმედდება 2019 წლიდან.



7.2.2. ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული
საჭიროების მქონე პირებისათვის
სტრატეგიული მიმართულება 7 ინკლუზიური, ხარისხიანი და
ხელმისაწვდომი განათლების სისტემა

პროგრამა	7.2.2. ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის						
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. აღნიშნულთან მიმართებაში, პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა ზოგადი განათლების მიღებასა და მათთვის განათლებისა და განვითარებისათვის შესაბამისი, ადაპტირებული გარემოს შექმნას.						
ღონისძიებები: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობისათვის ტექნიკური დავალების შემუშავება და აღნიშნულის საფუძველზე ადაპტირებული სპორტული დარბაზების მოწყობის მომსახურების შესყიდვა.	<table border="0"> <thead> <tr> <th data-bbox="738 892 1209 955">შესრულების ინდიკატორი</th><th data-bbox="1209 892 1430 955">შესრულება</th></tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="738 955 1209 1165">სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით</td><td data-bbox="1209 955 1430 1165">✓</td></tr> <tr> <td data-bbox="738 1165 1209 1442">ადაპტირებული სპორტული დარბაზების რაოდენობა</td><td data-bbox="1209 1165 1430 1442">X</td></tr> </tbody> </table>	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით	✓	ადაპტირებული სპორტული დარბაზების რაოდენობა	X
შესრულების ინდიკატორი	შესრულება						
სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით	✓						
ადაპტირებული სპორტული დარბაზების რაოდენობა	X						

IV კვარტალი

2018 წლის მეოთხე კვარტალში, 71 სასწავლო დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სსიპ N13 საჯარო სკოლის 10 - მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფა (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება)

III კვარტალი

2018 წლის 17 სექტემბრიდან განახლდა სასწავლო პროცესი. პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, 10 სასწავლო დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სსიპ N13 საჯარო სკოლის 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფას (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება).



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობისათვის ტექნიკური დავალება შემუშავდება 2019 წლის პირველ კვარტალში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობის ტექნიკური დავალების საფუძველზე ადაპტირებული სპორტული დარბაზების მოწყობის მომსახურების შესყიდვა მოხდება 2019 წლის მეორე კვარტალში.

2018 წლის I-II კვარტალში

2018 წლის პირველ კვარტალში, 53 სასწავლო დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სსიპ N13 საჯარო სკოლის 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფას (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება)

2018 წლის მეორე კვარტალში, 52 სასწავლო დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სსიპ N13 საჯარო სკოლის 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფას (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება)

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობისათვის ტექნიკური დავალება შემუშავდება 2019 წლის პირველ კვარტალში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობის ტექნიკური დავალების საფუძველზე ადაპტირებული სპორტული დარბაზების მოწყობის მომსახურების შესყიდვა მოხდება 2019 წლის მეორე კვარტალში.



7.3. ადამიანური კაპიტალის განვითარება

7.3.1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 7

ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი
განათლების სისტემა

პროგრამა	7.3.1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარების ხელშეწყობა უცხოეთის სხვადასხვა სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებში მათი მონაწილეობის თანადაფინანსების გზით.	
ლონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
პროგრამის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბება და დამტკიცება;	პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ სტაჟირებასა და გადამზადების პროგრამებში მონაწილეობისათვის დაფინანსებული პირების რაოდენობა	✓
პროგრამის ბენეფიციართა შერჩევის კომისიის ჩამოყალიბება და ამოქმედება;	პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ სტაჟირებასა და გადამზადების პროგრამებში მონაწილეობისათვის დაფინანსებული პირების რაოდენობა	✓
კონკურსის საფუძველზე პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა და დაფინანსება.	პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ სტაჟირებასა და გადამზადების პროგრამებში მონაწილეობისათვის დაფინანსებული პირების რაოდენობა	✓

IV კვარტალი

III კვარტალი

3 2018 წლის მე-3 კვარტალისათვის პროგრამის ბიუჯეტი ამოწურული იყო.

2018 წლის I-II კვარტალში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 იანვრის N420 ბრძანებით დამტკიცდა კომისიის შემადგენლობა და გამოცხადდა კონკურსი სტაჟიორთა შესარჩევად.

2018 წლის პირველ კვარტალში ქვეპროგრამის ფარგლებში შემოვიდა 4 განაცხადი, კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

2018 წლის მეორე კვარტალში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 15 მაისი N1997 ბრძანებით დაფინანსდა 31 ბენეფიციარი, რომლებიც სტაჟირებას გაივლიან გერმანიაში, საფრანგეთსა და ლიტვაში.



7.3.2. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სწავლის სტიმულირება

სტრატეგიული მიმართულება 7

ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი
განათლების სისტემა

პროგრამა	7.3.2. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სწავლის სტიმულირება	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა სტუდენტების მაღალი აკადემიური მოსწრების ზრდის სტიმულირებით.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ბენეფიციართა შესარჩევად კონკურსის გამოცხადება და დებულების დამტკიცება;	კონკურსის ჩატარების წესი (დებულება)	✓
კონკურსის ჩატარება, გამარჯვებულთა გამოვლენა და დაფინანსება.	- სტიპენდიანტთა რაოდენობა - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდის მაჩვენებელი	✓

IV კვარტალი

კონკურსის შედეგად ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიანტი გახდა 50 სტუდენტი, რომელთა საშუალო არითმეტიკული ქულა, 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით, 97,83 ქულას და მეტს შეადგენს.

დაფინანსებულ სტუდენტთა შორის 7 სტუდენტი სწავლობს პრიორიტეტულ მიმართულებებზე (მშენებლობის მიმართულებით - 3, არქიტექტურის მიმართულებით - 3, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით - 1, ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობის მიმართულებით - 1), 2 სტუდენტი მაგისტრანტია და 48 - ბაკალავრი.

III კვარტალი

2018 წლის მე-3 კვარტალში (24 სექტემბრიდან) დაიწყო განაცხადების მიღება.

2018 წლის I-II კვარტალში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 იანვრის N421 ბრძანებით დამტკიცდა დებულება და გამოცხადდა კონკურსი ბენეფიციართა შესარჩევად. განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 26 თებერვლიდან 30 მარტის ჩათვლით.

საანგარიში პერიოდში მიმდინარეობდა განაცხადების მიღება და დამუშავება. სულ განსახილველად შემოვიდა 89 სტუდენტის განაცხადი, რომელთაგან 5 არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.

კონკურსის შედეგად ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიანტი გახდა 50 სტუდენტი, რომელთა საშუალო არითმეტიკული ქულა, 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით, 97,33 ქულას და მეტს შეადგენს.

დაფინანსებულ სტუდენტთა შორის 6 სტუდენტი სწავლობს პრიორიტეტულ მიმართულებებზე (მშენებლობის მიმართულებით - 1, არქიტექტურის მიმართულებით - 3, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით - 1, მასწავლებლის განათლების მიმართულებით - 1), 8 სტუდენტი მაგისტრანტია და 42 - ბაკალავრი.



8. კულტურის განვითარების ხელშეწყობა

8.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერა

8.1.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერა

სტრატეგიული მიმართულება 8

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	8.1.1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, ამ მიმართულებით შემოქმედებითი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება;	ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა ღონისძიებების დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა	✓
გასტროლების ორგანიზება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ;	საზღვარგარეთ გამართული ღონისძიებების რაოდენობა	✓
შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა სასცენო ინვენტარის, კოსტიუმების, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენით.	შემოქმედებითი კოლექტივებისათვის შეძენილი სასცენო ინვენტარის, კოსტიუმების, მუსიკალური ინსტრუმენტების რაოდენობა	✓

IV კვარტალი

2018 წლის მეოთხე კვარტალში კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში და აქტივობებში, კერძოდ:

5 ოქტომბერს ჯაზ ბიგ ბენდმა მიიღო მონაწილეობა ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის დახურვის ცერემონიაში.

17 ოქტომბერს სიმებიანი კვარტეტი მონაწილეობდა ქობულეთში, დასვენების პარკში, ქანდაკების საერთაშორისო პლენერის გახსნაზე;

25 ოქტომბერს სიმებიანმა კვარტეტმა მონაწილეობა მიიღო ქართულ-ლიტვური მეგობრობის სადამოყრდენი მუსიკალურ ცენტრში;



2 ნოემბერს ნატოს ხომალდების ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბათუმის საზღვაო პორტში შესრულდა სასულე ორკესტრის მარშები;

6 ნოემბერს საზაფხულო თეატრში გაიმართა ქორეოგრაფიული ანსამბლის ახალი საკონცერტო პროგრამის პრეზენტაცია;

19 დეკემბერს სიმებიანი კვარტეტი მონაწილეობდა ბათუმის ხელოვნების მუზეუმის დაარსების 20 წლისთავის ღონისძიებაზე ხელოვნების მუზეუმში;

23 დეკემბერს ჯაზ ბიგ ბენდმა და სიმებიანმა კვარტეტმა მონაწილეობა მიიღეს წლის ნომინაციების მინიჭების ცერემონიაში;

შემოქმედებითი კოლექტივები ჩართული იყვნენ ასევე ქალაქის საახალწლო ღონისძიებებში.

ენვერ ხაბაძის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“ (36 მონაწილე) მწლის 10-18 ნოემბერს იმყოფებოდა უკრაინის რეპუბლიკაში, სხვადასხვა ქალაქებში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრის“ ჯაზ ბიგ ბენდისთვის შესყიდული იქნა 22 კომპლექტი (შარვალი, პიჯაკი, პერანგი) სასცენო კოსტიუმი.

III კვარტალი

2018 წლის მესამე კვარტალში კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქში მიმდინარე სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში და აქტივობებში, კერძოდ, მესამე კვარტალში ანსამბლებმა დაახლოებით 25-მდე ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

ბათუმის კულტურის ცენტრის ქალთა კამერული გუნდმა მიმდინარე წლის 30 ივნისიდან 9 ივლისის ჩათლით მონაწილეობა მიიღო ქ.რიგაში (ლატვია) „XXVI latvian song and the XVI dance 2018“ საერთაშორისო საგუნდო მუსიკის ფესტივალში. წელს ფესტივალს საიუბილეო თარიღი აქვს - 100 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფესტივალზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 40 000-მდე პროფესიონალი საგუნდო მუსიკის კოლექტივები მონაწილეობდა.

აღნიშნულ ფესტივალზე ქალთა კამერული გუნდი ერთხელ უკვე იმყოფებოდა 2012 წელს და სწორედ ეს გასტროლი და ფესტივალში მონაწილეობა გახდა საწინდარი შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობისა და ამჯერადაც კვლავ სტუმრობის მიზეზი.

გასტროლის მსვლელობისას ლატვიის დედაქალაქში გაიმართა ოთხი კონცერტი. მათ შორის ორი საკონკურსო და ორი სოლო, ასევე კამერულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საზეიმო მსვლელობაში და არასაკონცერტო დღეს შედგა შეხვედრა, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფთან, ასევე ქართულ სათვისტომოსა და საელჩოს წარმომადგენლებთან.

2018 წლის III კვარტალში გამოცხადდა ელ.ტენდერი ჯაზ ბიგ ბენდის სასცენო კოსტიუმების შესყიდვაზე.

2018 წლის I-II კვარტალში,

2018 წლის პირველ კვარტალში ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით დაიგეგმა და ჩატარდა 4 კონცერტი

პირველ კვარტალში ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი მიწვეული იყო სიცილიაში ქ.აგრიჯენტოს ნუშის 73-ე საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალ-კონკურსში, სადაც ანსამბლმა გრანპრი მოიპოვა.

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის 2018 წლის მეორე კვარტალში შესყიდული იქნა სასცენო კოსტიუმები: ცეკვა „ჯავარდენი“-ს და „ფარცა“-ს კოსტიუმები, ასევე შესყიდული იქნა გოგონების და ბიჭების სასცენო და სარეპეტიციო ფეხსაცმელები.



8.2. კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა

8.2.1. ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა

სტრატეგიული მიმართულება 8 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	8.2.1. ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქალაქ ბათუმის, როგორც კულტურული ღონისძიებების ქალაქისა და ტურისტული დანიშნულების ქალაქის პოპულარიზაცია, კულტურის სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა და დამწყებ სპეციალისტთა განვითარების ხელშეწყობა, კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის გზით.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და დამტკიცება;	ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების შერჩევის კრიტერიუმები	X
კონკურსის საფუძველზე დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად გამარჯვებული პროექტის გამოვლენა და დაფინანსება.	პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ფესტივალებისა და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა მაყურებელთა რაოდენობა ღონისძიებების დამსწრე და მონაწილე დამწყებ სპეციალისტებისა და სტუდენტების რაოდენობა	X

პროგრამის განხორციელება დაგეგმილია 2019 წელს.

2018 წელს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი საერთაშორისო ფესტივალების შერჩევის მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, განისაზღვრა კონკურსის ჩატარების წესი, პირობები და გამოცხადდა კონკურსი. განაცხადების მიღება მიმდინარეობდა, 2018 წლის 26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში განსახილველად შემოვიდა 14 განაცხადი, განსახილველად წარმოდგენილი პროექტებიდან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი საერთაშორისო ფესტივალების შესარჩევად შექმნილი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია დაფინანსებაზე მიეცა 8 უფრო მაღალი ქულის მქონე პროექტს, ესენია: ბათუმის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „დამის სერენადები“; პრინტის საერთაშორისო ფესტივალი LIFE N STYLE; საერთაშორისო ფესტივალი - კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ - 2019“; საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი - BIAFF, გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-14 საერთაშორისო ფესტივალი, ბათუმის მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი და ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „Batumi Music Fest“.

აღნიშნული პროექტები გათვალისწინებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში. პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 500 000 ლარს.



8.2.2. ხელოვნების დარგებში ახალი, თანამედროვე მიმდინარეობების განვითარების სტიმულირება

სტრატეგიული მიმართულება 8

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	8.2.2. ხელოვნების დარგებში ახალი, თანამედროვე მიმდინარეობების განვითარების სტიმულირება	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამა ხელს შეუწყობს კულტურულ ღონისძიებებში მოსახლეობის მონაწილეობის ახალი შესაძლებლობების შექმნას, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მიმართ საზოგადოების ინტერესის გაზრდას, ხელოვნების დარგებში ახალი მიმდინარეობებისა და ჟანრების განვითარებასა და პოპულარიზაციას.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
პროექტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და დამტკიცება;	პროექტის შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები	✓
კრიტერიუმების საფუძველზე, კონკურსის წესით გამარჯვებული პროექტების შერჩევა და დაფინანსება.	პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ინიციატივების რაოდენობა	✓

IV კვარტალი

2018 წლის მეოთხე კვარტალში მიმდინარეობდა ღონისძიების ფარგლებში შერჩეული პროექტების შესრულებაზე ზედამხედველობა, ჩარიცხვის დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტები, ჩარიცხვის წერილების პროექტების) მომზადება.

III კვარტალი

2018 წლის მესამე კვარტალში კონკურსის წესით შეირჩა და დაფინანსდა 2 პროექტი. მათ შორის:

1. პროექტი „ბათუმის ქუჩები“. პროექტის ფარგლებში გადაღებული იქნა ტურისტულ ზონაში მყოფი 15 ქუჩა, დამზადდა კლიპები.
2. პროექტი ქართულ-აფხაზური საგას ფარგლებში „ქართულ აფხაზური ოჯახების ზეიმი ბათუმში“. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ღონისძიების ჩატარება, რომელიც მიეძღვნება ქართულ აფხაზური ოჯახებს ბათუმში. დამზადდება ვიდეო რგოლი.

2018 წლის I-II კვარტალში,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 იანვრის N480 ბრძანებით განისაზღვრა და დამტკიცდა პროექტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები.



პირველ კვარტალში კონკურსის წესით შეირჩა და დაფინანსდა 9 პროექტი. მათ შორის: განხორციელდა პროექტი „უსინათლო და მცირემხედველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანაბარი ხელმისაწვდომობა მხატვრულ ლიტერატურაზე“ და „უსინათლო და მცირემხედველ, მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვებში შემოქმედებითი უნარების განვითარება“, ჩატარდება ინტეგრირებული კონცერტი შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავად, ახალგაზრდული საორკესტრო ჯგუფისთვის შეიქმნება ქართული კინო-მუსიკის ვერსიები, დაფინანსდა პროექტი „ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის პოეზიის კონკურსი „ზღვაური“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 100 დან 150-მდე ბავშვი, განხორციელდა პროექტი „ფოტოკონკურსი, ფოტო-გამოფენა სახელწოდებით: „ქალის თვალით დანახული ჩვენ“ მესამე ეტაპი. პროექტის ფარგლებში შეიქმნება 25 ფოტო, 5 ფოტოხელოვანი ქალი მიერ, დავით არჩვაძის სიმღერაზე „ბათუმო ჩემო“ განხორციელდა ვიდე-კლიპის გადაღება და სხვ.

მეორე კვარტალში კონკურსის წესით შეირჩა და დაფინანსდა 13 პროექტი. მათ შორის: განხორციელდა პროექტი „ქართული პოეზიის დღე“, დაფინანსდა პროექტი „ბათუმი- კალიფორნია“. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ფილმის გადაღება, რომელშიც ასახული იქნება ამერიკელი მწერლის ჯონ სტაიბეკის ცხოვრება. აქცენტი გაკეთდება ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. ფილმში აისახება მწერლის მონათხრობი საქართველოს შესახებ, ჩატარდა ცნობილი მსახიობის ზურაბ ყიფშიძის შემოქმედებითი საღამო, დაფინანსდა ხელოვნების სტუდია „ლიმპოპოს“ 25 წლისათვისადმი მიძღვნილი მუსიკალური სპექტაკლი „ფერადი ქალაქის მადიებლები“. პროექტი ითვალისწინებდა სპექტაკლის დადგმას, რომლის ჩვენებაც გაიმართა როგორც ბათუმში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, დაფინანსდა პროექტი - „ეროვნული უმცირესობების ფესტივალი“, დაფინანსდა ქ. ბათუმში, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის დაბადებიდან 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებითი საიუბილეოს შეხვედრა-კონცერტი, დაფინანსდა პროექტი - საერთაშორისო ფესტივალი „კერამიკის ალქიმია“. სფესტივალის ფარგლებში ჩატარდება პრეზენტაციები, მასტერკლასები და სხვა.



8.2.3. ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა

სტრატეგიული მიმართულება 8

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა

8.2.3. ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი, ისტორიული და კულტურულ-ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნის გზით ქვეყნისა და ქალაქისათვის მნიშვნელოვანი თარიღებისა და ფაქტების პოპულარიზაცია.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნის მიზნით კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება;

ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნის მიზნით კულტურული ღონისძიებების დაგეგმვის თაობაზე ტექნიკური დოკუმენტაციის რაოდენობა

✓

მომსახურებების შესყიდვა და ღონისძიებების მიმდინარეობის მონიტორინგის განხორციელება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა
ღონისძიებების მაყურებელთა რაოდენობა

✓

IV კვარტალი

2018 წლის მეოთხე კვარტალში დაიგეგმა საახალწლო ღონისძიებები დაიწყო 2018 წლის 25 დეკემბერს და 2019 წლის 2 იანვრის ჩათვლით გაგრძელდა. ყოველდღიურად ევროპის მოედანზე სპეციალურად მორთულ სცენაზე გაიმართა საბავშვო და ბათუმელი ბენდების მონაწილეობით კონცერტები, სხვადასხვა გასართობი შოუ პროგრამები. საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ბათუმის 21 უბანში (ახალი წელი შენს ეზოში) საახალწლოდ მორთული დიდ სატვირთო მანქანაზე ბავშვებისათვის გასართობ პროგრამა ჩაატარეს ანიმატორებმა, ბავშვებს დაურიგდათ ბუშტები და ტკბილეული.

III კვარტალი

2018 წლის მესამე კვარტალში დაიგეგმა ბათუმობასთან დაკავშირებული ღონისძიებები და მომზადდა შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია.

ბათუმობა - 2018 - 1 სექტემბერს, ძველ ბათუმში გაცოცხლდა მე-19 საუკუნის ქალაქი. ბათუმობისთვის ქუჩები სპეციალურად მოირთო 1900 იანი წლების ეპოქის სტილისტიკით – აბრები, აფიშები, ბილბორდები. 14:00-დან 19:00 საათამდე ზვიად გამსახურდიას, ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასლის, ხულოსა და მაზნიაშვილის ქუჩებზე გაიმართა გრანდიოზული სპექტაკლები. მოეწყო პერმანენტული და მინი სცენები, სადაც გაცოცხლდა ბუკინისტური მაღაზია, თევზის ბაზარი, ყავის წერტილები, თეატრალური წარმოდგენები, კოსტიუმირებული მსვლელობები, კონცერტები, ასევე გამოფენები, ბაზრობები და ა.შ. პიცაზე ჩატარდა დასკვნითი გალაკონცერტი, რომელიც გრანდიოზული ფეირვერკით დაგვირგვინდა. ბათუმობის ფარგლებში ბათუმის საზაფხულო თეატრში ანსამბლ „ალილოს“ და „შვიდკაცას“ კონცერტი გაიმართა.



2018 წლის I-II კვარტალში,

2018 წლის პირველ კვარტალში დაიგეგმა 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

2018 წლის მეორე კვარტალში დაიგეგმა 9 აპრილის, 9 მაისის, 26 მაისის, 1 ივნისის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და მომზადდა შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია.

გაიმართა 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები. კულტურის ცენტრის შემოქმედებითმა კოლექტივმა - სასულე ორკესტრმა შეასრულა მარშები. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.

2018 წლის მე-2 კვარტალში აღინიშნა შემდეგი ღირსშესანიშნავი თარიღები:

- 9 აპრილი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, საქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის აღნიშვნის მიზნით, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლმა;

- 9 მაისი. ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით სასულე ორკესტრის მუსიკის თანხლებით;

- 26 მაისი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ანბანის კოშკთან გაიმართა კონცერტი ბათუმელი მომღერლების შესრულებით. კონცერტში მონაწილეობდნენ ასევე ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები.

- 1 ივნისი. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, თუმცა უამინდობის გამო დაგეგმილი ღონისძიებები საზაფხულო თეატრში გაიმართა. ჩატარდა საბავშვო კონცერტი ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლის მონაწილეობით, ბავშვებს განწყობას უქმნიდა სხვადასხვა ზღაპრის გმირები, გაშვებული იქნა ჰელიუმის ბუშტები და მოეწყო უფასო ნაყინის, პოპკორნის და ბამბის ნაყინის აქცია.



8.3. შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა

8.3.1. კლასიკური და თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაციის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 8

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

ღონისძიებები:

ინიციატივების შერჩევისა და
შეფასების კრიტერიუმების
მომზადება და დამტკიცება;

კრიტერიუმების შესაბამისად
გამარჯვებული პროექტებისა და
შემსრულებლების გამოვლენა;

შემოქმედებითი კოლექტივების
მხარდაჭერა სასცენო ინვენტარის,
კოსტიუმებისა და მუსიკალური
ინსტრუმენტების შეძენით.

8.3.1. კლასიკური და თანამედროვე მუსიკის
პოპულარიზაციის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია კლასიკური და თანამედროვე მუსიკის
პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ,
და ამ მიმართულებით შემოქმედებითი ჯგუფების
განვითარების ხელშეწყობა.

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ინიციატივების შერჩევისა და შეფასების
კრიტერიუმები

X

კლასიკური და თანამედროვე მუსიკის
პოპულარიზაციის მიზნით დაფინანსებული
ახალი ინიციატივების რაოდენობა
კლასიკური და თანამედროვე მუსიკის
შემსრულებელთა რაოდენობა რომლებმაც
ისარგებლეს პროგრამით
კლასიკური და თანამედროვე მუსიკის
შემსრულებლებისა და კოლექტივების მიერ
ქვეყნის ფარგლებში და საზღვარგარეთ
გამართული ღონისძიებების რაოდენობა

X

შემოქმედებითი კოლექტივებისათვის
შეძენილი სასცენო ინვენტარის,
კოსტიუმებისა და მუსიკალური
ინსტრუმენტების რაოდენობა

X

პროგრამის განხორციელება იგეგმება 2019 წელს.



8.3.2. ბათუმელ ხელოვანთა საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება კულტურის განვითარების ხელშეწყობა 8

პროგრამა	8.3.2. ბათუმელ ხელოვანთა საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ბათუმელ ხელოვანთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა ბათუმელ ხელოვანთა საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში და კონკურსებში მონაწილეობის მხარდაჭერის გზით.
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
ბენეფიციართა შერჩევისა და გამარჯვებული პირების გამოვლენის კრიტერიუმების შემუშავება და დამტკიცება.	ბენეფიციართა შერჩევისა და გამარჯვებული პირების გამოვლენის კრიტერიუმები ✓
კონკურსის საფუძველზე კრიტერიუმების შესაბამისად გამარჯვებული პირების შერჩევა და დაფინანსება.	პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ინდივიდუალური პირების, კოლექტივების რაოდენობა პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ინიციატივების რაოდენობა ✓

III კვარტალი

2018 წლის მესამე კვარტალში დაფინანსდა 4 ბენეფიციარი. მათ შორის ორმა ხელოვანმა მონაწილეობა მიიღო ქ. მიეხოვოში დაგეგმილ XIX საერთაშორისო პლენერში „მალოპოლსკის ფერები“ - მიეხოვი 2018. თითოეული დაფინანსდა 900 ლარით, ხოლო 2 ხელოვანი მონაწილეობდა თურქეთში, კნიდოსში დაგეგმილ საერთაშორისო პლენერში - „Secrets of Knidos“. ბენეფიციარები დაფინანსდნენ 880 ლარით.

2018 წლის I-II კვარტალში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 იანვრის N478 ბრძანებით განისაზღვრა ბენეფიციართა შერჩევისა და გამარჯვებული პირების გამოვლენის კრიტერიუმები.

2018 წლის პირველ კვარტალში დაფინანსდა 3 ბენეფიციარი. მათ შორის: დაფინანსდა ბათუმელი მუსიკოსის ბუქარესტში, საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის ხარჯი - 1000 ლარი, ასევე, ახალგაზრდა მუსიკოსის ქალაქ ვილნიუსში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის ხარჯი - 1000 ლარი და დაფინანსდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გრაზ სეჩენიანის გამოფენის მოწყობას ახალქალაქში (ბიუჯეტი - 4 000 ლარი).

2018 წლის მეორე კვარტალში დაფინანსდა 12 ბენეფიციარი. მათ შორის: დაფინანსდა 11 ბათუმელი მოცეკვავის ქ. ანტალიაში საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის ხარჯი. ასევე, ბათუმელ მხატვარს დაუფინანსდა ბელორუსიაში, საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის ხარჯი 1000 ლარის ოდენობით



8.4. მრავალეთნიკური კულტურის განვითარების მხარდაჭერა

8.4.1. ქალაქ ბათუმში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა

სტრატეგიული კულტურის განვითარების ხელშეწყობა მიმართულება 8

პროგრამა	8.4.1. ქალაქ ბათუმში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქის ეთნიკური მრავალფეროვნებისა და კულტურის მხარდაჭერას, მისი თვითმყოფადობის და თანაარსებობის ხელშეწყობას.		
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	
ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების შერჩევა;	ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული, დაფინანსებული ინიციატივების რაოდენობა.	✓	
ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა.	ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული, დაფინანსებული ინიციატივების რაოდენობა.	✓	

IV კვარტალი

2018 წლის მეოთხე კვარტალში შერჩეული და დაფინანსებული იქნა ეთნიკური უმცირესობების მიერ ინიცირებული შემდეგი პროექტები:

20 ოქტომბერი - ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ 30 კაციანი ჯგუფის შემადგენლობით მოეწყო და დაფინანსდა საექსკურსიო ტური (ვარძია, ხერთვისის ციხე, რაბათის ციხე, ბორჯომი);

28 ოქტომბერი - ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ აღინიშნა საბერძნეთის ეროვნული დღესასწაული „ოხი“.

დეკემბერში აჭარის გერმანელთა ასოციაცია „აინუნგი“-ს მიერ დამზადდა თემატური სარეკლამო მასალა (ბლოკნოტები და საწერკალმები);

დეკემბერში – აჭარის იეზიდთა კავშირის მიერ რელიგიური დღესასწაულის „აიდია იეზიდია როჟი“ ჩატარების მიზნით იეზიდური დიასპორის ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სურსათის პროდუქტები, რომლითაც ამზადებენ სპეციალურ სადღესასწაულო კერძებს და ურიგდებათ ხელმოკლე ოჯახებს, მეზობლებს.

დეკემბერში – აჭარის გერმანელთა ასოციაცია „აინუნგი“-მა მოინახულა ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „ნემო“-ს აღსაზრდელები, რომელთაც გადევნათ სხვადასხვა საჩუქრები და ტკბილეული.

25 დეკემბერს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა დიასპორის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. აღნიშნულზე მომზადებული იქნა მოკლე დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ასახული იყო დიასპორის მოღვაწეობა ქრონოლოგიის მიხედვით. მოწვეული იყო სომხეთის რესპუბლიკის კონსული და ასევე ქალაქის ინტელიგენცია. დიასპორის აქტივისტები დაჯილდოვდნენ სიგელებით.



III კვარტალი

2018 წლის პირველ კვარტალში შერჩეული და დაფინანსებული იქნა ეთნიკური უმცირესობების მიერ ინიცირებული შემდეგი პროექტები:

15 ივლისი– უკრაინული დიასპორის მიერ მოეწყო უკრაინელი ობოლი ბავშვების სტუმრობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, შეხვედრა გაიმართა მეგობრობის სახლში, მოეწყო ნახატების გამოფენა, კონკურსები, ვიქტორინები. გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

17-20 ივლისი - უკრაინული დიასპორის აქტიური ბავშვებისათვის მოეწყო საექსკურსიო ტური, კერძოდ მოინახულეს მცხეთა, თბილისი, თელავი, სიღნაღი და საგარეჯოში არსებული კულტურულ ისტორიული ძეგლები.

21 აგვისტო– თურქული დიასპორის მორწმუნეებისათვის 70 ოჯახზე ყურბან ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით შეძენილი იქნა სასურსათე ნობათი.

24 აგვისტო –აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ტ. შევჩენკოს და ლ. უკრაინკას ძეგლის ყვავილებით შემკობა, ბავშვთა ხატვის კონკურსი ასფალტზე და სხვ.

2018 წლის I-II კვარტალში,

2018 წლის პირველ კვარტალში შერჩეული და დაფინანსებული იქნა ეთნიკური უმცირესობების მიერ ინიცირებული შემდეგი პროექტები:

- 14 თებერვალს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა „სურბ სარქისის“ დღესასწაული. ღონისძიებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულზე შესყიდული იქნა სუვენირები და საჩუქრები;

- თებერვლის თვეში დაიწყო გერმანული ენის შემსწავლელი კურსების ჩატარების უზრუნველყოფა, გერმანელთა ასოციაციის წევრების მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულზე გაფორმებულია ხელშეკრულება პედაგოგთან და 15 თებერვლიდან 15 ივნისის ჩათვლით ჩატარდება სასწავლო კურსები;

- 3 მარტს უკრაინული დიასპორის მიერ მოეწყო დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მეგობრობის სახლში ჩატარდა. ქალთა დღესთან დაკავშირებით დიასპორაში მოღვაწე ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები;

- 9 მარტს ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ტარას შევჩენკოს ძეგლთან მოეწყო ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

- 4 მარტს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა დედის დღე და აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

- 8 მარტს ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ვახშამი;

- 24 მარტს ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ აღინიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე. მოეწყო შესაბამისი თემატიკის კულტურული ღონისძიება.

2018 წლის პირველ კვარტალში შერჩეული და დაფინანსებული იქნა ეთნიკური უმცირესობების მიერ ინიცირებული შემდეგი პროექტები:

- აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით რუსული და უკრაინული დიასპორების მიერ დიასპორის ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სასურსათე პროდუქტების ნობათი;

- 9 მაისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

- 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მეგობრობის სახლში გაწვერიანებული 9 დიასპორის მიერ, ერთობლივად მოხდა საზეიმო შეკრება და დიასპორის აქტივისტების მიერ მოეწყო ამ დღესთან დაკავშირებული საღამო.

- 28 მაისს აღინიშნა სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

2 ივნისს აჭარის რუსულენოვანი ინტელიგენციის ასოციაცია „რასსვეტის“ მიერ მეგობრობის სახლში მოეწყო ასოციაციის 15 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.



9. სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

9.1. მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა

9.1.1. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 9

სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	9.1.1. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა მასობრივი სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.		
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება	
ეზოს ფეხბურთის განვითარების ღონისძიებები;	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	✓	
Street ball ტურნირის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	✓	
პარასპორტული აქტივობები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის;	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	✓	
სპორტული ღონისძიებები ვეტერანებისათვის;	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	✓	
აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა სპორტული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები ფეხბურთში;	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	✓	
ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები ფეხბურთში, რაგბში, ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთსა და წყალბურთში	სპორტული კლუბების ბავშვთა ჯგუფებში ჩართული ბავშვების რაოდენობა	✓	
ჭადრაკის ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;	ბავშვთა ჯგუფებში ჩართული ბავშვების რაოდენობა	✓	



ცხენოსნობის ხელშეწყობის ღონისძიებები.	განვითარების	სპორტული ჯგუფებში რაოდენობა	კლუბების ჩართული	ბავშვთა ბავშვების	✓
--	--------------	-----------------------------------	---------------------	----------------------	---

IV კვარტალი

ეზოს ფეხბურთის საშემოდგომო ლიგაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდებმა. ტურნირი ჩატარდა 3 ასაკობრივ კატეგორიაში და მონაწილეობა მიიღო 30 გუნდმა, ასევე ჩატარდა საჩვენელი ფინალური მატჩი გოგონათა გუნდებს შორის; საერთო ჯამში გაიმართა 100 - ზე მეტი შეხვედრა, რომელშიც ჩართული იყო 300 მეტი მოზარდი. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ ბაკურიანის 2 დღიანი ტურით.

ქუჩის კალათბურთის საშემოდგომო ლიგაში მონაწილეობდა 16 გუნდი, რომელშიც ჩართული იყო 90 მეტი მოყვარული კალათბურთელი, გამარჯვებულ და საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ სპორტული მაღაზიის ვაუჩერები.

სპორტული თამაშები გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის სმენა დაქვეითებულ ფეხბურთელთა და ამპუტანტ ფეხბურთელთა შორის, დარტსში, ნარდში და შაშში. ტურნირის ფარგლებში მოწვეული იყო 50 პარასპორტსმენი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სპორტული მაღაზიის ვაუჩერები, საერთო ჯამში თამაშებში ჩართული იყო 120 მეტი სპორტსმენი.

სისტემატიურად მიმდინარეობდა საწვრთნელო პროცესი, პროექტში ჩართული ბავშვების მონაწილეობით ჩატარდა შემაჯამებელი საჩვენებელი ვარჯიში. მონაწილე ბავშვებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები

საანგარიშო პერიოდში ბავშვებს უტარდებოდათ საწვრთნელი ვარჯიშები კალათბურთში. იღებდნენ მონაწილეობას ადგილობრივ ტურნირებში.

საანგარიშო პერიოდში ბავშვებს უტარდებოდათ საწვრთნელი ვარჯიშები რაგბში. მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივ ტურნირებში. საფესტივალო ასაკის ბავშვებში ჩატარდა არაერთი სპორტული შეჯიბრება. წახალისების მიზნით, დაჯილდოვდნენ სიგელებით. საანგარიშო პერიოდში ბავშვებს უტარდებოდათ საწვრთნელი ვარჯიშები ფეხბურთში. მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივ ტურნირებში.

ხელბურთში ნოემბრის თვეში ჩატარდა ფესტივალის 1 ტური 2004-05 წწ დაბადებულ გოგონათა შორის - მეორე ადგილი ფესტივალი გაგრძელდება 2019 წელს. დეკემბრის თვეში ჩატარდა აჭარის ჩემპიონატი 2004-05 წწ დაბ.გოგონათა შორის, სადაც კლუბის გოგონები აჭარის ჩემპიონები გახდნენ. ოქტომბერში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი 2002-03 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის 1 წრე, სადაც კლუბის ასაკობრივი ჯგუფის ჭაბუკები მესამე ადგილზე იმყოფებიან, ჩემპიონატიც გაგრძელდება 2019 წელში. 2018 წლის ნოემბრის თვეში ჩატარდა ფესტივალის 1 ტური 2004-05 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის - ამ პერიოდისთვის არიან მე-5 ადგილზე და იბრძვიან საუკეთესო სამეულში მოსახვედრად. აჭარის ჩემპიონატზე ხელბურთის კლუბის ბავშვთა გუნდმა დაიკავა მე-3 ადგილი.

წყალბურთის კლუბში უწყვეტად მიმდინარეობდა ბავშვთა ჯგუფების განვითარების ვარჯიშები და კლუბმა წარმატებით მიიღო მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატის 3 თამაშში.

მეოთხე კვარტალში ჭადრაკის კლუბში უსასყიდლოდ, წვრთნას გადიოდა 250- ზე მეტი ბავშვი. კლუბის ორგანიზებით გაიმართა 9 საჭადრაკო ტურნირი. კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფარგლებში, გაიმართა თემატური მასტერ კლასები და ერთდროული თამაშის სეანსები წამყვან



საერთაშორისო დიდოსტატებთან. 2018 წლის ოქტომბერში პორტო კარასში, ჰალკიდის (საბერძნეთი), გამართულ ევროპის 23-ე საკლუბო ჩემპიონატზე კლუბი "ნონა" მეორედ გახდა ვიცე ჩემპიონი. 2018 წლის ნოემბერში თბილისში, საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში კლუბმა მოიპოვა საქართველოს უძლიერესი კლუბის ტიტული, მეოთხედ გახდა საქართველოს ჩემპიონები. 2018 წლის დეკემბერში, ბათუმის მერიის მიერ გამართულ წლის დაჯილდოებაზე კლუბი „ნონა“ სამ ნომინაციაში დასახელდა გამარჯვებულად „წლის სპორტსმენი“, „წლის გუნდი“ და „სპორტული კლუბი კარგი მმართველობა“. კლუბმა ჩაატარა ტრადიციული საახალწლო ფესტივალი - 7 ტურნირი. კლუბის ნორჩმა წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ ფესტივალში. გამოვლინდა გამარჯვებულები და პრიზიორები. დიდი გამოცდილება შეიძინეს ნორჩმა წევრებმა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობით (გასვლები რეგიონებში და საზღვარგარეთ). საჭადრაკო პროგრამებს ადგენდნენ საერთაშორისო დიდოსტატები. აგრეთვე ხდებოდა გამოცდილების და ცოდნის გაზიარება. წარმატებული იყო მათი გამოსვლა საერთაშორისო და ეროვნულ ტურნირებზეც.

2018 წლის IV კვარტალში გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი, ცხენებისათვის შეძენილი იქნა საკვები. შეკეთდა სატრანსპორტო საშუალებები. კლუბმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ ტურნირებში.

III კვარტალი

2018 წლის III კვარტალში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს უტარდებოდათ საწვრთნელი ვარჯიშები. ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს ტურნირში „აფხაზეთის თასი“, ასევე, ბავშვები მონაწილეობას იღებენ საქართველოს პარალიმპიურ ჩემპიონატში, რომელიც დასრულდება 2018 წლის მეოთხე კვარტალში.

2018 წლის III კვარტალში მიმდინარეობდა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლის საწვრთნელი ვარჯიშები კვირაში 2 დღის განმავლობაში.

2018 წლის III კვარტალში რაგბში, ბავშვთა ჯგუფების მონაწილეობით განხორციელდა არაერთი ღონისძიება, კერძოდ:

- ✓ 2004-2005 წწ. დაბადებულ ბავშვთა ფესტივალი ჩატარდა გონიოს სტადიონზე 08 სექტემბერს;
- ✓ 2006-2007 წწ. დაბადებულ ბავშვთა ფესტივალი ჩატარდა ჩაქვში 15 სექტემბერს;
- ✓ 2004-2005 წწ. დაბადებულ ბავშვთა ფესტივალი ჩატარდა ფოთში 22 სექტემბერს;
- ✓ 2006-2007 წწ. დაბადებულ ბავშვთა ფესტივალი ჩატარდა ჩოხატაურში 26 სექტემბერს.

საანგარიშო პერიოდში კალათბურთის სახეობაში განახლდა ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობა და ვარჯიშები.

საანგარიშო პერიოდში ხელბურთის სახეობაში ქ. ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი 2004-2005 წწ დაბადებულ გოგონათა გუნდებს შორის. ამ ტურნირში გოგონათა გუნდმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი; ქ. ბათუმში გაიმართა საქართველოს V ეროვნული ჩემპიონატი პლაჟის ხელბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის „ბათუმის თასი - 2018“. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო კლუბის ასაკობრივმა ჯგუფებმა (გოგონები, ვაჟები) და დაიკავეს მესამე საპრიზო ადგილი; დაიწყო 2018-2019 წლების საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი 2002-2003 წწ დაბადებულ გოგონათა გუნდებს შორის, სადაც მონაწილეობას მიიღებს კლუბის ახალგაზრდული ნაკრები.

2018 წლის III კვარტალში გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი, ცხენებისათვის შეძენილი იქნა საკვები და ვეტერინარული მედიკამენტები. კლუბის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით



შეძენილი იქნა შიდა მანქნის ღობეებისათვის შესაბამისი ინვენტარი. კლუბმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ ტურნირებში.

2018 წლის I-II კვარტალში ქალაქის 10 ადმინისტრაციულ უბანში ჩამოყალიბდა 10 საფეხბურთო გუნდი, რომლებშიც გაწევრიანებული არიან 2003-2008 წლებში დაბადებული მოზარდები. გუნდებს დაენიშნათ მწვრთნელები და ინტენსიურად მიმდინარეობდა ვარჯიში.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საგაზაფხულო ლიგა, რომელიც 21 ივნისს დასრულდა. მონაწილეობას იღებდა 32 გუნდი (2 გოგონათა გუნდი) გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და თასებით.

ქ.ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზებით 12-13 მაისს ჩატარდა ტურნირი ქუჩის კალათბურთში STREETBALL. ტურნირში 22 გუნდი ღებულობდა მონაწილეობას. გამარჯვებულ გუნდებს და საუკეთესო მოთამაშეს გადაეცათ სიგელები და ფასიანი ვაჩერები.

2018 წლის I კვარტალში - 2 მარტიდან 8 მარტის ჩათვლით, ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ნარდი, შაში, დარტსი) ვეტერანებს შორის.

მიმდინარე წლის 26 მაისს, სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ვეტერანთა შორის ნარდში, დარტსში და მაგიდის ჩოგბურთში. გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და თასები.

2018 წლის I კვარტალში ჩამოყალიბდა აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, რომელშიც 45 მოზარდია გაერთიანებული.

მიმდინარე წლის 22 მაისს გაიხსნა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა. ბავშვებს გადაეცათ გამაჯანსაღებელი მასაჟების ვაუჩერები და დელფინარიულ შოუზე დასასწრები ბილეთები. საანგარიშო პერიოდში ბავშვებს უტარდებოდათ საწვრთნელი ვარჯიშები.

საანგარიშო პერიოდში ბავშვებს უტარდებოდათ საწვრთნელი ვარჯიშები. იღებდნენ მონაწილეობას ადგილობრივ ტურნირებში.

კლუბმა მონაწილეობა მიიღო საკვალიფიკაციო ტურნირებში. კლუბმა მარტის თვეში 2 თემატური მასტერკლასი ერთდროული თამაშის სეანსები გამართა საერთაშორისო დიდოსტატებთან. კლუბმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ ევროპის ვაჟთა ინდივიდუალური ჩემპიონატის ორგანიზებასა და წარმართვაში.

მეორე კვარტალში კლუბში უსასყიდლოდ მომზადებას გადიოდა 250-მდე ბავშვი. კლუბის ორგანიზებით გაიმართა 10 საჭადრაკო ღონისძიება.

კლუბში დღითიღე მატულობს წევრების რაოდენობა. ჭადრაკის შესასწავლად მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მასიურად მოდიან სკოლის მაღალკლასელი მოსწავლეები. აჭარის და საქართველოს ჩემპიონატებში ნორჩმა წევრებმა დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს. მოიპოვეს საქართველოს და მსოფლიო ჩემპიონატების საგზურები. განხორციელდა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში საინტერესო პროექტები, როგორც საქართველოს რეგიონებში, იგეგმება ახალი პროექტები უცხოურ საჭადრაკო სკოლებთან და კლუბებთან. კლუბის ნორჩი წევრები ინტენსიურ წვრთნას გადიან როგორც ძირითად ასევე მოწვეულ სპეციალურ მწვრთნელებთან, რაც წინაპირობაა ტურნირებზე წარმატებული გამოსვლების. შედეგი სახეზეა საქართველოს ჩემპიონატზე 8 წლამდე გოგონებში კლუბის ორმა წევრმა წარმატებით იასპარეზა - კესარია მგელაძემ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული და მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. მარიამ კალანდაძე საუკეთესო ხუთეულში შევიდა.

2018 წლის I კვარტალში გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი. კლუბმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებში.



9.1.2. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 9

სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	9.1.2. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მაღალი მიღწევების სპორტის, როგორც პოზიტიური სოციალური ფენომენის (ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტში ჩართულობის ხელშეწყობი ფაქტორის) გაძლიერების ხელშეწყობა, სპორტის, როგორც ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სეგმენტის გაძლიერების ხელშეწყობა.	
ლონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
საფეხბურთო კლუბის „ბათუმი დინამოს“ საპლაჟო ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა;	მუნიციპალურ საკლუბო გუნდებში მოღვაწე პროფესიონალი სპორტსმენების რაოდენობა	✓
სარაგბო კლუბის „ბათუმის“ განვითარების ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა;	მუნიციპალურ საკლუბო გუნდებში მოღვაწე პროფესიონალი სპორტსმენების რაოდენობა	✓
ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა;	მუნიციპალურ საკლუბო გუნდებში მოღვაწე პროფესიონალი სპორტსმენების რაოდენობა	✓
საკალათბურთო კლუბ „ბათუმი“-ის ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა;	მუნიციპალურ საკლუბო გუნდებში მოღვაწე პროფესიონალი სპორტსმენების რაოდენობა	✓
ხელბურთის კლუბ „ბათუმი“-ის ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა;	მუნიციპალურ საკლუბო გუნდებში მოღვაწე პროფესიონალი სპორტსმენების რაოდენობა	✓
საჭადრაკო კლუბის ბავშვების, მოზარდებისა და დიდოსტატების საერთაშორისო საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა;	საერთაშორისო საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის რაოდენობა	✓
საცხენოსნო კლუბის საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;	საცხენოსნო კლუბის საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის რაოდენობა	✓



სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობის კლუბების განვითარება;	სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობის კლუბების რაოდენობ	✓
ერთეულთა თანრიგის სპორტსმენებისა და სინქრონული გუნდის წევრების საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მიღება;	საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის რაოდენობა	✓
სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებისა და ჩატარების ხელშეწყობა.	ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების რაოდენობა	✓

IV კვარტალი

- 1) ბათუმის დინამოს ძირითადი გუნდი გახდა ლიგა 2-ის ჩემპიონი და გადავიდა ლიგა 1-ში.
- 2) უ-10 ასაკის ფეხბურთელთა გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონატის სამეგრელო ზემო სვანეთის ლიგის გამარჯვებული.
- 3) უ-13 ასაკის ფეხბურთელთა გუნდი გახდა იმერეთის ზონის ჩემპიონი.
- 4) უ-12, უ-14 და უ-16 ასაკის ფეხბურთელთა გუნდები გავიდნენ მე-2 და მე-3 ადგილებზე შესაბამის რეგიონალური ზონების გათამაშებებში.

სარაგბო კლუბ „ბათუმის“ უმაღლესმა /დიდი 10 გუნდმა ითამაშა ხუთი თამაში, აქედან, ხუთივე თამაში გამარჯვებით დასრულდა. ამ დროისთვის ჩემპიონატის „დიდი 10“ ცხრილში 1 ადგილი იკავებს. „დუბლ“ გუნდის მორაგბეებმა ითამაშეს 4 თამაში, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდმა ითამაშა 6 თამაში და აქედან 1 გამარჯვებით, ხოლო ორი თანაბარი ქულით დაასრულა. სარაგბო კლუბ ბათუმის მორაგბეები U20 გამოძახებულნი იყვნენ გიორგი მენაბდე და დურმიშხან ჯაბინიძე,

ასევე უმაღლესი ლიგის გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში ირიცხება 6 მორაგბე.

ფრენბურთის კლუბის გოგონათა ჯგუფმა საქართველოს ოცდამერვე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი. ფრენბურთის კლუბ „ბათუმის“ ვაჟთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოცდამერვე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში.

შპს საკალათბურთო კლუბ „ბათუმი 2010“-ის სუფსიდირების ფარგლებში, განხორციელდა ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, სპორტსმენების შრომის ანაზღაურება, ხოლო ძირითადი გუნდის მწვრთნელების ხელფასი გაიცა ნაწილობრივ საკუთარი სახსრებით და ასევე განხორციელდა შიდა სატურნირო მივლინებები, გაიცა სასპორტო დარბაზის იჯარა, სამედიცინო ხარჯები და დაცვის სამსახურის უზრუნველყოფის ღირებულება.

1. ოქტომბრის თვეში დაიწყო საქართველოს 29-ე ეროვნული ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგის შვიდი მატჩიდან 14 ქულით ლიდერობს ქვეყნის ჩემპიონი, ბათუმის შავი ზღვის ბიჭები.
2. დეკემბრის თვეში გუნდი გაემგზავრა ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე - დაიკავა მეორე ადგილი.



კლუბმა „ნონამ“ მეოთხე კვარტალში მონაწილეობა მიიღო 5 საერთაშორისო ღონისძიებაში. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი (11-19.10.2018 პორტო კარასი, ჰალკიდისი, საბერძნეთი). მსოფლიო კადეტთა ჩემპიონატი (04-15.11.2018 სანტიაგო დე კომპოსტელა, ესპანეთი) ACES EUROPE -ს დაჯილდოების ცერემონიალი (04.12.2018 წ. ბრიუსელი, ბელგია) მეფე სალმანის მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში რაპიდში და ბლიცში (Rapid & Blitz 25-31.12.2018 სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი) - ნინო ბაციაშვილი.

ჰოკეის გუნდის სპორტსმენებს და ასევე ფიგურული ციგურაობის აღსაზრდელებს სისტემატიურად უტარდებოდათ პრაქტიკულ-თეორიული სწავლება, მოეწყო საჩვენებელი წარმოდგენის ორგანიზება.

29 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით სლოვაკეთის რესპუბლიკის ქალაქ ტირნავიაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი „TIRNAVIA ICE CUP“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმის სპორტული ცენტრის 5 სპორტსმენმა; დაკავებული ადგილები - 3 პირველი ადგილი, 1 მეოთხე ადგილი და 1 მეექვსე ადგილი;

21-24 ნოემბრის ჩათვლით, სლოვენიის ქალაქ ცელიეში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი იუნiorების და ნოვისების კატეგორიაში, მონაწილეობა მიიღო ბათუმის სპორტული ცენტრის 3 აღსაზრდელმა.

12-16 დეკემბერს სლოვაკეთის ქალაქ ბრატისლავაში გაიმართა საერთაშორისო გრამპრის მე-60 ტურნირი, მონაწილეობა მიიღო ბათუმის სპორტული ცენტრის 7 სპორტსმენმა; ადგილები - 3 პირველი ადგილი, 1 მეორე ადგილი, 1 მესამე ადგილი და 1 მეხუთე ადგილი;

III კვარტალი

2018 წლის III კვარტალში პლაჟის ფეხბურთის ძირითადმა გუნდმა მოიგო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში, ასევე, პლაჟის ფეხბურთის გოგონათა გუნდმა მოიგო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში.

2018 წლის III კვარტალში სარაგბო კლუბ „ბათუმმა“ ითამაშა ოთხი თამაში. აქედან 3 თამაში გამარჯვებით დასრულდა. ამ დროისთვის ჩემპიონატის „დიდი10“ ცხრილში გუნდი პირველ ადგილს იკავებს. „დუბლ“ გუნდის მორაგბეებმა ითამაშა 3 თამაში, აქედან, 2 თამაში გამარჯვებით დასრულდა.

ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდმა ითამაშა 3 თამაში და აქედან 2 გამარჯვებით დაასრულა.

სარაგბო კლუბ „ბათუმის“ მორაგბეები U18 გამოძახებული იყო დასავლეთ საქართველოს ნაკრების შერჩევაზე, ასევე U20 წლამდე - 4 მორაგბე . ასევე უმაღლესი ლიგის გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში ირიცხება 6 მორაგბე.

2018 წლის III კვარტალში შპს საკალათბურთო კლუბ „ბათუმი 2010“-ის ორგანიზებით ჩატარდა ვალერი ალთაბაევის თასზე საერთაშორისო ტურნირი.

2018 წლის III კვარტალში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. დაბა ურეკში ჩატარდა BLACK SEA CUP 2018 - ის ტრადიციული თასის გათამაშება პლაჟის ხელბურთში. გუნდმა აიღო მესამე საპრიზო ადგილი.
2. კოსოვოს ქ. პეჩში ჩატარდა EUROPEAN CUP(ევროპის ფედერაციის თასის გათამაშება)- ის პირველი რაუნდის 2018 წლის საკვალიფიკაციო მატჩები. გუნდმა დიდი გამოცდილება მიიღო.
3. თბილისში ჩატარდა 2018 წლის საქართველოს თასის გათამაშება. გუნდმა აიღო მეორე საპრიზო ადგილი.



2018 წლის III კვარტალში ცენტრის ბაზაზე რეგულარულად წვრთნას გადიოდნენ ჰოკეის გუნდის წევრები.

მიმდინარე წლის 21-29 ივლისის ჩათვლით სპორტული ცენტრის სინქრონული დასის სპორტსმენები იმყოფებოდნენ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, სადაც გადიოდნენ საწვრთნელო ტრენინგს გუნდ „TEAM VIZYON“-სთან ერთად. მიმდინარე წლის 6 აგვისტოდან 13 აგვისტოს ჩათვლით სპორტული ცენტრის ერთეულთა თანრიგის მოციგურავეები და მწვრთნელები იმყოფებოდნენ ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ მინსკში, სადაც გადიოდნენ ტრენინგ - სემინარს ფიგურულ ციგურაობაში; მიმდინარე წლის 13 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით სპორტული ცენტრის ერთეულთა თანრიგი მოციგურავეები და მწვრთნელები იმყოფებოდნენ დანიის სამეფოში, სადაც გადიოდნენ ტრენინგ - სემინარს ფიგურულ ციგურაობაში.

2018 წლის I-II კვარტალში, საპლაჟო ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდა ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება. მიმდინარეობდა წვრთვნები.

საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1) პლაჟის ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო პორტუგალიის ქ. ნაზარეში გამართულ „ევრო ვინერს კაპ“ - ის გათამაშებაში და საბოლოოდ აიღო მერვე ადგილი.

2) დასავლეთ საქართველოს გუნდებს შორის ჭაბუკთა ლიგაზე მოასპარეზე გუნდებს შორის გათამაშების პირველ ეტაპზე 15 და 19 წწ. ასაკის გუნდებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები და მონაწილეობას განაგრძობენ ოქროს ლიგაში.

3) 2004 და 2005 წელს დაბადებულ ბავშვთა გათამაშების ჩემპიონატში დინამო ბათუმის გუნდები სატურნირო ცხრილში იკავებენ პირველ ადგილს.

სარაგბო კლუბ „ბათუმის“ სუბსიდირების ფარგლებში საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: იანვრის თვეში ძირითადი გუნდი გამოეთიშა „ჩელენჯის თასის გათამაშების ტურნირს“ თუმცა გუნდმა დიდი გამოცდილება მიიღო. კლუბის უმაღლესი გუნდის მორაგბეებმა გიორგი თხილაიშვილმა და ლაშა ხმაღაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთა თასის გათამაშებაში, სადაც გიორგი თხილაიშვილი დასახელდა საუკეთესო მოთამაშედ;

ქ. ქუთაისში ჩატარდა ბავშვთა ფესტივალი 2004-2005 წწ, სადაც მონაწილეობდა აღნიშნული ასაკის 100 მოზარდი.

კლუბი ბათუმის აღზრდილი ორი მორაგბე დურმიშხან ჯაბნიძე და გიორგი მენაბდე იმყოფებოდა საქართველოს 20 წლამდე ახალგაზრდულ ნაკრების შეკრებაზე საფრანგეთში და იქვე გამართეს ფრანგ თანატოლებთან ერთად ამხანაგური შეხვედრა სადაც მოიგეს 0:15.

სარაგბო კლუბის „ბათუმის“ განვითარების ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა;

საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1) ასაკობრივ ჯგუფებში და „ა“ , „ბ“, „ბ2“ ლიგებში განხორციელდა როგორც გასვლითი, ასევე ადგილობრივი შეხვედრები.

2) ახალგაზრდების ეროვნულ ნაკრებში ითამაშა ბათუმის კლუბის სამმა მორაგბემ: გიორგი მენაბდე, ვიტალი კირინო, მანუჩარ გრიგოლია.

3) კლუბის ძირითადმა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში დაიკავა მეოთხე ადგილი.

ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა;



თებერვლის თვეში ბაკურიანში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (გოგონებს შორის) თოვლის ფრენბურთში, სადაც კლუბის წევრებმა ელზა ფალავანდიშვილმა და ნანა წოწონავამ დაიკავეს მეორე საპრიზო ადგილი, ანა თვარუაშვილი და ნინო სტურუაშვილი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ამავე წევრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის თოვლის ტურნირში.

თურქეთში თებერვლის თვეში მონაწილეობა მიიღეს ელზა ფალავანდიშვილმა, ნანა წოწონავამ საერთაშორისო ტურნირში, სადაც დააგროვეს 200 ქულა. მიმდინარე წლის მარტის თვეში ბათუმში ჩატარდა საქართველოს 27-ე ეროვნული ჩემპიონატის II ტური სადაც ბათუმის კლუბის გოგონებმა III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

მიმდინარე წლის თებერვალ-მარტის თვეში თბილისში ჩატარდა საქართველოს 27-ე ეროვნული ჩემპიონატის II ტური სადაც ვაჟებმა IV ადგილი დაიკავეს.

საკალათბურთო კლუბ „ბათუმი“-ის ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა;

საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 1) გოგონათა გუნდმა აპრილში გამართულ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დაიკავა მესამე ადგილი;
- 2) გოგონა გუნდმა გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონატში მასში დაიკავა პირველი ადგილი. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ გამოცხადდა ანასტასია ფალავანდიშვილი.

შპს საკალათბურთო კლუბ „ბათუმი 2010“-ის სუფსიდირების ფარგლებში, განხორციელდა ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება, ასევე განხორციელდა შიდა სატურნირო მივლინებები, გაიცა სასპორტო დარბაზის იჯარა, სამედიცინო ხარჯები და დაცვის სამსახურის უზრუნველყოფის ღირებულება.

ხელბურთის კლუბ „ბათუმი“-ის ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა;

ხელბურთის კლუბ „ბათუმის“ სუფსიდირების ფარგლებში საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 2018 წლის 14 თებერვალს დაიწყო მეორე წრე, დასავლეთი ტური.

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე წრე ზესტაფონის სპორტის სასახლეში დაიწყო. ბათუმის ძირითადმა გუნდმა 39-25 დაამარცხა მეტოქე.

ოთხეულის მთავარი მატჩი, ბათუმი-ქუთაისი ფრედ, 25-25 დასრულდა.

ბათუმისა და ქუთაისის მეორე დუელის წინ ბათუმმა ქუთაისთან სხვაობა 4 ქულამდე გაზარდა. საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბათუმის გუნდმა 29-27 დაამარცხა ქუთაისი.

საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 1) მიმდინარე წლის 5 მაისს გამართულ ეროვნული ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზზე, გუნდი გახდა ქვეყნის ჩემპიონთა თასის მფლობელი.
- 2) საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში 2002-2003წ.წ. დაბადებულ ვაჟთა გუნდებს შორის კლუბის ჯაბუკებმა დაიკავეს მესამე საპრიზო ადგილი.
- 3) ქ. ბათუმში 20-23 ივნისს გამართულ ოთარ ფალავას ჩემპიონატზე კლუბის აღსაზრდელებმა დაიკავეს პირველი ადგილი.

საჭადრაკო კლუბის ბავშვების, მოზარდებისა და დიდოსტატების საერთაშორისო საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა;



საჭადრაკო კლუბის ბავშვების, მოზარდებისა და დიდოსტატების საერთაშორისო საკლუბო ჩემპიონატში პირველ კვარტალში კლუბმა მონაწილეობა მიიღო 3 ტურნირში.

ჭადრაკის კლუბმა მეორე კვარტალში მონაწილეობა მიიღო 2 მსოფლიო ჩემპიონატში -კადეტთა შორის რაპიდში (21-23 ივნისი, მინსკი, ბელარუსია), მსოფლიო ჩემპიონატი კადეტთა შორის ბლიცში (24 ივნისი, მინსკი, ბელარუსია).

2018 წლის I კვარტალში (14-26 მარტს) კლუბმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურნირში ქ. სტამბოლში კლუბ ქემერ ქანტრის შეჯიბრში.

სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობის კლუბების განვითარება:

2018 წლის I კვარტალში ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებდა ჰოკეის ჯგუფი, 15 სამოყვარულო ჯგუფი და 2 სინქრონული გუნდი ფიგურულ ციგურაობაში. სულ გაწევრიანებული 550-დე მოზარდი. წვრთნას ახორციელებენ ადგილობრივი მწვრთნელები.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის ბაზაზე წვრთნას გადიოდნენ საქართველოს ყინულის ჰოკეის გუნდის წევრები, რომლებიც რეგულარულად უტარებენ მასტერკლასს ჰოკეის ჯგუფში გაერთიანებულ მოზარდებს. მიმდინარე წლის 17-24 აპრილის ჩათვლით საფრანგეთში ჩატარდა ტურნირი ROSTER CUP 2018 რომელშიც სპორტული ცენტრის 9 მოციგურავე იღებდა მონაწილეობას, სადაც მონაწილეებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს.



9.1.3.საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიმართულება 9 სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	9.1.3.საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების ხელშეწყობა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლების ხელშეწყობა	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო ტურნირებისა და ჩემპიონატების ორგანიზება და ჩატარება.	ჩატარებული საერთაშორისო სპორტული ტურნირების რაოდენობა	✓
	ტურნირებში მონაწილე ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობა	✓
	ტურნირებში მონაწილე უცხოელი სპორტსმენების რაოდენობა	✓
	მუნიციპალური კლუბების ქართველი სპორტსმენების რეიტინგული მონაცემები	✓

IV კვარტალი

2018 წლის IV კვარტალში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა საერთაშორისო სპორტული ტურნირი მინი ფეხბურთში, გენადი მენაბდის თასზე, პირველი ადგილი დაიკავა ლანჩხუთის გუნდმა „გურია“, მე-2 ადგილი აიღო ბათუმის გუნდმა „დინამომ“, ხოლო მე-3 ადგილი დაიკავა სომხეთის „ვეტერანთა ნაკრებმა“.

III კვარტალი

2018 წლის III კვარტალში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა შემდეგი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები: საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში (01-04 ივლისი); რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში (05-10 სექტემბერი); აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში (10-14 სექტემბერი); საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში (27-30 სექტემბერი); საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში (15-22 სექტემბერი).

2018 წლის I-II კვარტალში,

2018 წლის I კვარტალში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში ორგანიზებაზე.



1. 2018 წლის II კვარტალში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი შემდეგი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაზე:

- რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში;
- საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში;
- ბილიარდში საერთაშორისო ტურნირი „AJARA OPEN 2018“;
- „საერთაშორისო ჩემპიონატი შოტოკან კარატე დო-ში“.

2. საანგარიშო პერიოდში მერიის ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები:

- მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში;
- ბილიარდში საერთაშორისო ტურნირი „AJARA OPEN 2018“;
- „საერთაშორისო ჩემპიონატი შოტოკან კარატე დო-ში“



9.2. განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდებისათვის

9.2.1. არაფორმალური განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა სტრატეგიული მიმართულება 9 სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	9.2.1. არაფორმალური განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების განვითარებას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების ორგანიზება ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემებთან დაკავშირებით;	ორგანიზებული ტრენინგ-სემინარების რაოდენობა	✓
ახალგაზრდული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.	შემძენილი ინვენტარის რაოდენობა და ღირებულება	✓

IV კვარტალი

2018 წლის IV კვარტალში ახალგაზრდულ ცენტრში იურისტ ნიკოლოზ მეგრელიშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე განათლების უფლებების შესახებ, რომელსაც ესწრებოდა სტუდენტები და აგრეთვე მოსწავლეები; გაიმართა ცნობილი ქართველი მსახიობის თამარ მაყაშვილის მასტერკლასი თემაზე „თეატრი და სასცენო ხელოვნება“; დეკემბრის თვეში თანამედროვე ქართველი მწერალი, დრამატურგი ლაშა ბულაძე ახალგაზრდული ცენტრის სტუმარი თემით „პატარა ქვეყნის ისტორია როგორც რომანი“.

2018 წლის IV კვარტალში ახალგაზრდული ცენტრისათვის შეძენილი იქნა სკამები (რბილი პუფები) და წიგნები.

III კვარტალი

2018 წლის III კვარტალში ახალგაზრდულ ცენტრში კინომცოდნე სოფიო თავაძემ ჩაატარა ლექცია თემაზე: „კინომატოგრაფიის განვითარების ისტორია საქართველოში“, გაიმართა ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია; ივლისის თვეში ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის მოხალისეებმა მიიღეს მონაწილეობა „ეროვნულ უმცირესობათა ფესტივალში“, სადაც ახალგაზრდულ ცენტრს წარმოდგენილი ჰქონდათ თავიანთი ნახატები და თოჯინები;

აგვისტოში ახალგაზრდულ ცენტრში ასოციაცია „ჰერა XXI“-ის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები და ჯანსაღი ცხოვრების წესი;



12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა თემატიკის სპორტულ, შემეცნებითი ღონისძიებები: ველომარათონი, დისკუსია თემაზე: „უსაფრთხო სივრცეები ახალგაზრდებისთვის“ (თემატური გამოფენა); აგვისტოს თვეში ახალგაზრდულ ცენტრში პროფესორ კონსტანტინე ბრეგამემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „სიყვარულის ჰერმენევტიკა გერმანულ რომანტიზმში“;

სექტემბერში პროექტის „ახალგაზრდები დადებითი ცვლილებებისთვის“ ფარგლებში, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო ტრენინგი „საქართველოს ევროპული გზა-მიღწევები და გამოწვევები“; სექტემბრის თვეში ასევე გაიმართა ანდრო დგებუაძის საჯარო ლექცია თემაზე: „კრეატიულობა როგორც ცოდნით თამაში“.

2018 წლის I-II კვარტალში,

2018 წლის I კვარტალში მოეწყო 3 შეხვედრა/ტრენინგი ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემებთან დაკავშირებით. მათ შორის: განხილული იქნა თემები: 1. ლიდერობა, მართვა, გუნდურობა; 2. დასაქმების პრობლემა ახალგაზრდებში; 3. პროექტების წერა და მართვა.

2018 წლის II კვარტალში მოეწყო 3 შეხვედრა/ტრენინგი ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემებთან დაკავშირებით. მათ შორის: განხილული იქნა თემები: 1. ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია ახალგაზრდებში; 2. წარმატების ფორმულა და მოტივაციის ამღებება; 3. ადამიანის აზროვნების განვითარების დონეები და ეტაპები.

2018 წლის I კვარტალში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი ახალგაზრდული ცენტრისათვის დინამიკების, მიკროფონების და პროექტორის აქსესუარების შესაძენად.

2018 წლის II კვარტალში ახალგაზრდული ცენტრისათვის შეძენილი იქნა დინამიკები, მიკროფონები, პროექტორის აქსესუარები.



9.2.2. ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა

სტრატეგიული მიმართულება 9

სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	9.2.2. ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის გზით ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, თვითრეალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ინტელექტუალურ-შემეცნებითი ტურნირებისა და კონკურსების ორგანიზება და ჩატარება.	ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტების რაოდენობა, რომელიც ორგანიზებულია მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით	✓
	მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელებული ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.	✓

III კვარტალი

2018 წლის III კვარტალში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებების მხარდაჭერა: „რა, სად, როდის?“ - დასკვნითი ეტაპი და აჭარის სკაუტების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ბანაკი.

2018 წლის I-II კვარტალში,

2018 წლის I კვარტალში მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტების - „ეტალონი“ და „რა, სად, როდის?“ ორგანიზებაზე.

2018 წლის II კვარტალში ორგანიზებული იქნა ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტები - „ეტალონი“ და „რა, სად, როდის?“. ასევე, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი აჭარის სკაუტების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ბანაკის ორგანიზებაზე.



9.2.3 ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

სტრატეგიული მიმართულება 9

სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა	9.2.3 ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის განვითარებასა და თვითრეალიზაციას მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების დაფინანსების მხარდაჭერის გზით.	
ღონისძიებები: პროექტების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და ამოქმედება; ინიციატივების მიღება, შერჩევა, შეფასება და გამარჯვებული ინიციატივის დაფინანსება.	შესრულების ინდიკატორი პროექტების შეფასების კრიტერიუმები	შესრულება ✓
	ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროექტების რაოდენობა	✓

IV კვარტალი

2018 წლის IV კვარტალში ინიცირებული პროექტების „ხელოვნების მოყვარულთა სივრცე-დაინახე მეტი“ და „ხელით შექმნილი სამყარო“ ფარგლებში ახალგაზრდულ ცენტრში მოზარდებისთვის უფასო სივრცეები შეიქმნა, სადაც ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეში მიმდინარეობდა ხატვის და ხელნაკეთი ნივთების დამზადების გაკვეთილები, კვირაში ორი დღე. გარდა გაკვეთილებისა, მიმდინარეობდა შემეცნებითი და გასართობი აქტივობები; დეკემბრის ბოლოს კი, ახალგაზრდული ცენტრის შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოეწყო მოზარდების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების და ნახატების გამოფენა.

III კვარტალი

2018 წლის III კვარტალში მიმდინარეობდა განაცხადების მიღება. წარმოდგენილი აპლიკაციებიდან შეირჩა და დაფინანსდა 4 პროექტი. მათ შორის: „ქუჩის კალათბურთი“, „ხელით შექმნილი სამყარო“, „Cinema Paradiso“ და „კინოგანათლების კვირეული“.

2018 წლის I-II კვარტალში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წლის 2 მარტს გამოიცა N946 ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა პროექტის შეფასების კრიტერიუმები.

2018 წლის I კვარტალში მიმდინარეობდა განაცხადების მიღება. წარმოდგენილი აპლიკაციებიდან შეირჩა და დაფინანსდა 5 პროექტი. მათ შორის პროექტები: „ხელოვნების მოყვარულთა სივრცე-დაინახე მეტი“, „ახალგაზრდა ხელოვანი“, „აქტიური ცხოვრება ჩვენი სტიქია“, „ჩვენი ხმა ევროპას“ და „ძალადობა და ახალგაზრდობა“.

2018 წლის II კვარტალში მიმდინარეობდა განაცხადების მიღება. წარმოდგენილი აპლიკაციებიდან შეირჩა და დაფინანსდა 4 პროექტი. მათ შორის პროექტები: „Cinema Paradiso“, „ხელით შექმნილი სამყარო“, „ქუჩის კალათბურთი“ და „კინო განათლების კვირეული ახალგაზრდა აუდიტორიის განვითარებისათვის“.



10. მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური გაძლიერება

10.1. ინსტიტუციური ცვლილებები მუნიციპალურ სტრუქტურებში

10.1.1 თანამდებობრივი ფუნქციების ეფექტური განაწილებისა და განხორციელების სისტემის დანერგვა

სტრატეგიული
მიმართულება 10

მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური გაძლიერება

პროგრამა

10.1.1 თანამდებობრივი ფუნქციების ეფექტური განაწილებისა და განხორციელების სისტემის დანერგვა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, ასევე მუნიციპალიტეტის მოხელეთა უფლება-მოვალეობების ახლებური გააზრება, სამუშაო აღწერილობების მომზადება, დებულებების და სხვა ოფიციალური დოკუმენტაციის განახლება, ხოლო შემდგომი ნაბიჯის სახით სამსახურეობრივი მოვალეობების მართებულად განაწილება, წახალისებისა და შრომის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ახალი სამუშაო აღწერილობების მომზადება;

მომზადებული და დამტკიცებული ახალი სამუშაო აღწერილობები

✓

დებულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების სამუშაო აღწერილობასთან შესაბამისობაში მოყვანა

დამტკიცებული სამსახურის ახალი დებულებები

✓

მოხელეთა შეფასების სისტემის დანერგვა და განხორციელება.

დანერგილი და ამოქმედებული მოხელეთა შეფასების სისტემა

✓

IV კვარტალი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, ასევე მუნიციპალიტეტის მოხელეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრა, სამუშაო აღწერილობების მომზადება, დებულებების და სხვა ოფიციალური დოკუმენტაციის განახლება, სამსახურეობრივი მოვალეობების მართებულად განაწილება, დანერგილი იქნა და ამოქმედა მოხელეთა შეფასების ახალი სისტემა, რომლის საფუძველზეც 2018 წლის ბოლოს განხორციელდა თანამშრომელთა შეფასება, რაც საფუძვლად დაედო წახალისებისა და შრომის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას.



თანამშრომელთა შეფასება განხორციელდება ყოველწლიურად სამსახურების მიხედვით დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

2018 წლის I-II კვარტალში,

განხორციელდა ქ. ბათუმის მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა უფლება მოვალეობების და სტრუქტურულ ერთეულებში მიმდინარე სამუშაო პროცესების შესწავლა ანალიზი არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა შეფასება. შესაბამის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მონაწილეობით მოხდა ფუნქცია მოვალეობების ახლებური გააზრება, მომზადდა ყველა თანამშრომლის ახალი სამუშაო აღწერილობები სადაც დეტალურადაა გაწერილი სამუშაო პროცესები

განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან და რეორგანიზაციიდან გამომდინარე მომზადდა 11 დებულების პროექტი, რომელშიც გაწერილია ახალი სტრუქტურის შესაბამისად ჩამოყალიბებული მერიისა და მერიის სამსახურების ფუნქციები, ამოცანები და სხვა საკითხები.

ახალი სტრუქტურის ამოქმედებიდან და სამუშაო პროცესების ანალიზიდან გამომდინარე მომზადდა 100 -ამდე სამართლებრივი აქტის პროექტი, რომლის მიხედვითაც დარეგულირდა ცაკეული სამსახურების ფუნქციები, მერიაში არსებული ბიზნეს პროცესები, მერიასა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის ურთერთობები თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელის მიხედვითაც მოწესრიგებულია და შექმნილია ყველა პირობა შრომის ექვეტური სისტემის ფუნქციონირებისათვის. მერიის სისტემაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან და რეორგანიზაცია ჩამოყალიბდა და ამოქმედდა ახალი სტრუქტურა ახალი სტრუქტურის ამოქმედებიდან და სამუშაო პროცესების ანალიზიდან გამომდინარე მომზადდა და მიღებული იქნა 100 -ამდე სამართლებრივი აქტის პროექტი, რომლის მიხედვითაც დარეგულირდა ცაკეული სამსახურების ფუნქციები, მერიაში არსებული ბიზნეს პროცესები, მერიასა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის ურთერთობები თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელის მიხედვითაც მოწესრიგებული და შექმნილია ყველა პირობა შრომის ექვეტური სისტემის ფუნქციონირებისათვის.

ქ. ბათუმის მერის ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობები“ რომელიც დეტალურად არეგულირებს თანამშრომელთა შეფასების მექანიზმებს, პროცედურებსა და წესებს. ქ.ბათუმის მერის მიერ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით ასევე საჯარო სამსახურის ბიუროს ჩართულობით და შესაბამისი ექსპერტების დახმარებით მომზადებულ იქნა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ ბრძანების პროექტი, რომელთან გათვალისწინებულია თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვა და განხორციელება.



10.1.2.სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაცია

სტრატეგიული მიმართულება 10

მუნიციპალიტეტის

ინსტიტუციონალური გაძლიერება

პროგრამა	10.1.2.სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაცია
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქ. ბათუმის მერიის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი შესრულება
ქალაქ ბათუმის მერიის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება	მომზადებული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ✓
გეგმის ამოცანებისა და ღონისძიებების შესაბამისად ახალი სტრუქტურული მოწყობის განსაზღვრა;	დამტკიცებული ახალი სტრუქტურა ✓
სტრუქტურული ერთეულების ახალი დებულებების მომზადება სამუშაო აღწერილობისა და სამოქმედო გეგმის კონკრეტული ღონისძიებების საფუძველზე.	სტრუქტურული ერთეულების დამტკიცებული დებულებები ✓

IV კვარტალი

განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გარდა, რომელიც უკვე ამოქმედებულია და ფუნქციონირებს, საქართველოს საკანონმდებლო აქტებში ქ. ბათუმის მერიის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2018 წლის 3 ივნისიდან შესაძლებელია არქიტექტურის და ზედამხედველობის მიმართულებით შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რის საფუძველზეც დაწყებულია მუშაობა დაქვემდებარებული სამსახურების და ორგანიზაციების რეორგანიზაციის საკითხზე, რომელიც ასახული უნდა იყოს 2019 წლის სტრატეგიაში.

2018 წლის I-II კვარტალში განხორციელებული იქნა მერიის ძველი სტრუქტურის ფუნქციონირების ეფექტურობის შესწავლა ანალიზი, ასევე განხორციელდა ძველი სტრუქტურის შესაბამისად თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობების ანალიზი, რის საფუძველზეც განისაზღვრა არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები და დაისახა ამოცანები არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის.

დასახული გეგმის ამოცანებისა და ღონისძიებების შესაბამისად მომზადა და განხორციელდა მერიის ახალი სტრუქტურის დამტკიცება, რომლის მიხედვითაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში განხორციელდა რეორგანიზაცია კერძოდ მერიის სისტემიდან გავიდა კეთილმოწყობის სამსახური, ასევე გაუქმდა ზედამხედველობის სამსახური და მისი ფუნქციები არქიტექტურული ზედამხედველობის კუთხით გადაეცა არქიტექტურის სამსახურს, ხოლო სხვა სამართალდარვევებზე ზედამხედველობის კუთხით მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს. განხორციელდა ახალი სტრუქტურული ერთეული მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის შექმნა, ასევე შეეცვალა



სახელწოდებები სამსახურებისა და განყოფილებებს სხვადასხვა სამსახურში შეიცვალა განყოფილებები დაქვემდებარებები და ფუნქციები, ასევე შეიქმნა სხვადასხვა მიმართულებებით ახალი განყოფილებები, რეორგანიზაციის შემდეგ მერიის სისტემაში ყველა მიმართულებაზე მოხდა თანამშრომელთა გადანაწილება კვალიფიკაციისა და პროფესიული ნიშნით, იმ პოზიციებზე დადაც არ მშაობდენ შესაბამისი კვალიფიკაციის და პროფესის ადამიანები მოხდა მათი მობილობა პროფესიების მიმართულებით ხოლო არსებული პოზიციებზე ჯამში 37 პოზიცია კვალიფიციური კადრების შერცვის მიზნით გამოცხადა კონკურსი. განხორციელდა მუნიციპალური ორგანიზაციების ლიკვიდაცია განხორციელდა 3 მუნიციპალური ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს, ბათუმის კორპუსის და ბათუმის კეთილმოწყობის სამსახურის ბაზაე შეიქმნა ახალი ორგანიზაცია საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო. ასევე შეიქმნა ახალი ორგანიზაცია მუნიციპალური სერვისების სააგენტო. განხორციელდა სხვადასხვა მუნიციპალური ორგანიზაციების სტრუქტურული ცვლილებები.

განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან და რეორგანიზაციიდან გამომდინარე მომზადდა ახალი დებულების პროექტი, რომელშიც გაწერილია ახალი სტრუქტურის შესაბამისად ჩამოყალიბებული მერიისა და მერიის სამსახურების ფუნქციები, ამოცანები და სხვა საკიტხები, ასევე მომზადაა მერიის დაქვემდებარებულ ორგანიზაციების წესდებებში ცვლილებების შეთანის შესახებ შესაბამისი დოკუმენტები.

განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან და რეორგანიზაციიდან გამომდინარე დამტკიცებული იქნა ახალი დებულების პროექტი, რომელშიც გაწერილია ახალი სტრუქტურის შესაბამისად ჩამოყალიბებული მერიისა და მერიის სამსახურების ფუნქციები, ამოცანები და სხვა საკიტხები, ასევე ცვლილებები განხორციელდა მერიის დაქვემდებარებულ ორგანიზაციების წესდებებში და დამტკიცდა ახალ შექმნილი მუნიციპალური ორგანიზაციების წესდებები სადაც დეტალურად გაწერილი ამ ორგანიზაციების მიზნები და ამოცანები.



10.1.3. მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიმართულება 10

მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური გამდიერება

პროგრამა	10.1.3. მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
მუნიციპალიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისათვის ცვლილებების პროექტების მომზადება და უმაღლეს საბჭოში წარდგენა	მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებული და შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოების მიერ განხილული და დამტკიცებული საკითხების რაოდენობა.	✓

2018 წლის I-II კვარტალში, პროგრამის ფარგლებში მოხდა ქვემოთჩამოთვლილი 12 პრობლემის იდენტიფიცირება, რომლებიც მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული უკანონო და პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული დადგენილებების (დემონტაჟის და უკანონო მშენებლობის შეჩერების შესახებ) და ამ საკითხზე გაცემული სააღსრულებლო ფურცელის აღსრულების მექანიზმების ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმების არ არსებობა.
- სამშენებლო სამართალდარღვევების კუთხით პრობლემას წარმოადგენს ასევე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით განხორციელებული მშენებლობების საჯარო რეესტრში მხოლოდ აზომვითი ნახაზის საფუძველზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის საკითხი, რის გამოც ფაქტობრივად ლეგალიზებული ხდება უნებართვო განხორციელებული მშენებლობები.
- დღეს არსებული რეგულაციების შესაბამისად თვითმმართველ ქალაქებს (გარდა თბილისისა) უფლება არა აქვთ თავიანთი საქმიანობის განხორციელების მიზნით დაფუძნონ საჯარო სამართლის იურიდიული პირები და განსაზღვრონ საფასურები აღნიშნული იურიდიული პირების მიერ განხორციელებული სწრაფი მომსახურებისათვის,
- უკანონო გარე ვაჭრობებისა და ბაზრობების აღკვეთის მიზნით ეფექტური საკანონმდებლო რეგულაციების არ არსებობა.
- არარსებობს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც შესაძლებლობას მიცემს მუნიციპალიტეტებს უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არსებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობების, რომლებიც მესაკუთრეების მიერ მიტოვებულია, არ არის შემოღობილი, არ ხდება მათი დაგვა-დასუფთავება და სხვადასხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება მესაკუთრეების მიმართ.
- ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების წესების დარღვევა გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისას, სამართალდამრღვევს ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის



ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. თუ სამართალდამრღვევი ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, საჯარიმო ქვითარი (ოქმი) განთავსდება ავტოსატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე, ხოლო ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ფოსტის მეშვეობით, თუმცა არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი საჯარიმო ქვითრების 60 % მეტი ადრესატს ვერ ბარდება სხვადასხვა მზიებით რაც არაეფექტურს ხდის ქალაქის ტერიტორიაზე პარკირების სისტემების ადმინისტრირებას.

- არარსებობს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს უზრუნველყოს ავტოსადგურებისა და ავტოსადგომის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ფუნქციონირების აღკვეთა და აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით სამართალდამღვევების მიმართ შესაბამისი ღონისძიების გატარება.
- დღეისათვის არ არსებობს საკანონმდებლო ნორმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება საგარეუბნო, საქალაქთაშორისო სამგზავრო რეგულალური გადაყვანების მოწესრიგება.
- ქალაქის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე არსებობს უკანონოდ ფუნქციონირებადი პარკირებები იმ ავტომანქანებისათვის, რომლებიც სასაყიდლო ან უსასაყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, რაც ასევე წარმოადგენს ქალაქის შიდა სატრანსპორტო ქსელის გამართული ფუნქციონირების ხელისშემშლელ ერთ-ერთ ფაქტორს.
- მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება განახორციელონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ასრებულ ტბებზე უკანონო თევზჭერის აღკვეთის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები.
- ქალაქის ტერიტორიაზე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე არსებული წლების განმავლობაში დაუსრულებელი მიშენება-დაშენებები.
- ქალაქის განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან გამომდინარე ხშირად ხდება კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ექსპროპრიაცია, არსებული პრაქტიკის თანახმად მას შემდეგ, როცა მუნიციპალიტეტი დაგეგმავს კონკრეტული პროექტის განხორციელებას და ეს პროექტი მოიცავს კერძო საკუთრების ტერიტორიასაც იწყება მოლაპარაკება მესაკუთრესთან მის ქონების მუნიციპალიტეტზე საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაცემის სანაცვლოდ წინასწარ სრული და სამართლიან კომპენსაციის გაცემაზე. იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრესთან მიიღწევა შეთანხმება მის ქონების კომპენსაციის პირობებზე (სანაცვლო ქონების გადაცემა, ფულადი კომპენსაცია და ა.შ) მუნიციპალიტეტსა და მესაკუთრეს შორის ფორმდება შეთანხმება ექსპროპრიაციას დაქვემდებარე ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის და მესაკუთრისათვის სათანადო კომპენსაციის გადახდის შესახებ. თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის დასკვნით თვლის, რომ მხარეთა ნებაყოფილობითი შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი იმისათვის, რომ შეთანხმება ჩაითვალოს ექსპროპრიაციის ხელშეკრულებად სავალდებულოა არსებობდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება და სასამართლოს გადაწყვეტილება.

აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში, შემუშავებული იქნა შემზღუდველი გარემოებების დაძლევის გზები და აღნიშნული საკითხები წარდგენილი იქნა აჭარის არ უმაღლეს საბჭოში შემდგომი რეაგირებისათვის.